



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მირანდა მიქაძე

ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და
საქართველოში კონფლიქტების დარეგულირება

დისერტაცია

წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0141, საქართველო

2021

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით მირანდა მიქაძის სადისერტაციო ნაშრომს სახელწოდებით: „**ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და საქართველოში კონფლიქტების დარეგულირება**“ და ვიძლევიტ რეკომენდაციას, აღნიშნული ნაშრომი განხილულ იქნეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----“, 2021 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი **ვახტანგ მაისაია** -----

თანახელმძღვანელი: ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **რევაზ ჯორბენაძე** -----

რეცენზენტები: ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გუგული მადრაძე** -----

ამერიკათმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ეკა ბერაია -----

2021 წელი

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „-----“, ----- 2021 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით გადაღებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა და გავრცელება დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. მ.მიქაძე აცხადებს რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და თითოეულ მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში, ასევე, გამოვლენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან უშლიან აღნიშნულ პროცესს. აღწერილია ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ევოლუცია, გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტები და პროცესები. დეტალურად გავაანალიზეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე, აღვწერეთ ევროპული საბჭოების ისტორია და საქმიანობა. განვიხილეთ ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკის შექმნის ისტორია, მიზანი და ამოცანები, ევროპის უსაფრთხოების გლობალური სტრატეგია, საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და, ასევე, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის არსი, საფრთხეები და ევროკავშირის ჩართულობა უსაფრთხოების სექტორის მთელ რიგ სფეროებში.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პრიორიტეტები და ამოცანები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის სფეროები, ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პერსპექტივები საქართველოსთან დაკავშირებით.

აღწერილია შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული ევროკავშირის მიზნები და ამბიციები, მსოფლიო უსაფრთხოების დღის წესრიგისათვის შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა და შესაძლო ძალთა ბალანსის ცვლილება; გადმოცემულია სამხრეთ კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, როგორც რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა.

გავაანალიზეთ ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს ერთობლივი მუშაობის ახალ

პრიორიტეტებს, აღვნიშნეთ ევროკავშირის ჩართულობა საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად და არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში, აგრეთვე, ევროკავშირის რეგიონული ჩართულობისა და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის გაძლიერება.

გადმოცემულია, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელშიც ასახულია მთავარი საფრთხეები და გამოწვევები, აღწერილია საქართველოს მისწრაფება, გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში.

განხილულია საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობა, ჟენევის ფორმატის მნიშვნელობა, აგრეთვე, საქართველოს აქტიური მონაწილეობა დასავლეთის უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მისიებში.

ნაჩვენებია კონფლიქტების მოგვარების მექანიზმების თავისებურებანი და მათი დარეგულირების თეორიული საფუძვლები. ევროკავშირის მისიის აქტიურობა კონფლიქტურ ზონებთან აღწერილია ჩ. მიტჩელის მოდელით, რომელიც გამოვიყენეთ არსებული გეოპოლიტიკური ვითარების უკეთესად გასაანალიზებლად.

განხილულია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენა ევროპის უსაფრთხოებაზე, აგრეთვე, ნაჩვენებია ევროკავშირის მიდგომები კონფლიქტების მოგვარებაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში.

გაანალიზებულია ჩვენ მიერ ჩატარებული სოციალური კვლევა. მათემატიკური თამაშის თეორიის გამოყენებით აღწერილია კონფლიქტში ჩართულ მხარეების ურთიერთდამოკიდებულება. აღნიშნული თეორიის საშუალებით ნაჩვენებია, რა გავლენას ახდენს ერთი აქტორის გადაწყვეტილება მეორე აქტორის ქმედებაზე. თამაშის თეორია ამარტივებს საგარეო პოლიტიკაში არსებულ რთული ურთიერთობების აღქმას, აგრეთვე, გვეხმარება იმის პროგნოზირებაში, თუ როგორ განვითარდება

ურთიერთობები სხვადასხვა სახელმწიფოს შორის, რაც, ხშირად, ლოგიკას არ ექვემდებარება.

კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები საშუალებას იძლევა, გავიგოთ და გავიაზროთ ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თავისებურებები საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში.

Annotation

In the dissertation we represent the EU defense and security policy in the settlement of the conflicts in Georgia. We also show the main factors that promote or hinder these processes. We describe the evolution of the European Defense and Security Policy, decision-making instruments and processes. In the historical context we analyze how the Europeans shaped their defense and security policies.

We describe in detail some important historical events that have made a significant contribution to the development of the EU's total Defense and Security Policy, as well as history and activities of the European Councils.

We consider the history, goals and objectives of the European defense and security policy, the global security strategy, foreign relations and a security policy, as well as the essence of the European security and defense policy, threats and the EU involvement in a number of spheres of the security sectors.

We show the priorities and objectives of Georgia's European integration, areas of partnership and cooperation between Georgia and the EU, the European Defense and Security Policy and perspectives concerning Georgia.

We describe the goals and ambitions of the EU connecting with the Black Sea region, its importance for the world security agenda and the probable changes in the balance of power, ethno political conflicts in the Tskhinvali region as a problem of the regional security.

We analyze the Association Agenda between the EU and Georgia, that determines new priorities for their joint work. There we also indicate the EU's involvement in supporting democratic processes in Georgia and in resolving existing conflicts. We pay special attention to the strengthening of the EU to cooperation in the regional security issues.

We represent the conception of the national security of Georgia's, which reflects the main threats and challenges of the country. We describe the aspiration of the

Georgian society to become a member of the North Atlantic Alliance and the European Union.

We discuss the EU's mission in Georgia, the EU - Georgia agreement and the responsibility of the EU Monitoring Mission in Georgia, the importance of the Geneva format, as well as Georgia's active participation in the Western security missions.

We describe the features of the mechanisms of the conflicts regulation and the theoretical foundations of their settlement, actualizes regulation. The of the EU mission near the conflict zones is described in Ch. Mitchell's model, used for better to understand in the current geopolitical situation.

We focus on the impact of the Russian-Georgian conflict on the European security and the EU's approaches to the conflicts regulation, in the regions of Abkhazia and Tskinali. We discuss and analyzes expert's interviews. The experts underline the EU's defense and security policy in the world and its role in resolving the internal and external conflict in Georgia.

After studying scientifically the topic and conducting the social research we have established that the support of the international organizations, particularly the EU's involvement in the world conflict, is very important. However the EU defiance and security policy in Georgia is limited only to a political support. The EU has no other real effective mechanisms to become stronger and more active in resolving these conflicts. It should be noted that the EU member states have no political will of it and this is a main problem.

სარჩევი

ანოტაცია.....	iv
Annotation.....	vii
შესავალი.....	12
I. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა: მიზნები, განვითარების ეტაპები, გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტები და პროცესები.....	32
I.I. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების ეტაპები.....	32
I.II. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკა	41
I.III. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: მიზნები და ამოცანები.....	50
II. უსაფრთხოების ახალი გამოწვევები მსოფლიოში და ევროკავშირის რეაქციები.....	59
II.I. ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში.....	59
II.II. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა	65
II.III. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.....	69
II.IV. ევროკავშირის მისია საქართველოში: წარმატებები და გამოწვევები	73
III. ევროკავშირის მიდგომები კონფლიქტების დარეგულირების მიზნით ..	83
III.I. კონფლიქტების მოგვარების მექანიზმების თავისებურებანი და მათი ადგილი ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების დოქტრინაში.....	83
III.II. საქართველო - რუსეთის ურთიერთობების გავლენა ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე	94
III.III. ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს შიდა და გარე კონფლიქტების დარეგულირების მიზნით (ექსპერტული კვლევა და ანალიზი).....	101
დასკვნა	140
გამოყენებული ლიტერატურა	145
დანართი	153

გამოყენებული აბრევიატურა და აკრონიმები

EUMM – European Union Monitoring Mission in Georgia, **ესმ** – ევროკავშირის სადამკვირებლო მისია საქართველოში;

EaP – Eastern Partnership, **აპ** – აღმოსავლეთ პარტნიორობა;

EU – European Union, **ევროპული კავშირი**;

ENPI – European Neighborhood Policy Instrument, **ესპ** – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა;

ESDP – European Security and Defense Policy, **ეუთპ** – ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა;

EEAS – European External Action Service, **ევროპული საგარეო მოქმედებათა სამსახური**;

ECSC – European Coal and Steel Community, **ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება**;

CFSP – Common Foreign Security Policy, **სსუპ** – საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;

CSDP – Common Security and Defense Policy, **სუთპ** – საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა;

DCFTA – Deep and Comprehensive Free Trade Agreement - **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება**;

TACIS – Technical Assistance to the Commonwealth of Independent States - **ტასისი, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა დსთ-ს ქვეყნებისთვის**;

GID – Geneva International Discussions - **ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები**;

ესკ – ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი

ესშ – ევროკავშირის სამხედრო შტაბი

ესდპ – სამოქალაქო კომპონენტის განვითარება

პუკ – პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი

მადლობის გვერდი

მინდა აღვნიშნო, რომ მოცემული დისერტაციის დაწერა გამძნელობაა, რომ არა ქვემოთ დასახელებული პროფესორების, პროფესიონალების, ცნობილი ანალიტიკოსების რჩევები და დახმარება.

განეული თანადგომისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელებს: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ მაისაიასა და ფსიქოლოგიის დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რევაზ ჯორბენაძეს. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო კსუ-ს პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ თამარ კიკნაძეს, დოქტორანტურის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ ნინო მინდიაშვილსა, და ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოშიაშვილს. მათ მენტორობასა და მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობდი კვლევის პროცესში.

მადლობას ვუხდით ექსპერტებს: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს ვალერიან მოდებაძესა და პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს ალიკა გუჩუას, ნაშრომის ოფიციალურ რეცენზენტებს: ამერიკათმცოდნეობის დოქტორს ეკა ბერაიასა და ფსიქოლოგიის დოქტორს გუგული მალრაძეს.

მინდა მადლობა გადავუხადო დარგის იმ სპეციალისტებსა, და სტუდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კვლევაში.

ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით ფილოლოგიის დოქტორს ანა გოგილაშვილს.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, სოციოლოგიის დოქტორს ნათელა ღონაძეს მოცემული რჩევებისა და დახმარებისათვის.

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოში დაიწყო ცვლილებების ხანა. მსოფლიოში მომხდარ რადიკალურ გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, ვითარდებოდა და იცვლებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირება, მიმდინარეობდა პოლიტიკური, ეკონომიკური და რეგიონული დაპირისპირებები, რომლებიც თავისებურ დაღს ასვამდა საერთაშორისო სისტემას. სწორედ ამიტომ, გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში და ისინი თანდათანობით ჩამოყალიბდნენ, როგორც მნიშვნელოვანი გლობალური აქტორები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული უსაფრთხოების რეფორმასთან დაკავშირებულ პროექტებში, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში და აქტიურ როლს ასრულებენ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

თუ რომელიმე ორგანიზაციას ან გაერთიანებას აქვს პრეტენზია მსოფლიო მშვიდობაში საკუთარი წვლილის შეტანაზე, მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს განხილული ევროკავშირი (EU), რომელიც არის უნიკალური ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია ევროპის ქვეყნების ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების ჭრილში, რომელიც თავისი არსებობით დიდი როლს თამაშობს მშვიდობის დამყარებაში.

21-ე საუკუნეში ევროკავშირის თავდაცვა და უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე. ევროპის წინაშე კვლავ დგას უშიშროებისა და უსაფრთხოების საკითხები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ევროპამ უნდა შეძლოს საკუთარი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების დაცვა და ერთიანი უშიშროებისა და თავდაცვის

პოლიტიკის ჩამოყალიბება. ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირის ყველაზე „ახალგაზრდა“ პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მანამ, სანამ ის ოფიციალურად გახდებოდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების ნაწილი.

ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) საშუალებას აძლევს ევროკავშირს, წამყვანი როლი შეასრულოს სამშვიდობო (სამოქალაქო და სამხედრო) მისიებში, როგორც ევროპაში, ასევე, მსოფლიო მასშტაბით, კრიზისების მართვის და/ან საჯარო სექტორის რეფორმირების მიზნით, რაც წარმოადგენს ყოვლისმომცველ მიდგომას კრიზისის მენეჯმენტთან მიმართებაში, სამოქალაქო და სამხედრო აქტივებზე დაყრდნობით.¹

მსოფლიოში ევროკავშირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, ასევე, სამხედრო თვალსაზრისით. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე დატოვა გაერთიანება, მიუხედავად ერთგვარი ევროსკეპტიციზმისა, ევროკავშირი მაინც მსოფლიო მნიშვნელობის მთავარ მოთამაშედ რჩება და მის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. იგი მსოფლიოში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში მონაწილეობს და სერიოზულ გავლენასაც ახდენს.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისა და, მათ შორის, საქართველოს დაინტერესება და სწრაფვა ევროკავშირში ეწინააღმდეგება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს, ის ცდილობს არამართო შეინარჩუნოს, არამედ უფრო გააძლიეროს თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. რუსეთის

¹European External Action Service, <https://eeas.europa.eu/>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 02.09.2020.

მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და გაყინული კონფლიქტები უსაფრთხოების დილემის წინაშე აყენებს საქართველოს და საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ინტერესებს, სტაბილურობასა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და საქართველოში კონფლიქტების დარეგულირების მთავარი გამოწვევი მიზეზების შესწავლა. კვლევაში განხილულია ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორია და ის ფაქტორები რომელთაც განაპირობებს და დღის წესრიგში დააყენეს აღნიშნული პოლიტიკის შექმნის აუცილებლობა. არსებულ თეორიაზე დაყრდნობით შევეცდებით ავხსნათ საქართველოში ევროკავშირის ჩართულობის ის მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებაზე.

ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად დავსახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- ევროკავშირის როლის გაანალიზება მსოფლიოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში;
- ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლა, ევროკავშირისა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების გაანალიზება და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში;
- ევროკავშირის უსაფრთხოების ახალი გამოწვევების რეგიონული ასპექტების გაანალიზება.

ნაშრომის ძირითადი საკვლევ კითხვები

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის საშუალებით შევეცდებით, პასუხი გავცეთ ქვემოთ მოცემულ საკვლევ კითხვებს, რომლებიც შემუშავებულია აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად:

1. როგორია ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა მსოფლიოში?
2. როგორ უზრუნველყოფს ევროკავშირი მსოფლიოში უსაფრთხოების კონტროლსა და თავდაცვის პოლიტიკის გატარებას იქ, სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები?
3. რამდენად ეფექტიანია ევროკავშირის ინტერვენციები კონფლიქტების მოგვარების საკითხში?
4. როგორ ახორციელებს ევროკავშირი საქართველოში არსებული კონფლიქტებში ჩართვას?
5. რამდენად ეფექტიანად მოქმედებს ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების მიზნით?

ნაშრომის ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

I ჰიპოთეზა. 21-ე საუკუნეში, არც ერთი სახელმწიფოს, არ შესწევს ძალა, რომ მხოლოდ დამოუკიდებლად დაარეგულიროს სხვადასხვა სახის კონფლიქტები და სუპრანაციონალური ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საკითხში.

II ჰიპოთეზა. ევროკავშირი, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე, აქტიურად არის ჩართული მსოფლიო კონფლიქტების მოგვარებაში და ახორციელებს სამხედრო ოპერაციებსა და სამოქალაქო მისიებს, თუმცა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებული პოზიციები ხელს უშლის

ევროკავშირის ეფექტურ ჩართულობას საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში, ხოლო მისი ნაკლებად თანამიმდევრული პოლიტიკა და მოქმედება ამცირებს ევროკავშირის პოტენციალს ამ პროცესის დარეგულირებაში.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია:

რიჩარდ კოენის „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“, რომლის მიხედვით, გავრცელებულია საერთაშორისო უსაფრთხოების ორი კონცეფცია - კოლექტიური უსაფრთხოება და კოლექტიური თავდაცვა - ამას ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობის შენარჩუნებას. ამერიკელი მკვლევარი რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება.

„სოციალური კონსტრუქცივიზმის თეორია“, რომლის თანახმადაც, ადამიანების ცნობიერება და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გავლენას ახდენენ მოვლენათა შეფასებაზე.

ჯონ ნიუმენისა და ოსკარ მორგენშტერნის „თამაშის მათემატიკური თეორია“, რომელიც შერჩეული სიტუაციებით და მათი შესაძლო განვითარებით ემყარება სტრატეგიის თამაშების მათემატიკურ თეორიას.

„ქცევის სტრატეგიები კონფლიქტებში“ ამერიკელმა კონფლიქტოლოგებმა კ. ტომასმა და რ. კილმანმა შეიმუშავეს კონფლიქტის მოგვარების ხუთი სტრატეგია: კონკურენცია, განრიდება, თანამშრომლობა, შეგუება, კომპრომისი. რომლებსაც გააჩნიათ თავისი პრინციპები და შემდეგი სახისაა: „მოგება-წაგება“; „წაგება-მოგება“; „წაგება-წაგება“; „მოგება-მოგება“

ქვემოთ მოცემულია კონფლიქტოლოგიების დ. კაჰნისა და რ. აბიგაილის მიერ შემუშავებული სტრატეგიების მნიშვნელობები, რომელთა მიზანი და ქცევები აღნიშნულ შედეგებს იძლევა.²

სტრატეგია	დეფინიცია	მიზანი	ქცევა/ტაქტიკა
განრიდება	უკან დახევა	წაგება-წაგება	განრიდება
შეგუება	თანხმობა	წაგება-მოგება	თავის დანებება
კონკურენცია/შეჯიბრი	აგრესია	მოგება-წაგება	ეგოისტური შეჯიბრი
კომპრომისი	დათმობა	მოგება - წაგება	ვაჭრობა/გარიგება
თანამშრომლობა	საერთო კმაყოფილება	მოგება-მოგება	მხარდაჭერა როგორც საკუთარი, ასევე, სხვისი

თემის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სამეცნიერო მეთოდოლოგიური საფუძვლების ახალი სახით გააზრებაში, სიღრმისეულად არის შესწავლილი და დეტალურად გაანალიზებულია ევროკავშირის ჩართულობა შიდა და გარე კონფლიქტების დარეგულირებაში და მათი ორმხრივი მიმართება არსებული კონფლიქტებისადმი. პირველად შემუშავებული და აღწერილი იქნა ევროკავშირის როლი მათემატიკური თამაშის თეორიის გამოყენებით და განხილული იქნა კონფლიქტების დარეგულირების სფეროში უსაფრთხოების შესაძლო ვარიანტები. ასევე, დისერტაციაში, შესაძლო მოქმედებების აღსაწერად, გამოვიყენეთ „პატიმრის დილემის“ მოდიფიცირებული

² Cahn, D.D. and Abigail R.A. Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon. 2007.

ვარიანტები, რომლითაც გამოიკვეთა, რომ მშვიდობიან მოლაპარაკებებსა და კონფლიქტის ტრანსფორმაციას ალტერნატივა არ გააჩნია.

ნაშრომში აღწერილია ევროკავშირის მისიის ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოს კონფლიქტებში, რომელიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ახალი ცოდნის შექმნას კვლევაში წარმოდგენილ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის ახალ, საინტერესო ჭრილში მიწოდებას.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

- ✓ ნაშრომი დამოუკიდებელი მკვლევრის თვალსაზრისია და, პოლიტიკური დოკუმენტისგან განსხვავებით, იძლევა პრაქტიკულ და მიუკერძოებელ რეკომენდაციებს;
- ✓ ნაშრომი, როგორც სამეცნიერო წყარო, სასარგებლო იქნება ანალოგიური პრობლემატიკით დაინტერესებული მკვლევრებისთვის;
- ✓ მასალის გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში უმაღლესი სწავლების საფეხურებზე.

საკითხის შესასწავლად გამოყენებული კვლევის მეთოდები

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესასრულებლად სადისერტაციო კვლევა ეფუძნება ტრიანგულაციურ გამოყენებას. კვლევის საწყის ეტაპზე მოვიძიეთ და გავაანალიზეთ რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა, სამეცნიერო ბაზებისა და საძიებო სისტემების საშუალებით გავეცანით დოკუმენტებსა და მეორეულ ინფორმაციას. ჩავატარეთ ინტერვიუები ექსპერტებთან და ორი მოდელირებული ფოკუს ჯგუფი.

დოკუმენტების ანალიზის მეთოდი გამოყენებულია, როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოვიპოვეთ საკვლევ საკითხზე არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დოკუმენტების შეგროვებისთვის გამოვიყენეთ ინტერნეტ ძებნა, აგრეთვე, ხელით ძებნა. ინტერნეტ ძებნა, ძირითადად, განხორციელდა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების - JSTOR, EBSCO Host საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევებში გამოვიყენეთ პოპულარული საძიებო სისტემები (<http://www.google.com>; <http://www.msn.com>; <http://www.search.aol.com>; და ა.შ.). მონაცემების შესაგროვებლად ვისარგებლეთ სიტყვა-გასაღების სხვადასხვა კომბინაციით.

ექსპერტთა გამოკითხვა: სადისერტაციო კვლევის ფარგლებში ექსპერტებთან ჩავატარეთ ინტერვიუები (სულ გამოვკითხეთ 9 ექსპერტი). ექსპერტები შევარჩიეთ დარგის სფეროებიდან მიზნობრივად, მათი ექსპერტული ცოდნის გათვალისწინებით. ინტერვიუების დასაწყისში ექსპერტებს ვაცნობდით კვლევის მიზნს, ვთანხმდებოდით ეთიკურ სტანდარტებზე. ინტერვიუების ხანგრძლივობა ვარიირებდა 30-დან 40 წუთამდე. შემდეგ ეტაპზე მოვამზადეთ დეტალური ტრანსკრიპტები, ხოლო შედეგები გავაანალიზეთ თვისებრივი კონტენტ ანალიზის ტექნიკის გამოყენებით. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი გამოვკითხეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მას გაუუგზავნეთ კითხვარი, რომელზეც მივიღეთ წერილობითი პასუხები.

ფოკუს ჯგუფი: ფოკუს ჯგუფი საშუალებას იძლევა, ჯგუფური შეხედულებებისა და დისკუსიის საფუძველზე შევისწავლოთ კონკრეტული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი კვლევის მთავარ მიზანთან. ამ მეთოდის გამოყენების საშუალებით რესპონდენტები იმ ინფორმაციას გვანვდიან, რაც შეიძლება ფარულად არსებობდეს და არ იყოს გაცხადებული. ფოკუს ჯგუფი გულისხმობს წინაწარ მიზნობრივად შერჩეული ისეთი ჯგუფის

დაკომპლექტებას, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა სპეციალობისა და შეხედულების პირები.

პირველ რიგში, გამოვეყავით 11 სიტუაცია. ყოველი მათგანი მივანოღეთ დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ამ სიტუაციების შესაბამისობას ადგენდნენ. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე სადისკუსიო გეგმაში შეტანილი სიტუაციები დავიყვანეთ შვიდამდე, სადაც ბოლო სიტუაცია იძლევა პასუხს მონაწილეთა შეხედულებების, აზრებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე.

მოდელირებული სიტუაციების შეფასებისთვის ჩავატარეთ ორი ფოკუს ჯგუფი თითოეულ მათგანს ესწრებოდა 8-10 რესპონდენტი. მათი შერჩევა მოხდა მიზნობრივად, პროფესიის მიხედვით (კონფლიქტოლოგები და პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტები).

ფოკუს ჯგუფები ჩავატარეთ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით, რადგან კოვიდ - 19 პანდემიის გამო ვერ მოხერხდა ფიზიკურად, ფოკუს ჯგუფის წევრებთან უშუალოდ შეხვედრა. თითოეულ ჯგუფში დისკუსია გაგრძელდა 2 საათი. კვლევის პროცესში დაცული იყო ეთიკური სტანდარტები. დისკუსიის დასაწყისში მონაწილეებს გავაცანიტ კვლევის მიზანი. მათ შევეთანხმდით კონფიდენციალობისა და აუდიო ჩანერის საკითხების შესახებ, ამის შემდეგ იწყებოდა დისკუსია. ფოკუს ჯგუფის დასრულების შემდეგ მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტი.

როგორც მოდერატორი, ვიყავით ნეიტრალური და ვაკვირდებოდით მსჯელობის მთელ პროცესს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები გამოთქვამდნენ საკუთარ შეხედულებებს მოცემულ სიტუაციებთან დაკავშირებით, მათ ვუხსნიდით, რომ ეს იყო კონცეპტუალურ დონეზე დაშვებული სიტუაციები და მხოლოდ რეფლექსურ დონეზეა შესაძლებელი პასუხები. ფოკუს ჯგუფი ჩავატარეთ 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის თებერვალში. სიტუაციების

მიწოდება ხდებოდა ვერბალურად. მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულები დისკუსიის პროცესში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

ლიტერატურის მიმოხილვა

უსაფრთხოების თემა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ობიექტს. მისი პრობლემატიკა აქტუალური გახდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

საერთაშორისო ურთიერთობებში ტერმინი უსაფრთხოება ნიშნავს სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაძლებლობას უზრუნველყოს თავისი იდენტობისა და ცხოვრების დამოუკიდებლობა. უსაფრთხოების დინამიკა წარმოიშობა საფრთხეებისა და რისკების ურთიერთქმედებების შედეგად, რომელთა მთავარ არსს წარმოადგენს გადარჩენა. საერთაშორისო სისტემაში უსაფრთხოების მთავარ აქტორს სუვერენული სახელმწიფო წარმოადგენს, რომლის იდეალური ტიპი ერი სახელმწიფოა, სადაც ეთნიკური და კულტურული საზღვრები გაიგივებულია ტერიტორიულ და პოლიტიკურ საზღვრებთან. საერთაშორისო საზოგადოების უსაფრთხოებას განსაზღვრავს ხუთი ძირითადი სექტორი ესენია: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვა.³ სამხედრო უსაფრთხოება უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისა და თავდასხმის სისტემების ფუნქციონირებას; პოლიტიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს

³ Buzan B. Kelstrup M.; Pierre P.; Elzbieta E.; Wæver O. The European Security Order Recast. Pinter. 1990.

სახელმწიფოს ორგანიზაციულ სტაბილურობას, ასევე, სამთავრობო და იდეოლოგიური ლეგიტიმურობის მხარდაჭერას; ეკონომიკური უსაფრთხოება პასუხისმგებელია საფინანსო და საბაზრო ურთიერთობების მდგრად განვითარებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე; სოციალური უსაფრთხოება ორიენტირებულია საზოგადოების ენის, კულტურის, ეროვნული იდენტობისა და წეს-ჩვეულებების დაცვაზე; გარემოს დაცვის სექტორი ზრუნავს გარემოს დაცვაზე, როგორც ლოკალურ, ასევე, გლობალურ დონეზე. ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სამხედრო სექტორი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ქცევას შეიარაღებული თავდასხმებისა თუ საფრთხეების დროს.⁴ უსაფრთხოების თეორიის აუცილებელ შიგთავსს საფრთხეების რაობა წარმოადგენს. მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია 21-ე საუკუნეში, განსაკუთრებით გლობალურ უსაფრთხოების პირობებში, გამოიკვეთა. ტერმინი ასიმეტრიული საფრთხე, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ადგილებისაკენ, და დარჩენილია ყურადღების მიღმა, თავდასხმის მიზნით, რადგან შეზღუდული აქვთ უნარი, თავი დაიკვან. ასიმეტრიულ საფრთხეს გააჩნია სპეციფიკური სახეები, რომლებიც უცნობია ჩვენი ხედვით და (კლასიკური კონვენციური ომის კანონების მიხედვით, მათი მიღებულობა შეუძლებელია) რთულად აღიქმებიან ანალოგიური დარტყმის მიყენების მიზნით; ისინი იქმნებიან არა მარტო მოწინააღმდეგის ობიექტი, არამედ უნდა მოახდინონ კომპენსირება ან დაიყვანონ ნულამდე მოწინააღმდეგის უპირატესობანი. ასიმეტრიული საფრთხე გამოიყენება, როგორც სამხედრო და პოლიტიკური, ასევე, ინფორმაციული სახით.⁵

⁴ Buzan B.; Kelstrup M.; Pierre P.; Elzbieta E.; Wæver O. The European Security Order Recast. Pinter. 1990.


⁵ მაისაია ვ., მაღრაძე გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა რეგიონალური და გლობალური ასპექტები. უნივერსალი, თბილისი. 2017.

ბრიტანელ-ამერიკელი მკვლევრის კოლინ გრეისის განმარტებით, უსაფრთხოება არის ფუნდამენტური ღირებულებების გათავისუფლება საფრთხეებისაგან.⁶

ნეორეალიზმის თეორიის ფუძემდებელი კენეტ ნილ უოლცი თავის ცნობილ წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორებს, ანარქიულ სისტემაში უწევთ თანაცხოვრება, სადაც არ არსებობს უმაღლესი, ცენტრალური ხელისუფლება. მისი ნაშრომის მიხედვით, სახელმწიფოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს გადარჩენა წარმოადგენს, რაც მათ სისტემატურად უბიძგებს, რომ დაიცვან საკუთარი სუვერენიტეტი და სახელმწიფოებს მუდმივად უწევთ ძალთა ბალანსის დაცვაზე ზრუნვა.⁷

ნეორეალიზმის სკოლის მეთოდოლოგიით უსაფრთხოების კლასიფიკაციას ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს (ცხრილი #1).

უსაფრთხოების კლასიფიკაცია (პოლიტიკური ანალიზის ფორმატი)⁸



⁶ Colin G., War, peace and international relations: an introduction to strategic history. Routledge, 2013.

⁷ Kenneth W. Theory of International Politics 1979 Reading. Massachusetts Addison-Wesley Publishing Company.

⁸ მაისაია ვ., მაღრაძე გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა რეგიონალური და გლობალური ასპექტები. უნივერსალი, თბილისი. 2017.

უსაფრთხოების კლასიფიკაციის ასეთი მოდელი ეფუძნება ნეორეალიზმის მკვლევრის კენეთ უოლცის მიერ წამოყენებულ ე.წ. „ტრიპოლარულ“ სქემას – ადამიანი-საზოგადოება-სახელმწიფო, რომელიც მან აღწერა თავის წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოთა შორის მეტოქეობასა და კონკურენციას ადამიანის ბუნება კი არ განსაზღვრავს, არამედ ანარქიული საერთაშორისო სისტემა. ყოველი სახელმწიფო იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს ძალის მეშვეობით. ძალა რჩება სახელმწიფოს საგარეო მიზნების მიღწევის საშუალებად.⁹

ნეორეალიზმის მნიშვნელოვან თეორიას უსაფრთხოების დილემა წარმოადგენს. რობერტ არტი და რობერტ ჯერვისი წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა“ კარგად ხსნიან უსაფრთხოების დილემას, რომელიც წარმოადგენს მდგომარეობას, სადაც ერთი სახელმწიფოს მიერ უსაფრთხო გარემო აიძულებს მეორე სახელმწიფოს, დაგეგმოს და განახორციელოს იგივე ქმედებები, რაც შემდგომში კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი ხდება. ავტორების აზრით, უსაფრთხოების დილემის ძირითადი ცნება არის ნდობა. ისინი, ასევე, აღნიშნავენ, რომ „რადგანაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები თვითდახმარების რეჟიმში მოქმედებენ, სხვა სახელმწიფოს განზრახვების მიმართ ყოველთვის სკეპტიკური დამოკიდებულება ყალიბდება. შედარებით ძლიერმა სახელმწიფომ, შესაძლებელია, ნებისმიერ დროს მოახდინოს სხვა სუსტი სახელმწიფოს ექსპლოატირება, შესაბამისად, სახელმწიფოსათვის მთავარი მიზანია, მიაღწიოს უსაფრთხოების ისეთ ღონეს, რაც მის გადარჩენას უზრუნველყოფს.“¹⁰

ნეორეალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, სახელმწიფოები იძულებულნი არიან, იმოქმედონ, თვითგადარჩენის მიზნებიდან

⁹ უოლცი კ. ადამიანი, სახელმწიფო და ომი. ჯისაი. 2003.

¹⁰ Jervis, R. Cooperation under the security dilemma. World politics 30, no. 2.1978.

გამომდინარე, და ყველა საშუალებას მიმართონ აღნიშნულ ანარქიაში საკუთარი ფუნქციებისა და როლის განმტკიცებისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. არსებულ პირობებში, სადაც საქართველოს ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან, კონფლიქტების მოსაგვარებლად ქვეყნის მნიშვნელოვან მიზანს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცებში გაწევრიანება წარმოადგენს.

კონფლიქტი სოციალური მოვლენა და ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია. ცხოვრება კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია. კონფლიქტი და მისი მართვა უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა თანამედროვე ადამიანის წინაშე. კონფლიქტის მართვის არსი მისი თავიდან არიდების შესაძლებლობაშია, რასაც პრევენციას ვუწოდებთ. თავიდან არიდების შესაძლებლობა კი ბევრ ცოდნას მოითხოვს, როგორც კონფლიქტის არსის, ბუნების, გარეგანი და შინაგანი ფაქტორების, ასევე, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. პიროვნება კონფლიქტში მთავარ აქტორს წარმოადგენს. ნებისმიერი კონფლიქტი დაკავშირებულია ადამიანთან ან ადამიანების ჯგუფთან.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტების მართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, კონფლიქტის მართვაში თეორეტიკოსები ხედავენ ძალადობრივ კონფლიქტებს. ინტერესებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე ურთიერთშორის ძალადობისადმი მიდრეკილება წარმოიქმნება არსებული ინსტიტუტებიდან და ისტორიული ურთიერთობებიდან, ასევე, დადგენილია ძალაუფლების განაწილებაც. ასეთი კონფლიქტების მოგვარება, მათი აზრით, არარეალურია. საუკეთესო, რაც შეიძლება გაკეთდეს, ეს არის ის, რომ მართო კონფლიქტი და ზოგჯერ მიაღწიო ისტორიულ კომპრომისს, რომელშიც ძალადობა შეიძლება გადაიდოს განზე და ხელი შეუწყოს პოლიტიკის აღდგენას. კონფლიქტების მართვა არის შესაბამისი ინტერვენციის ხელოვნება იმ

ძლიერი აქტორების მიერ, რომლებსაც აქვთ ძალა და რესურსები კონფლიქტის მხარეებზე მოახდინონ ზეწოლა, რათა მოაგვარონ კონფლიქტები.¹¹

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოში შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა გაიზარდა, სწორედ ამიტომ ტერმინი „კონფლიქტის პრევენცია“ ხშირად გვხვდება საერთაშორისო ფორუმებზე, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტებსა და აკადემიურ ნაშრომებში. 2016 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ და გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციების UNSCR 2282 და A/RES/70/262 მიღებას, როგორც გაერო-ს ახალი სამშვიდობო არქიტექტურის მთავარ განმსაზღვრელს. აღნიშნულ რეზოლუციებს ამყარებს გაერო-ს გენერალური მდივნის განცხადება, სადაც კონფლიქტის პრევენცია უმთავრეს პრიორიტეტად გამოცხადდა. კონფლიქტის პრევენცია ნახსენებია გაერო-ს 2030 დღის წესრიგში და აღნიშნულია, რომ მდგრადი განვითარება მშვიდობის გარეშე არ იქნება, და არც მშვიდობა იქნება მდგრადი განვითარების გარეშე.¹²

კონფლიქტების პრევენცია გულისხმობს კონფლიქტში მონაწილეთა მოქმედებების მინიმუმამდე დაყვანას ან საერთოდ შეწყვეტას. ასეთ დროს მოქმედებებს ახორციელებს ან მესამე მხარე ან რომელიმე მხარე და ხდება ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამოვლენა და სადავო საკითხის გადანაცვება არაკონფლიქტური გზით. პრევენცია საუკეთესო გზაა კონფლიქტის დინამიკისა და ესკალაციის შესაჩერებლად. მისი საშუალებით დროულად ხდება კონფლიქტის დიაგნოსტიკა. კონფლიქტის შეჩერებით სიტუაციაზე რეაგირებით და მხარეებზე ზეგავლენით ხორციელდება აქტიური

¹¹ Miall H., Conflict transformation: A multi-dimensional task. Berghof Handbook for Conflict Transformation. Berlin, Berghof Centre for Constructive Conflict Management. 2001.

¹² Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015; Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development; <https://sdgs.un.org/2030agenda> ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.03.2021.

მოქმედებები, რათა მშვიდობიანად გადაიჭრას კონფლიქტი. ასეთი ქმედებები ხელს უწყობს დაძაბულობის ლიკვიდაციას. შესაძლოა, ძალისმიერი მეთოდებიც გამოიყენონ ან მხარეებზე დაწესდეს სანქციები. კონფლიქტის პრევენციას, ძირითადად, მესამე მხარე ახორციელებს. მხარეების მიერ საკუთარი მკაცრი პოზიციების დათმობა ხდება და ნელ-ნელა მათი ინტერესების გათვალისწინებით ურთიერთობა ნორმალიზდება.

მეცნიერები, როგორც წესი, განასხვავებენ კონფლიქტის პრევენციასა და კონფლიქტის მართვას. ფ. ტანერი განმარტავს, რომ კონფლიქტების მართვა მიზნად ისახავს დავების გადაწყვეტას, სანამ ისინი ძალადობრივი გახდებიან. კონფლიქტის მართვა, თავის მხრივ, ნიშნავს შეზღუდვას, შერბილებასა და კონფლიქტის შეკავებას. კონფლიქტის პრევენციის ცნება მოიცავს უამრავ საქმიანობას ესენია: კონფლიქტის თავიდან აცილება და მისი მოგვარება ისეთი მეთოდებით, როგორიცაა შეამავლობა, მშვიდობის შენარჩუნება, მშვიდობისმოყვარეობა, ნდობის აღდგენის ზომები და ორმხრივი დიპლომატია. ამასთან ერთად, მკვლევრები ზოგჯერ კრიზისის მენეჯმენტს მიმართავენ, რათა აღწერონ ის ყოვლისმომცველი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტთან, მაგრამ არ შემოიფარგლება კონფლიქტებით. კონფლიქტის მენეჯმენტთან ერთად ხშირად გამოიყენება ევროკავშირის ინსტიტუტები.¹³

საქართველოსთვის კონფლიქტის პრევენციის სტრატეგიის აუცილებლობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: ქვეყნის ტერიტორიაზე ორი ოკუპირებული რეგიონის არსებობით, უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციის დაბალი დონით, ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურებითა და პოლიტიკური რადიკალიზაციით. ბოლო პერიოდის კრიზისებმა, მათ შორის პანკისის ხეობის, დავით გარეჯისა თუ რუსი

¹³ Tanner F., Conflict prevention and conflict resolution: limits of multilateralism. International Review of the Red Cross. 2000.

დეპუტატის ვიზიტის ირგვლივ შექმნილმა კრიზისებმა, ნათლად აჩვენა, რომ საჭიროა არა მხოლოდ არსებული კონფლიქტების მოგვარებაზე ფიქრი, არამედ პრევენციის მიმართულებით მუშაობა, რათა ქვეყნის შიგნით არ გაჩნდეს ახალი კონფლიქტების გაღვივების საფრთხე.¹⁴ კონფლიქტის პრევენცია გულისხმობს ეთნიკური, რელიგიური, იდეოლოგიური თუ სხვა ტიპის განსხვავებების ძალადობრივ დაპირისპირებაში გადასვლის თავიდან აცილებას. კონფლიქტის პრევენცია არის ნებისმიერი ტიპის სტრუქტურული საშუალება, რათა მოხდეს ქვეყანათშორისი ან ქვეყნის შიგნით არსებული დაძაბულობის ფართო მასშტაბიან, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის საშიშროების თავიდან არიდება. იგი გულისხმობს კონფლიქტის პოტენციური მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა გაჩნდეს კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების რესურსი და გადაიჭრას ის პრობლემები, რაც დაპირისპირებისა და დაძაბულობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს.¹⁵

კონფლიქტის პროგნოზირება პრევენციისთვის მნიშვნელოვანია. ამისთვის იყენებენ სხვადასხვა მეთოდს, რათა დაძლიონ კონფლიქტი. დღეისათვის მოქმედებს ადრეული განგაშის სხვადასხვა ორგანიზაცია. მათ შორის გამოირჩევა ევროპაში ფრანკფურტის ჯგუფი, რომლის წევრები ცდილობენ, სანდო შეფასებებით იზინასწარმეტყველონ დაძაბულობის შემდეგი განვითარება. ასეთ დროს ადრეული შეტყობინება შესაძლოა კონფლიქტის ან კრიზისის შესახებ მხარეებს ეხმარება მშვიდობიანად იარსებონ და იზრუნონ განვითარებაზე. ამ პროცესში გასათვალისწინებელია კონფლიქტის შედეგების წინასწარი დადგენა გულისხმობს გარკვეული ინდიკატორების არსებობას, რომელთა საშუალებით მოხერხდება შეფასებების გაკეთება. აქვე გამოსაყოფია კრიტერიუმები, რომლებიც


¹⁴ დვალი ა. საქართველოში კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, 2019.

¹⁵ Operationalizing the lessons from Recent Experience in Field-Level Conflict Strategies; Lund M.S; Facing Ethnic Conflict; Rowman & Littlefield Publishers; Inc; 2004.

საშუალებას მოგვცემს, იმ გადანწყვეტილებას შეუწყოს ხელი, რომელიც შესაძლოა, რამდენიმე ალტერნატივას შეიცავდეს და მათგან არცერთს საუკეთესოს.

კონფლიქტების მკვლევრები ე. მელანდერი და კ. პიგაჩი კონფლიქტების პრევენციას წრფივი მოდელით განიხილავენ, სადაც გამოყოფილია - მშვიდობის განმტკიცება და კონფლიქტის მენეჯმენტი. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალადობრივ კონფლიქტებთან. მეორეა - მშვიდობისქმნა და კონფლიქტის წინააღმდეგ ამოქმედება, რომელშიც შედის კონფლიქტის ტრანსფორმაცია. მესამეა - მშვიდობის მშენებლობა, რომელშიც შედის სოციალური ცვლილებები, და მეოთხე - კონფლიქტის ფორმირება, რომელიც კონფლიქტის ჩამოყალიბების პროცესში უნდა განხორციელდეს. პრევენცია ხორციელდება, სანამ კონფლიქტი დაიწყება და საჭიროებს კრიზისების მართვას. მოკლედ, სანამ ძალადობა დაიწყება, იქამდე უნდა მოხდეს საწყისი ქმედების განხორციელება. პრევენციის მეორე სტადია ხორციელდება უკვე ძალადობრივი კონფლიქტის დროს. ადრეული განგაში კი ხორციელდება მშვიდობის მშენებლობისას.¹⁶

მშვიდობის განმტკიცება და კონფლიქტის მენეჯმენტი. მშვიდობის მშენებლობა.¹⁷ **გრაფიკი.1**



¹⁶ Melander E., Pigache Cl. Conflict Prevention: Concepts and Challenges. Austrian National Defence Academy, 2007.

¹⁷ Melander E., Pigache Cl. Conflict Prevention: Concepts and Challenges. Austrian National Defence Academy. 2007.

ეს მოდელი კარგად ასახავს გაეროსა და ევროკავშირის მოქმედებებს კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებით. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა კონფლიქტების პრევენციის საშუალებას იძლევა. ამ მიმართულებით გააქტიურება საერთო უსაფრთხოებისათვის 1990 წლიდან იწყება. მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები ეხება სპეციფიკურ რეგიონებსა და სადავო საკითხების მოგვარებას. კონფლიქტის მოგვარების პრევენციული ქმედებების შესახებ მითითებულია კანონებში, დეკლარაციებსა და სხვა შეთანხმებების შედეგებში. ასევე, პრევენციის მაგალითი შეიძლება იყოს ფაქტების მოძიება, მონიტორინგი, მოლაპარაკება, მედიაცია და ნდობის აღდგენა.

როგორც ს. მეისონი და მ. სიგფრიდი განმარტავენ, ნდობის აღდგენა ხელს უწყობს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ურთიერთობები და თავიდან აიცილოს ესკალაცია.¹⁸

კარნეგის კომისია კლასიფიკაციას უწევს ასეთი ზომების ოთხ ფართო კატეგორიას. ესენია: „ადრეული რეაგირება“ “ადრეული გაფრთხილების“ შესახებ, პრევენციული დიპლომატია (პოლიტიკური, არაძალადობრივი ზომები), ეკონომიკური ზომები (სანქციები, გამონვევა, ეკონომიკური დავების გადაწყვეტის მექანიზმები), ძალისმიერი ზომები. რაც შეეხება კრიზისის მენეჯმენტს, რომელიც გულისხმობს კრიზისის თავიდან აცილებას, როდესაც კრიზისის აქტიური ფაზა დასრულებულია. კრიზისის მენეჯმენტი ნიშნავს მშვიდობის აღდგენას, შეთანხმების მიღწევას და არა კონფლიქტის გადაწყვეტას. მას აქვს სამი ძირითადი მახასიათებელი. ესენია: უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური.

¹⁸Mason S. J. A., Siegfried M. Confidence-Building Measures (CBMs) in Peace Process, In: African Union and the Centre for Humanitarian Dialogue. Managing Peace Processes: Process related questions. A Handbook for AU practitioners. Volume 1, pp. 57-77. (2013).

ტ. ტარდის განმარტებით, კრიზისის მენეჯმენტი, ზოგადი თვალსაზრისით, არის კრიზისის თავიდან ასაცილებლად მიმდინარე რეაგირება ან მშვიდობის კონსოლიდაციაში დახმარება მწვავე ეტაპის გავლის შემდეგ. ეს თავისთავად არ ნიშნავს კონფლიქტის მოგვარებას. თუმცა, იგი მოიცავს ყველაფერს, კონფლიქტის პრევენციიდან კონფლიქტის მოგვარებამდე, კონფლიქტის მართვამდე, მშვიდობის მშენებლობამდე.¹⁹

ბ. გიგერიხი თავის წიგნში „ევროკავშირის სამხედრო კრიზისის მენეჯმენტი“ აღწერს ევროკავშირის ამბიციებისა და შესაძლებლობების ურთიერთკავშირს და აღნიშნავს ამ ორს შორის ვაკუუმის არსებობას. კრიზისის მენეჯმენტში ავტორის აზრით, ევროკავშირის წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება ვეძებოთ ზოგიერთი წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების შეუთანხმებლობაში.²⁰

კონფლიქტის მენეჯმენტი არის „კონფლიქტში მონაწილე აქტორების მცდელობა, შეამცირონ მტრული მოქმედება და შექმნან გარკვეული წესრიგი მათ ურთიერთობებში“.²¹

კონფლიქტის მართვისა და მშვიდობის დამყარების ქვაკუთხედს მოლაპარაკება წარმოადგენს, რომელიც მოიცავს უამრავ ასპექტს, და სრულყოფილს ქმნის მოლაპარაკების ფენომენს კონფლიქტის მართვის დროს. დაპირისპირებული მხარეები მიმართავენ მესამე, შუამავალ მხარეს, რომელსაც დიდი როლი აკისრია კონფლიქტის მართვისა და მოგვარების პროცესში. მესამე მხარის მოვალეობაა ნეიტრალობა და მიუკერძოებლობა. ისინი ცდილობენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიებასა და გადანაცვეტილების მიღების გაადვილებას მხარეთათვის.

¹⁹ Tardy T. CSDP in action: What contribution to international security? Chaillot Papers, 134, pp. 1-51. 2015.

²⁰ Giegerich, B. European Military Crisis Management. Studia Diplomatica. 2009.

²¹ Bercovitch J., Regan P. The Structure of International Conflict Management: An Analysis of the Effects on Interactability and Mediation. International Journal of Peace Studies. 1999.

შუამავლის როლი მნიშვნელოვანი და, ზოგჯერ, უფრო გადამწყვეტია, ვიდრე კონფლიქტის მხარეების, რადგან პოლიტიკური და სამხედრო ჩიხში შესვლის შემდეგ შუამავლებს შეუძლიათ, განმუხტონ დაძაბულობა და ხელი შეუწყონ მის მოგვარებას.

შუამავლების წარმატება ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ნდობის ამაღლებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა განადგურებას, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან და უზრუნველყონ სხვადასხვა უსაფრთხოების გარანტია, ეკონომიკური დახმარება, რომლებიც მოლაპარაკებების გზით მხარეების წახალისების მიზნით იქნა გამოყენებული.²²

²² Vuković S. International Multiparty Mediation and Conflict Management: Challenges of Cooperation and Coordination. London: Routledge. 2016.

I. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა: მიზნები, განვითარების ეტაპები, გადანაცვლებების მიღების ინსტრუმენტები და პროცესები

I.I. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების ეტაპები

21-ე საუკუნეში ევროპის წინაშე კვლავ დგას უშიშროებისა და უსაფრთხოების საკითხები, რომლებმაც ქმედითი ზომები უნდა გაატაროს თავისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ევროპამ კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს მისი საზღვრების მახლობლად მდებარე რეგიონებთან: ბალკანეთთან, ჩრდილოეთ აფრიკასთან, კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთთან, ასევე, უნდა დაიცვას საკუთარი სამხედრო და სტრატეგიული ინტერესები თავის მოკავშირეებთან თანამშრომლობით და ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბებით.²³

ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება (ECSC) რეალობად იქცა 1951 წლის 18 აპრილს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებამ დააარსა ქვანახშირისა და ფოლადის ერთიანი ბაზარი ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფოსათვის (ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი). გაერთიანების შექმნის მიზანს წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ევროპის გამარჯვებული და დამარცხებული ქვეყნებისათვის მშვიდობის უზრუნველყოფა, თანასწორი პირობების შექმნა და ერთობლივი ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობის მიცემა.²⁴

²³ ფონტენი პ. განმარტებები ევროკავშირის შესახებ, <https://eeas.europa.eu/> ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.09.2020

²⁴ ფონტენი პ. განმარტებები ევროკავშირის შესახებ, <https://eeas.europa.eu/> ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.09.2020

გაერთიანების ექვსმა წევრმა გადაწყვიტა, დაეარსებინა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის. 1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წელის მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - „ევროკავშირი“ ეწოდა.²⁵

საფრანგეთის საგარეო მინისტრის, რობერტ შუმანის 1950 წლის 9 მაისის დეკლარაციის მიხედვით, „ევროპა ერთბაშად ვერ შეიქმნება და ვერც ერთი ცალკეული გეგმით, მისი ჩამოყალიბება ისეთი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით უნდა დაიწყოს, რომლებიც სოლიდარობას ყოველდღიურობად აქცევს“.²⁶

მას შემდეგ, რაც 1951 წელს ჟან მონეს იდეის საფუძველზე, ევროპის ექვსმა ქვეყანამ - საფრანგეთმა, დასავლეთ გერმანიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა, იტალიამ და ნიდერლანდებმა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას მოაწერეს ხელი, გაერთიანებამ გაფართოების 7 ტალღა გაიარა.²⁷

²⁵ევროკავშირის ისტორია <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/#1> ბოლოდ გადამოწმებული იყო- 20.10.2020.

²⁶ Hill C., Smith K. E., European Foreign Policy: Key Documents. New York: Taylor and Francis. 2003.

²⁷ევროკავშირის ისტორია <https://old.infocenter.gov.ge> ბოლოდ გადამოწმებული იყო- 20.10.2020.

1950 წელს საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა პლევინმა წარადგინა ე.წ „პლევინის გეგმა“²⁸, რომელიც გაერთიანებული სარდლობის ხელმძღვანელობით, ერთიანი ევროპული არმიის შექმნას ითვალისწინებდა. 1950-1952 წლებში როგორც ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე, სამხედრო უსაფრთხოებისთვის ეს გეგმა გახდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ფარგლებში განხილვისა და მოლაპარაკების საგანი. ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნა თითქმის რეალობად იქცა, რაც საერთო ევროპული არმიის შექმნასაც ითვალისწინებდა.

1950 წლის დეკემბერში გამართულმა ნატო-ს საბჭომ ერთდროულად მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთის ორგანიზაციის (ბრიუსელის პაქტის) დაშლის შესახებ, მას შემდეგ, რაც მოხდა მისი შერწყმა ნატოს სამხედრო ორგანიზაციასთან. თუმცა, 1954 წელს, საფრანგეთის სენატის გადაწყვეტილებით, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. მიზეზად კი რენე პლევინის გეგმის განხორციელების შემთხვევაში ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტის შესაძლო შელახვა დასახელდა. ეს გეგმა არ განხორციელდა, რადგანაც ის უარყოფილ იქნა 1954 წლის 30 აგვისტოს საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ. საფრანგეთმა 1961 წელს კიდევ ერთხელ წამოაყენა წინადადება პოლიტიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ. ამ ეტაპზე ეს უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია, რომელიც არა ზესახელმწიფოების მიერ წამოყენებულ პრინციპებს, არამედ მთავრობათაშორისი თანამშრომლობის ფორმებს დაემყარებოდა. მისი ფუნქციონირება დიპლომატიური კონფერენციის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, რომლის ამოცანასაც სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ჰარმონიზაცია გულისხმობდა ნევრი ქვეყნების მხრიდან საერთო თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, კულტურული თანამშრომლობის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის

²⁸ პლევინის გეგმა <https://www.fransamaltintvongeusau.com>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 15.12.2020.

სფეროში, მაგრამ მას თავის საქმიანობის ფარგლებში არ უნდა დაერღვია წევრი სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტი.

პოლიტიკური გაერთიანების იდეას, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოები მათი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას მოახდენდნენ, აქტიურად უჭერდნენ მხარს ევროგაერთიანების პატარა ქვეყნები. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ასეთი ასოციაციების ფედერალური ტიპის გაერთიანებები, რომლებიც უფლებამოსილებით იქნებოდნენ აღჭურვილი, შეძლებდნენ დიდი ქვეყნების ეგოიზმის გადალახვას, რომლებიც, თავის მხრივ, შედიოდნენ აღნიშნულ გაერთიანებაში და, მეტწილად, მხედველობაში მიიღებდნენ მათ ინტერესებს. საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა თანამეგობრობის გაძლიერებასა და წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილების შესუსტებას ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მიღების კონტროლის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

1961 წლის ფუშეს პირველი გეგმას „ევროპის პოლიტიკური კავშირის შექმნის ჩარჩო-ხელშეკრულების შესახებ“ მხარს უჭედა შარლ დე გოლი, რომელიც მიზნად ისახავდა „მიიღოს ერთობლივი საგარეო პოლიტიკა იმ საკითხებში, რომლებიც წევრ სახელმწიფოთა საერთო ინტერესს წარმოადგენს“.²⁹ ხოლო, 1983 წელს მიღებულ იქნა შტუტგარტის დეკლარაცია ევროპის კავშირის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საჭირო იყო: „ერთობლივი პრინციპების და მიზნების პროგრესული განვითარება და საერთო ინტერესების დადგენა, რათა გაძლიერდეს საგარეო პოლიტიკის სფეროში ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობები“.

1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარდგენილ იქნა „დავინიონის მოხსენება“, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის პოლიტიკურ თანამშრომლობას, რომელიც შემდგომში, 1987 წელს, ფორმალურად იქნა

²⁹ Hill C., Smith, K. E. European Foreign Policy: Key Documents. New York: Taylor and Francis. 2003.

შეყვანილი საერთო ევროპულ აქტში. დავინიონის მოხსენება წლების მანძილზე წარმოადგენდა ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად დოკუმენტს. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის მთავარი მახასიათებელი იყო წევრ ქვეყნებს შორის კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომლებიც განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.³⁰

1973 წელს კოპენჰაგენის სამიტმა გამოსცა მოხსენება ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ. ეპთ-ს ფარგლებში შეიქმნა ევროპელი კორესპონდენტების ჯგუფი, რომელიც წევრი სახელმწიფოების უმცროსი მოხელეებისგან შედგებოდა. მათ წევრ სახელმწიფოებში ეპთ-ის საქმიანობისა და კომუნიკაციის მონიტორინგი ევალებოდათ. ამ ფორმატის მეშვეობით დღის წესრიგში დადგა ადამიანის უფლებათა საკითხები, რამაც აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკურ ცვლილებებს შეუწყო ხელი, მაგრამ იყო ისეთი საკითხებიც, რაზეც ისინი ვერ თანხმდებოდნენ, და ეს სრულიად ადეკვატური გახლდათ, რადგან ევროპის ქვეყნებს იმ ეტაპზე განსხვავებული ინტერესები ჰქონდათ.

1987 წელს ბრიუსელში შეიქმნა ეპთ-ს მცირე სამდივნო და დამტკიცდა, რომ სამდივნო და ევროპელი კორესპონდენტები ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის მეთვალყურეობის ქვეშ იმუშავებდნენ. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა წარმოადგენდა ფორუმს, სადაც წევრ ქვეყნებს შეეძლოთ, ჩაეტარებინათ კონსულტაციები საგარეო საქმეთა საკითხებზე, თუმცა, ეს მხოლოდ კონსულტაციები და რეკომენდაციები იქნებოდა, რადგან რეალურად არ არსებობდა მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ამ პოზიციების დაკანონება და მისი განხორციელება მოხდებოდა.

ევროკავშირი, რომელმაც დაიწყო საქმიანობა, როგორც წმინდა ეკონომიკურმა კავშირმა, გადაიქცა ორგანიზაციად, რომელიც მოიცავს

³⁰ კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი.სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2006.

სხვადასხვა სფეროებს ესენია: კლიმატი, გარემო, ჯანმრთელობა, საგარეო ურთიერთობები და უსაფრთხოება, სამართლიანობა და მიგრაცია. ევროკავშირმა მსოფლიოში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უზრუნველყო მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა, ასევე, ხელი შეუწყო ცხოვრების დონის ამაღლებას.³¹

ევროკავშირის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობამ და ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ ევროპელებს კიდევ ერთხელ დაანახა საგარეო პოლიტიკაში საერთო პოზიციის არქონით გამოწვეული სისუსტე.

იუგოსლავიის დაშლის პერიოდში, სისხლიანი ომების დარეგულირებასა და კონფლიქტების თავიდან აცილებაში ევროპამ სუსტი როლი ითამაშა. ამით ნათელი გახდა, რომ ევროპა აბსოლუტურად არაქმედითუნარიანი იყო სამხედრო საკითხებში და, როგორც ცივი ომის პერიოდში, იგი ახლაც ამერიკისა და ნატოს შემყურე უნდა ყოფილიყო. ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირისთვის თავდაცვის პოლიტიკისა და უსაფრთხოებისა შექმნის შესაბამისი პირობები შეიქმნა. 1992 წელს ე. მაასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას³² ევროკავშირის შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც „მაასტრიხტის ხელშეკრულება“. ამ ხელშეკრულების გაფორმებით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა.

³¹ Directorate-General for Communication (European Commission), The European Union What it is and what it does, ბოლოს გადამოწმებული იყო - 01.02.2020.

³² Treaty on European Union, <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.05.2020.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით შესწორდა და ერთ დოკუმენტში გაერთიანდა მანამდე არსებული ყველა ხელშეკრულება პარიზის³³, რომის³⁴ ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი³⁵. ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) დაფუძნებული მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე, რომლის B მუხლში ვკითხულობთ, რომ კავშირის მიზანია, „განამტკიცოს თავისი იდენტობა საერთაშორისო სცენაზე, განსაკუთრებით, ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებით, რომლის ნაწილსაც შეადგენს ერთობლივი თავდაცვის პოლიტიკის საბოლოო ფორმირება“.³⁶ ძალაში შევიდა 1993 წლის პირველ ნოემბერს და შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდა ისეთი ხელშეკრულებებით, როგორიცაა ამსტერდამის ხელშეკრულება (1999), ნიცის ხელშეკრულება (2003) ან ლისაბონის ხელშეკრულება (2007). ამ ხელშეკრულებებით ევროკავშირმა საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსიც შეიძინა.

1996 წელს დაწყებული სამთავრობათაშორისო კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც წინ უძღოდა ამსტერდამის ხელშეკრულების შექმნას, იყო ის, რომ გაეძლიერებინა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) და მიეცა კავშირისთვის საშუალება, უკეთ შეესრულებინა თავისი როლი საერთაშორისო პოლიტიკაში. CFSP-ის განვითარებისკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნა, რომელსაც, ლისაბონის ხელშეკრულებით, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ეწოდა.³⁷

³³ პარიზის ხელშეკრულება. <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 2.05.2020.

³⁴ რომის ხელშეკრულება. <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 2.05.2020.

³⁵ ერთიანი ევროპული აქტი. <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 2.05.2020.

³⁶ Treaty on European Union. Brussels/Luxembourg, Belgium/Luxembourg: Council of the European Communities/Commission of the European Communities.

³⁷ ლისაბონის ხელშეკრულება <http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.10.2020.

1997 წელს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელმაც გააძლიერა ევროკავშირის ერთიანობა საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში, განსაზღვრა მისი სამხედრო პოტენციალის განვითარების გზები და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამის ხელშეკრულებამ ბევრი ქმედითი ცვლილება შეიტანა საერთო საგარეო პოლიტიკის განვითარების საქმეში, პროცესი მაინც არ ითვლებოდა დასრულებულად, ვინაიდან ამ ცვლილებებს ზურგს არ უმაგრებდა საერთო თავდაცვა. ქვემოთ აღწერილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ევროკავშირის საერთო თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში.

1998 წლის სენტ მალოს სამიტი წარმოადგენდა პრეზიდენტ ჟაკ შირაკსა და ტონი ბლეარს შორის არაფორმალურ შეხვედრას, რომლის შედეგადაც გამოიცა სენტ მალოს დეკლარაცია. მასში ნათქვამია, რომ ღროა, ევროპამ შესაფერისი როლი შეასრულოს საერთაშორისო არენაზე. მან უნდა „აამუშაოს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩადებული დებულებები სსუპ-ს სფეროში, თანდათანობით, საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების განვითარების ჩათვლით“. მიღებული დეკლარაცია ხაზს უსვამს ნატოს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში. აღნიშნავს, რომ ევროპამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ნატოს მოდერნიზაციის საქმეში. მაგრამ ევროპას ასევე უნდა ჰქონდეს „მოქმედების საშუალება ისეთ სიტუაციებში სადაც ალიანსი არ არის ჩართული“. სენტ მალოში საფრანგეთმა და ბრიტანეთმა დააფიქსირეს, რომ ისინი გააერთიანებდნენ ძალისხმევას, რითაც საშუალება მიეცემოდა ევროკავშირს ამ მიზნების განხორციელების შესაძლებლობებში.³⁸

1998 წელს სენტ მალოში გამართული შეხვედრა ისტორიაში შესულია, როგორც გადამწყვეტი მომენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვის

³⁸ კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.

აღორძინების საქმეში. ევროკავშირი მიჩნეულია, როგორც რბილი ძალის ე.წ. (Soft Power) გამტარებელი საერთაშორისო ურთიერთობებში, და მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მშვიდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორებიც არის არჩევნების სადამკვირვებლო მისიები, ჰუმანიტარული დახმარება პოლიტიკურ დიალოგები, მედიაცია (საშუამავლო საქმიანობა) და სხვა. თუმცა, ევროკავშირს ესაჭიროებოდა „ხისტი ძალის“ განვითარება და აქედან საფუძველი ჩაეყარა საერთო თავდაცვას ანუ CSDP-ს.

1999 წლის ივნისის კიოლნის ევროპული საბჭოს დეკლარაციამ გაითავისა სენტ მალოს დეკლარაცია და თითქმის მთლიანად მიიღო იქ მიღწეული შეთანხმებები. ამჯერად ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი, რომ განევითარებინათ საერთო თავდაცვა.³⁹

ჰელსინკის ევროპული საბჭოს (1999 წლის დეკემბერი) მიერ შეიქმნა პოლიციისა და უსაფრთხოების კომიტეტი, ხოლო 2000 წელს ნიცას სამიტზე მას მუდმივმოქმედი ინსტიტუციური სტატუსი მიენიჭა, რის შედეგადაც ეს კომიტეტი 1. ახორციელებს იმ საერთაშორისო მოვლენებზე დაკვირვებას, რომლებზეც ვრცელდება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პირობები; 2. მონაწილეობს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს განსაზღვრის პროცესში; 3. ახორციელებს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის გადანაცვებილების აღსრულების მონიტორინგს.⁴⁰ ამგვარად მაასტრიხტის, ამსტერდამის და ლისაბონის ხელშეკრულებებით, კონფლიქტის პრევენციის პირობებია ჩადებული.

1999 წელს ჰელსინკიში ევროპულმა საბჭომ მიიღო გადანაცვებილება სწრაფი რეაგირების ჯარების ჩამოყალიბების შესახებ. ამ გადანაცვებილებით, წევრ სახელმწიფოებს უნდა შეძლებოდა 60 დღის ვადაში 60 000-მდე

³⁹ Cologne European Council Declaration on the common policy on security and defence (4 June 1999) <https://www.cvce.eu/en>. ბოლოს გადამოწმებული იყო -11.10.2020.

⁴⁰ მირიანაშვილი გ. ევროპული კავშირის სამართლებრივი ცნობარი. თბილისი. 2015.

სამხედრო მოსამსახურის მობილიზება, რომლებიც, მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში, პეტერსბერგის ამოცანების შესრულების მიზნით განხორციელებულ ოპერაციებში მონაწილეობას მიიღებდნენ. გარდა ამისა, 2005 წლიდან შეიქმნა მობილური ჯგუფი 1500-დან 2000-მდე სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით, რომლებიც 10-15 დღის ვადაში შეძლებენ მობილიზებასა და 30-დან 120 დღემდე ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას.⁴¹

სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭოზე (2000 წლის ივნისი) წვერი ქვეყნები შეთანხმდნენ სამოქალაქო „მთავარ ამოცანაზე“, ანუ ესდპ-ს სამოქალაქო კომპონენტის განვითარებაზე, ასევე, იმაზე, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად. მაშასადამე, სენტ მალოსა და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარეს საერთო თავდაცვას, ანუ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას (ეუთპ), რომელიც ნიცის ხელშეკრულების მიერ ფორმალურად იქნა შეყვანილი ევროპის ინსტიტუტებში. ნიცის ხელშეკრულებამ, ასევე, შექმნა ეუთპ-ს სტრუქტურა, რომელიც შედგება სამი ახალი კომპონენტისაგან: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC - COPS - პუკ) და ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (ესკ), ევროკავშირის სამხედრო შტაბი (ესშ).⁴²

თუმცა ევროკავშირი არ არის სამხედრო ორგანიზაცია, ის მაინც, ძირითადად, ორიენტირებულია კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე და არა ტრადიციულ, ძალისმიერ თავდაცვაზე (ESDP).⁴³

⁴¹ გაბრიჩიძე გ. ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი. თბილისი. 2012.

⁴² კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2006.

⁴³ Franco-British St. Malo Declaration (4 December 1998) <https://www.cvce.eu>. ბოლოს გადამოწმებული იყო - 5.11.2020

I.II. ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკა

ევროკავშირის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს. 1948 წელს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ბენილუქსის ქვეყნების მიერ ბრიუსელის ხელშეკრულების გაფორმება იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის პირველი ინსტიტუციური მცდელობა. აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავდა საერთო თავდაცვის შესახებ მუხლსაც, რომელიც დასავლეთ ევროპის კავშირის შექმნის მთავარი საფუძველი იყო. დასავლეთ ევროპის კავშირი 1990-იან წლებამდე NATO-სთან ერთად ევროპაში უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე დიალოგის ფორუმს წარმოადგენდა, რომელიც დროთა განმავლობაში ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოში სრულიად ინკორპორირდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, განიხილებოდა თანამშრომლობის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებსაც უნდა მოეხდინათ გაერთიანების წევრი ქვეყნების პოლიტიკური დაახლოება და ინტეგრაცია.⁴⁴

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ისევე როგორც საერთო უსაფრთხოება და თავდაცვის პოლიტიკა, წარმოადგენს ევროკავშირის ფართო საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მოიხსენიება როგორც „ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული პოლიტიკის კოლექტიური ერთობლიობა გარე საკითხების პრობლემების გადასაჭრელად და ურთიერთობების სამართავად“.⁴⁵

⁴⁴ <https://eeas.europa.eu/> ბოლოს გადამოწმებული იყო -15.03.2021

⁴⁵ Webber M. The Common Security and Defence Policy in a multilateral world. In: Koutrakos, P. European Foreign Policy – Legal and Political Perspectives. Cheltenham: Edward Elgar, pp. 205-234. 2011.

ევროგაერთიანებას მაღალი დონე ახასიათებდა ისეთ სფეროებში, როგორცაა ეკონომიკა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და სამართალი, თუმცა, საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროებში არაეფექტურობით გამოირჩეოდა. სწორედ ამის გამო, 1991 წელს ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარკ ეიკსენსმა მწვავედ გააკრიტიკა ევროკავშირის ქმედითუნარიანობა სავაჭრო ზონის მიღმა და ევროკავშირს ეკონომიკური გიგანტი, პოლიტიკური ჯუჯა და სამხედრო ჭია უწოდა.⁴⁶ სწორედ ამ საქვეყნოდ გამოაშკარავებული უძლურების გამო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო, ევროპას განეფიქრებინა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რათა საკადრისი სიტყვა ეთქვა საერთაშორისო არენაზე. ეს იყო ბრიტანეთის პოლიტიკის 180 გრადუსით შემობრუნება, ვინაიდან წარსულში დიდი ბრიტანეთი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ევროპის მიერ ავტონომიური სამხედრო მექანიზმების შექმნას.⁴⁷

ე. აკობიას თავის ნაშრომში „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ განხილული აქვს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროში წელი ტემპით ინტეგრაციის ორი გარემოება. პირველი - საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, რომელიც ტრადიციულად სახელმწიფოს კომპენტენციის სფეროებია და კავშირშია ქვეყნის სუვერენიტეტთან, დამოუკიდებლობის ხარისხსა და ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისად, ავტორის განმარტებით ევროკავშირში გაერთიანებულ წევრ სახელმწიფოებს ყოველთვის უჭირდათ საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში საერთო პოზიციის შემუშავება, მეორე მიზეზად ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) ზრუნვას ასახელებს. ავტორის განმარტებით მათ

⁴⁶ Europe as an Economic Giant but a Political Dwarf in the Balkans. <https://insamer.com/en>, ბოლოს გადამოწმებული იყო -1.11.2020,

⁴⁷ კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

მიაჩნდათ, რომ არ იყო მიზანშეწონილი წმინდა ევროპული სტრუქტურის შექმნა, რომელიც ნატოს გაუწევდა კონკურენციას და მის საჭიროებას ეჭვებში დააყენებდა. თუმცა, წევრი ქვეყნები მიხვდნენ, რომ მისი დიპლომატია ნაკლებად ეფექტური იყო სამხედრო ძალის არქონის გამო, და უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნა ნატოსაგან დამოუკიდებელად, თავდაცვითი მექანიზმისა და საკუთარი გავლენის გაზრდის სურვილს ეფუძნებოდა.⁴⁸

ევროპელ ლიდერებს სურდათ, გაეძლიერებინათ ევროკავშირის თავდაცვითი შესაძლებლობები და მათ აეცილებინათ ისეთი საფრთხე ევროპის ქვეყნებში, როგორიც იყო რევანშისტული რუსეთი და გახშირებული ტერორისტული აქტები. ევროკავშირს ერთობლივი მოქმედების გაძლიერება საშუალებას მისცემდა, ევროპულ ქვეყნებს დაეწყოთ იმის დაზუსტება, თუ რისგან აპირებდნენ თავდაცვას. სწორედ ამის გამო არსებობდა სხვადასხვა მცდელობა, რომ ეს იდეა განეხორციელებინათ.

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, 1993 წელს და მისი მიზანია:

- ევროკავშირის ღირებულებების დაცვა, ფუნდამენტური ინტერესები, უსაფრთხოება, დამოუკიდებლობა და მთლიანობა;
- დემოკრატიის კონსოლიდაცია და მხარდაჭერა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლის პრინციპები;
- მშვიდობის შენარჩუნება, კონფლიქტების თავიდან აცილება და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება;

⁴⁸ აკობია ე. ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და ინსტრუმენტები, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდი. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები. თბილისი 2006.

- მოსახლეობისათვის, ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ბუნებრივ და ხელოვნურად გამოწვეულ სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლაში დახმარების გაწევა.⁴⁹

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში, მას ჰყავს ჯარები, პოლიცია და მოსამართლეები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას მსოფლიო მასშტაბით და ქვეყნებსა და რეგიონებში კონფლიქტების შემდგომ სტაბილიზაციას.

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა გადანაცვეტილებების მიღების თვალსაზრისით, თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ლისაბონის 2009 წლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ევროკავშირს სამართალ სუბიექტურობა მიენიჭა. აღნიშნული ხელშეკრულება უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავდა ისეთი უნივერსალური სისტემის ჩამოყალიბებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელიც გადანაცვეტილებების მიღების კუთხით, შედარებით მარტივ სისტემას დაეფუძნებოდა.⁵⁰

ლისაბონის შეთანხმების მიხედვით,⁵¹ შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის, ასევე, ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები მათ მიზნად დაისახეს ევროკავშირის დონეზე გადანაცვეტილებების მიღების გაადვილება, რაც მისი წევრი ქვეყნების სიმრავლესთან ერთად, დროთა განმავლობაში, სულ უფრო გართულდა. ასევე, ცვლილებები შევიდა ხმის მიცემის პროცედურებში 45-ზე მეტ სფეროში ერთსულოვნების პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით.

⁴⁹ რა არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა <https://eumm.eu/ge>. ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.05.2021.

⁵⁰ Turunen Tuula, Legrand Jerome: Foreign policy: aims, instruments and achievements, 2018

⁵¹ საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ <http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html>, ბოლოს გადამოწმებული იყო 10.12.2020.

2003 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელშიც ნათქვამია: „...ჩვენ უნდა გავზარდოთ აღმოსავლეთში ჩვენს მეზობლებთან ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის სარგებელი და უნდა ვებრძოლოთ იქ არსებულ პოლიტიკურ პრობლემებს. ახლა უფრო ძლიერი და აქტიური ინტერესი უნდა გამოვიჩინოთ სამხრეთ კავკასიის პრობლემების მიმართ“.⁵² აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, და ასევე, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის არსი ისაა, რომ უფრო ძლიერი ვართ მაშინ, როდესაც ერთად ვმოქმედებთ...“.⁵³ 2003 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში ევროკავშირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან უნდა გამოიჩინოს ძლიერი და უფრო აქტიური ინტერესი სამხრეთ კავკასიის პრობლემებისადმი, რომლებშიც, რა თქმა უნდა, შედის მეზობელი რეგიონებიც“.⁵⁴

2008 წელს ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიაში შეიტანეს ცვლილებები მას დაემატა შემდეგი საკითხები: ენერგეტიკული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება და კლიმატის ცვლილებები. დოკუმენტში გამოკვეთილია ევროკავშირის უფრო აქტიურ, ეფექტურ და უნარიან (capable) ორგანიზაციად გარდაქმნის მიზანი, როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე მის სამეზობლო სივრცეში.⁵⁵

2016 წლის 8 იანვარს, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, ფედერიკა მოგერინის მიერ წარმოდგენილ იქნა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რიგით მეორე სტრატეგიული

⁵² European Security Strategy: A Secure Europe in a Better World. Brussels, Belgium: European Communities. <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 13.09.2020.

⁵³ European Security Strategy: A Secure Europe in a Better World. Brussels, Belgium: European Communities <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 13.09.2020.

⁵⁴ საქართველოს საკონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 08.07.2005.

⁵⁵ Solana J. European Security Strategy, European Communities, 2009.

დოკუმენტია. „გაზიარებული ხედვა, ერთობლივი მოქმედება - ძლიერი ევროპა“. რომლის მიხედვით, აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ან გასაწესებლად, საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა და ყველა ინსტრუმენტის გამოყენება, რომლებიც ევროკავშირს გააჩნია, მან უნდა გაზარდოს და მოახდინოს რესურსების დიფერენციაცია და უზრუნველყოს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ქმედებების თანმიმდევრობა და ეფექტიანობა.⁵⁶ აღნიშნული დოკუმენტი ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა 2016 წლის 28 ივნისს.

გლობალური სტრატეგიის მიხედვით ევროკავშირმა განსაზღვრა ხუთი ძირითადი პრიორიტეტი: კავშირის უსაფრთხოება, სახელმწიფო და სოციალური მდგრადობა ევროკავშირის სამხრეთითა და აღმოსავლეთით, კონფლიქტებისადმი ინტეგრირებული მიდგომა, თანამშრომლობითი რეგიონული განკარგულებები და გლობალური მმართველობა 21-ე საუკუნეში.

ევროპული უსაფრთხოების ამ სტრატეგიაში, ევროკავშირის უსაფრთხოებისთვის ხუთი ძირითადი საფრთხეა აღნიშნული: ტერორიზმი, იარაღის გავრცელება, მასობრივი განადგურება, რეგიონული კონფლიქტები, სახელმწიფოების დაშლა (ყველაზე ცნობილი მაგალითებიდან დასახელებულია სომალი, ლიბანი და თალიბების მიერ მართული ავღანეთი), ორგანიზებული დანაშაული. სწორედ მათ წინააღმდეგაა მიმართული ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „სტრატეგიული მიზნების“ სამ ჯგუფს: პირველი - საფრთხეების წინააღმდეგობა და მათი ნეიტრალიზაცია. მეორე - ევროკავშირის გარშემო მეგობრულად განწყობილი მეზობლების სარტყელის შეიქმნა, ასევე, თანამშრომლობა

⁵⁶ ზურაბიშვილი თ. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. 2016.

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან - მათ შორის რუსეთთან. მესამე - ურთიერთქმედება გაეროსა და მის უშიშროების საბჭოსთან, რომელსაც „გააჩნია პირველადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში“.⁵⁷

გლობალური სტრატეგიის პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირის უსაფრთხოება. იგი შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, ისარგებლონ უპრეცედენტო უსაფრთხოებით, დემოკრატიითა და კეთილდღეობით.

„სტრატეგიული სუვერენიტეტი“ ხაზს უსვამს ევროკავშირის შესაძლებლობას, იმოქმედოს იმის აღიარებით, რომ ტრანსნაციონალური საფრთხეების მოგვარება შეუძლებელია მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის საზღვრებში. კონცეფცია ფოკუსირებულია ევროპელთა ლეგიტიმურ ამბიციებზე, რომ იყვნენ სუვერენული სტრატეგიული აქტორები აშშ-თან ურთიერთობის მინიშნების გარეშე. სტრატეგიული სუვერენობა ხაზს უსვამს ევროკავშირის მოქმედების უნარს და აღიარებს, რომ ტრანსნაციონალური საფრთხეები არ შეიძლება მიმართული იყოს ეროვნული უსაფრთხოების საზღვრებში და მოქმედებდნენ პრინციპით. „ერთად, როდესაც ეს შესაძლებელია, მართო - თუ ეს აუცილებელია“. რასაკირველია, ასეთ კონცეფციას არ შეეძლო შეეცხო სტრატეგიული პრიორიტეტების არარსებობა და, აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა უფრო პოლიტიკური საკითხების მოგვარება.⁵⁸

ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს მშვიდობა და უსაფრთხოება, დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა არა მარტო მის წევრ ქვეყნებში და უშუალო სამეზობლოში, არამედ მსოფლიოს ცხელ წერტილებშიც.

⁵⁷ Буторина О. Европейская интеграция. Европейская интеграция, 2011.

⁵⁸ Quencez M.; Besch S. The Challenges Ahead for EU Defense Cooperation. German Marshall Fund of the United States. 2020.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას ევროკავშირის ინტეგრაციის შვილად მოიაზრებენ, ხოლო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას შვილთაშვილად,⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ ის განიხილება, როგორც ევროკავშირის პოლიტიკის ყველაზე დინამიური ინსტიტუციური განვითარებისკენ გადაგზავნილი ნაბიჯი.

ს. კეიკელერი და ტ. დელრო თავიანთ ცნობილ წიგნში „ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკა“, წერენ, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა მრავალმხრივი, მრავალმეთოდური და მრავალდონიანია. ასევე, გამოყოფენ საგარეო პოლიტიკის განვითარების სამ ძირითად ეპიზოდს: პირველი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი - ევროპული პროექტის წარმოშობა და ფორმირება, შემდეგ კი მომდევნო ათწლეულები; მეორე, გვიანი 1980-იანი და ადრეული 1990-იანი წლები - ცივი ომის დასასრული და დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის დაახლოების ახალი შესაძლებლობები და მესამე, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი - გლობალურ ძალთა ბალანსის ცვლილება.⁶⁰

2017 წლის 13 ნოემბერს ევროკავშირის 23 ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პერმანენტულ სტრუქტურულ თანამშრომლობას (PESCO) მოაწერეს ხელი⁶¹, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს მექანიზმს ევროკავშირის ე.წ. მყარ ძალად (hard power) ტრანსფორმაციისთვის. ასევე, იენისში, ევროპულმა კომისიამ ევროპული თავდაცვის ფონდი შექმნა⁶², რისთვისაც ყოველწლიურად 5.5 მილიარდი ევრო გამოიყო წევრი ქვეყნების შეარაღების

⁵⁹ Techau J. Carnegie Europe. <https://carnegieeurope.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 11.10.2020.

⁶⁰ Keukeleire S. Delreux T. The Foreign Policy of the European Union. New York: Palgrave Macmillan. 2014.

⁶¹ Permanent Structured Cooperation (PESCO) - <https://journals.sagepub.com>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 30.04.2021.

⁶² European Commission - http://europa.eu/rapid/press-release_IP-17-1508_en.htm ბოლოს გადამოწმებული იყო - 30.04.2021.

თანამედროვე ტექნოლოგიების მოდერნიზაციისთვის. ასევე, ევროკავშირის საბჭომ და ევროპულმა საბჭომ მხარი დაუჭირეს კიდევ ერთი თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტის შექმნას – „სამხედრო დაგეგმვასა და შესაძლებლობების განხორციელებას (MPCC)“.⁶³ იგი მიზანმიმართული იყო სამწვრთნელო ოპერაციებსა და კრიზისების მართვაზე. MPCC ახორციელებს ევროკავშირის სამწვრთნელო მისიებს აფრიკის სამ ქვეყანაში, სომალიში, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს თავისი სამხედრო და სამოქალაქო საშუალებების გამოყენება.

მართალია, ევროკავშირის ფუნდამენტური პრინციპები არის ნახსენები, როგორც „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგიის“ 2016 წლის დოკუმენტში, ასევე, 2003 წლის „ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში“ თუმცა, რეალობაში მათი როლი საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ძალიან მცირეა. ამის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება ხშირად არა სუპრანაციონალურ დონეზე, არამედ წევრი სახელმწიფოების კომპეტენციად განიხილება და ხშირად მათი ეროვნული ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ CSDP-ს ფუნქციონირების პირველი ათწლეულის განმავლობაში, შეინიშნებოდა შესაძლებლობებსა და მოლოდინებს შორის უფსკრული. ევროკავშირის ნებისმიერი სამხედრო თუ სამოქალაქო ოპერაცია დამოკიდებულია წევრი ქვეყნების სურვილზე, საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ მატერიალური, ფინანსური, სამხედრო და სამოქალაქო დახმარება.

⁶³ Europa Consilium. EU defence cooperation: Council establishes a Military Planning and Conduct Capability (MPCC) <https://www.consilium.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.04.2021.

ევროკავშირი ჩართულია უსაფრთხოების სექტორის სფეროებში, რომლებიც მოიცავს პოლიციასა და სამხედრო ოპერაციებს, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემების გაუმჯობესებას.

I.III. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: მიზნები და ამოცანები

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ამოცანას წარმოადგენს. ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორად საერთაშორისო არენაზე, რომლის მიმართაც საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი დღითიდღე იზრდება. აღნიშნული მოვლენა სრულად არის მხარდაჭერილი ქართული საზოგადოების უმრავლესობის მიერ. 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.⁶⁴

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების

⁶⁴ მიქაძე მ., ლომია ე., ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველოს მაგალითზე) სამეცნიერო ჟურნალი, სამართალი და ეკონომიკა. 2019. <http://dspace.nplg.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო 20.05.2021

მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში განწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს. შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები: თანამშრომლობის საბჭო, თანამშრომლობის კომიტეტი და საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, რომელთა ძირითად ფუნქციას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა.⁶⁵

ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობები მოიცავს პერსპექტივებს სამ ძირითად სფეროსთან მიმართებაში - დემოკრატია და კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, სამხედრო თანამშრომლობა და ეკონომიკური ურთიერთობები. ეკონომიკური განვითარების დონე, კორუფცია, მიგრაცია, კანონის უზენაესობა, შიდა დაპირისპირებები და არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად აფერხებს ქვეყნის ევროკავშირში განწევრიანებას. თუმცა, საქართველო ევროკავშირის მხრიდან რეგიონში „მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად“ და აღმოსავლეთ

⁶⁵ თანამშრომლობის ისტორია <http://dspace.nplg.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 20.02.2020.

პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ლიდერად მიიჩნევა.⁶⁶ „საქართველოს მოქალაქეების მტკიცე ნებაა ჩამოაყალიბონ დემოკრატიული წესრიგი, ეკონომიკური თავისუფლება, კანონის უზენაესობად მყოფი სოციალური სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის უნივერსალური უფლებები და თავისუფლებები, გაამყარონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება სხვა ქვეყნებთან...“ აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში.⁶⁷

ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში კომპლექსურად ჩართულია სახელმწიფოში არსებული ყველა რესურსი, თუმცა, მის დაცვას, ძირითადად, უზრუნველყოფს არმია, დაზვერვისა და კონტრ - დაზვერვის სამსახურები, სამართალდამცავი და ჯანდაცვის სტრუქტურები.

უსაფრთხოების სტრატეგიის შესრულების ანგარიშის შექმნის შედეგად მოხდა მთავარი საფრთხეებისა და მათთან ბრძოლის ხერხების გადახედვა. გამოწვევათა სიაში გაჩნდა კიბერუსაფრთხოების, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილების ნაწილები, ხოლო შესრულების ნაწილს დაემატა სამეზობლოს ქვეყნებთან აქტიური ჩართულობის პოლიტიკა, რომელიც, თავის მხრივ, რეგიონული ინტეგრაციისადმია მიმართული. 2003 წლიდან ევროკავშირმა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში 30-მდე სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო ოპერაცია დაიწყო, მათ შორის: საპოლიციო მისია, კრიზისების სამხედრო მენეჯმენტი, სამშვიდობო, სამოქალაქო და საზღვრის მონიტორინგი, ინდონეზიაში ცუნამის შემდგომი მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის სამშვიდობო მისიის გაგზავნა, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ლტოლვილების

⁶⁶მიქაძე მ., ლომია ე., ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველოს მაგალითზე) სამეცნიერო ჟურნალი, სამართალი და ეკონომიკა. 2019.

<http://dspace.nplg.gov.ge> -ბოლოს გადამოწმებული იყო 20.05.2020.

⁶⁷ Georgia, M. o. (n.d.). National Security Concept of Georgia. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of Georgia: <http://www.mfa.gov.ge> ბოლოს გადამოწმებული იყო - 2.02.2021.

დაცვა, ე. წ. „აფრიკული რქის“ ქვეყნებში (ჯიბუტი, სომალი, სუდანი და ეთიოპია) მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა.⁶⁸

რუსეთი მკაცრად ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას და აძლიერებს ისეთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს, როგორებიცაა „დსთ“-ის სივრცეში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, ევრაზიის კავშირი და შანხაის ორგანიზაცია, რომლებიც, ცხადია „აშშ-ის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სტრუქტურებია“.⁶⁹

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ა. რასმუსენი აღნიშნავს, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის მამოძრავებელ ძალად იქცა. ასევე, აღნიშნავს, რომ საქართველოს შემთხვევა შეიძლება განვითარდეს იმ მოდელის მიხედვით, რომლის მიხედვითაც კვიპროსი გახდა ევროკავშირის წევრი. „კვიპროსი არის სრულუფლებიანი წევრი ევროკავშირისა და ევრო ზონისა, მაგრამ ევროკავშირის კანონები არ ვრცელდება კვიპროსის იმ ნაწილზე, რომელსაც კვიპროსის მთავრობა ვერ აკონტროლებს (ჩრდილოეთ კვიპროსის არაღიარებული სახელმწიფო). მსგავსად NATO-ს შეუძლია უსაფრთხოების გარანტიები გაავრცელოს იმ დანაწარჩენ სრულ ტერიტორიებზე, რომლებიც საქართველოსა და უკრაინის მთავრობების მიერ კონტროლდება მიმდინარე ეტაპზე. რაც უფრო მეტად დავუშვებთ პუტინის ჩარევას ამ ქვეყნის საქმეებში, მით უფრო მეტად შეეცდება ის, ძირი გამოუთხაროს სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს“⁷⁰ - წერს ა. რასმუსენი.

⁶⁸ შარაშენიძე თ. ნატოს შესახებ. სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. 2019.

⁶⁹ ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბილისი. 2010, გვ. 85.

⁷⁰ NATO's duty at 70 <https://www.neweurope.eu> ბოლოს გადამოწმებული იყო - 15.05.2021.

საქართველოს ხელისუფლებისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის⁷¹ რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების სტრატეგია დღემდე უცვლელი რჩება. მისი მთავარ ამოცანას წარმოადგენს კონფლიქტების მოგვარებაში მშვიდობიანი პოლიტიკის განხორციელება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და განვითარება. აღნიშნული პოლიტიკა ორ მთავარ მიმართულებას აერთიანებს: ესენია - კონფლიქტების საფუძველზე დაშორებული საზოგადოების შერიგება და ქვეყნის დეოკუპაცია. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ხელდასმული ჩამოყალიბებულია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების რვა მთავარი ამოცანა.

პირველი ამოცანა ქვეყანაში მშვიდობის დაცვის უზრუნველყოფას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს: „ერთიანი ძალისხმევის განხორციელებას, მშვიდობის დაცვას, უსაფრთხოების რისკებსა და შესაძლო პროვოკაციების განეიტრალებას, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, რომელიც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი კურსისა და ეკონომიკური განვითარების ვექტორის დაცვისა და კონფლიქტების მშვიდობიანი, წარმატებული, მოგვარების წინაპირობაა“.⁷² აღნიშნულ სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა ცალსახად მშვიდობიანია.

⁷¹ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც მოიცავს ისტორიულ შიდა ქართლს. 1922 წელს სსრკ-ს შექმნასთან ერთად დაარსდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში მიიღო დადგენილება ოლქის გაუქმების შესახებ და ეწოდა ცხინვალის რეგიონი. სეპარატისტულმა ძალებმა ამავე წელს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოს უწოდეს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს კონსტიტუციაში რეგიონის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ხოლო სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში — „ცხინვალის რეგიონი“.

⁷² შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <https://smr.gov.ge/ge/page/35/ministris-xedva>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 02.08.2020.

მეორე ამოცანაში ჩამოყალიბებულია რუსეთთან მიმართებაში დეოკუპაციისა და დეესკალაციის პოლიტიკის ძირითად პრინციპები, რომელთა მიხედვითაც, საქართველო აუცილებლად გააგრძელებს შეურიგებელ და პრინციპულ ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის მიმართულებით. დაიცავს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს აღნიშნული მიმართულებით, რუსეთის ფედერაციასთან, როგორც პირისპირ დიალოგისას, ასევე, საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებების წარმოებისას (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები). აღნიშნული ამოცანის მიხედვით, საქართველო მტკიცედ გააგრძელებს, მისი სტრატეგიული შესაძლებლობების ფარგლებში, რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო ზეწოლის მობილიზებასა და ამ ეფექტის მაქსიმალურ შენარჩუნებას ყველა შესაბამისი დიპლომატიური, სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმების ეფექტურად გამოყენების გზით. ამასთან ერთად, საქართველო გააკეთებს ყველაფერს რუსეთის ფედერაციასთან სიტუაციის დეესკალაციისა და გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში გარკვეული მიმართულებებით ურთიერთობების დასალაგებლად. მესამე და მეოთხე ამოცანები უკავშირდება ოსი და აფხაზი საზოგადოებების პირდაპირი დიალოგის საფუძველზე, შერიგებისა და ნდობის მშენებლობის პროცესის მხარდაჭერას. აღნიშნული ხედვა გულისხმობს დაპირისპირებული საზოგადოებების კონცენტრირებას იმ ფაქტორებზე, როლებსაც ყველა მხარისთვის სამომავლოდ დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია. არსებული კონფლიქტები მძიმე გამოცდილებად რჩება სამივე მხარისთვის და ყველას ინტერესებში შედის, რომ არ იყოს დაშვებული შეიარაღებული დაპირისპირება და პროვოკაციები, რომლებიც მშვიდობის მშენებლობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენენ. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლება მზაობას გამოთქვავს ოსური და აფხაზური საზოგადოებების წარმომადგენლებთან ყოველგვარი პოლიტიზირების გარეშე, იმსჯელოს ერთობლივი ინტერესების ფარგლებში

შექმნილი რთული მდგომარეობიდან პრაგმატული გამოსავლის ძიებასა და ახალ ინიციატივებზე, უკეთესი მომავლისა და განვითარების პერსპექტივებზე.

მეხუთე ამოცანის მიზანს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვა წარმოადგენს, სადაც აქცენტი გაკეთებულია პრიორიტეტულ სამ ძირითად სამიზნე ჯგუფზე. პირველ ჯგუფად განსაზღვრულია საოკუპაციო გამყოფი ზოლის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა, რომელის ყოველდღიურ საჭიროებებზე ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, პრიორიტეტული მიმართულებად რჩება აღნიშნული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. მეორე სამიზნე აუდიტორიას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენს და, ეთნიკური კუთვნილებისაგან განურჩევლად, მის ჰუმანიტარული მხარდაჭერასა და უფლებების დაცვას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მესამე სამიზნე ჯგუფს იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ. სახელმწიფო სრულად იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფაზე, მათი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია აღნიშნული მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნების განუყოფელი უფლების რეალიზაციისკენ.

საქართველოს ხელისუფლების შემდეგ ამოცანას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის საქართველოს მხრიდან სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებული სიკეთეების, მომსახურებების და სხვადასხვა შესაძლებლობის შეთავაზება და მათი ხელმისაწვდომობის გამარტივება წარმოადგენს. აღნიშნული ხედვის მიხედვით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის აუცილებელია, სარგებლობდნენ შესაძლებლობით, მაქსიმალურად ჩაერთონ ქვეყნის განვითარების პროცესებში, რათა მიიღონ

შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი. აღნიშნული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს 2018 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის ფარგლებში ორი მნიშვნელოვანი შეთავაზების გახმოვანება. პირველი შეთავაზება გულისხმობს გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისების ღონისძიებების ინიცირებას, ხოლო მეორე შეთავაზება გულისხმობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარებას.⁷³

მეშვიდე ამოცანის მიხედვით, „სახელმწიფო დგამს ქმედით ნაბიჯებს, რათა კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მსგავსად, აფხაზეთსა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრებმა ადამიანებმაც იგრძნონ ის სიკეთე და ახალი შესაძლებლობები, რაც საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესსა და სხვა თანამშრომლობის ფორმატებს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ ეს სარგებელი გულისხმობს არა მხოლოდ ხელშესახებ და გაზომვად მიმართულებებს, როგორიც არის უკეთესი განათლება, უკეთესი ჯანდაცვა, თავისუფალი მიმოსვლის პერსპექტივა, ვაჭრობა, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა, არამედ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან სიკეთეს, როგორიცაა დაცული იდენტობა, თვითმყოფადობა, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში დღეს მიმდინარე რუსიფიკაციის ფონზე, რეალურად საფრთხის ქვეშ დგას“⁷⁴.

მერვე ამოცანად განსაზღვრულია გემოაღნიშნული სამშვიდობო პოლიტიკის მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამეგობრობა.

⁷³ ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ, <https://www.smr.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.02.2021.

⁷⁴ ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ, <https://www.smr.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.02.2021.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს დღემდე მტკიცედ უჭერს მხარს საერთაშორისო თანამეგობრობა. ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საქართველოს ჩართულობა შერიგების პოლიტიკაში, რომელიც, თავის მხრივ, კონკრეტულ ნაბიჯებსა და ახალ ინიციატივებს ითვალისწინებს. საქართველოს ხელისუფლება აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ცდილობს, განახორციელოს ფართო საზოგადოებრივი ჩართულობა დიალოგით, თანამონაწილეობითა და საერთაშორისო მხარდაჭერით.⁷⁵

საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი, ცდილობს, მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს ევროპის ქვეყნებთან, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს გლობალიზაციის ეპოქაში. ხოლო ევროპულ ბაზარზე წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

⁷⁵ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ნაბიჯი უკეთესი მომავლიკენ, <https://www.smr.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.02.2021.

II. უსაფრთხოების ახალი გამოწვევები მსოფლიოში და ევროკავშირის რეაქციები

II.I. ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში

ბოლო რამდენი წლის განმავლობაში შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი გახდა. ევროკავშირის 2004 და 2007 წლის გაფართოებამ ის შავი ზღვის საზღვრებს და აღმოსავლეთის ახალ წევრ სახემლწიფოებს დაახლოვა. აღსანიშნავია, ევროკავშირის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით.

შავ ზღვას ევროკავშირისთვის ყოველთვის ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) იმ ქვეყნების უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომლებიც მდებარეობენ შავი ზღვა-დუნაის აუზის გასწვრივ. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ (2003), შავი ზღვის სინერგიამ (2007) და აღმოსავლეთ პარტნიორობამ (2009) გავლენა იქონია რეგიონის დემოკრატიულ ტრანსფორმაციასა და შიდა კონსოლიდაციაზე და ხელი შეუწყო რეგიონული მოთამაშეების დაახლოებას ევროკავშირთან.⁷⁶

შავი ზღვის რეგიონს რომელშიც ევროკავშირი არა მარტო შავი ზღვის ტერიტორიას, არამედ მის მეზობელ ქვეყნებსაც მოიაზრებს, ევროკავშირისთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან „ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მილსადენის პროექტების წარმატებით განხორციელებაზე, რომლებიც სამხრეთ კავკასიაზე, უკრაინაზე, თურქეთსა და ევროკავშირის წევრ

⁷⁶ გოგოლაშვილი კ. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2018.

ზღვისპირა სახელმწიფოებზე გადის. რეგიონს, ასევე, უკავშირდება ევროპა-აზიას შორის ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების გეგმებიც. თერთო რეგიონი მზარდ ბაზარს ქმნის და ბუნებრივად წარმოადგენს კომერციული ინტერესის საგანს“.⁷⁷

რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომმა დაძაბულობამ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მკვეთრად გააუარესა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, რომელიც თავის მხრივ აიძულებს ევროკავშირს ახალი გზებისა და სტრატეგიების ძიებას მის აღმოსავლეთ პარტნიორებთან მიმართებაში. ევროკომისიის მიერ 2007 წლის აპრილში გამოქვეყნებული დოკუმენტი შემდეგნაირად განსაზღვრავს შავი ზღვის რეგიონს.⁷⁸

„მკაფიოდ გამოკვეთილი გეოგრაფიული ტერიტორია, რომელიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და წარმოადგენს ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მთავარ მაკავშირებელ სახსარს. მზარდი მოსახლეობით, რეგიონი არა ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დგას. იგი განვითარების დიდი პოტენციალითა და სატრანსპორტო ნაკადების მნიშვნელოვანი კერებით ხასიათდება. თუმცა, ეს არის, აგრეთვე, გადაუჭრელი კონფლიქტების რეგიონი, გარემოსდაცვითი პრობლემითა და საზღვრების არასათანადო კონტროლით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უკანონო მიგრაციასა და ორგანიზებულ დანაშაულს“.⁷⁹ აღნიშნული განსაზღვრება ცხადყოფს ევროკავშირის მოტივებს, ღრმად ჩაერთოს შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებულ საკითხებსა და იმ გამოწვევებში, რომელთა წინაშეც რეგიონი დგას.

⁷⁷ გოგოლაშვილი კ. „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი. თბილისი. 2018

⁷⁸ მიქაძე მ., ლომია ე. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალური გეოპოლიტიკური კონტურები: კრიზისების მართვის და სამხედრო მონიტორინგის ოპერაციები. <https://www.tsu.ge> ბოლოს გადამოწმებული იყო- 6.05.2021.

⁷⁹ Communication from the Commission to the Council and the European Parliament, Black Sea Synergy: A new regional cooperation initiative, 160 final. Brussels: EU Commission, 2007.

კ. გოგოლაშვილი თავის ნაშრომში „ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება“ განხილული აქვს ევროკავშირის შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული მიზნები და ამბიციები, თანამშრომლობის ინსტრუმენტები, მისი პოლიტიკის ნაკლოვანებები და გამოწვევები. ავტორის განმარტებით, მას შემდეგ რაც ევროკავშირი გახდა საზღვაო აქტორი (2007 წლიდან ბულგარეთისა და რუმინეთის შემოერთების შემდეგ), მისი ინტერესები რეგიონის სხვადასხვა პრობლემის მოგვარების მხრივ გაიზარდა. ასევე, ავტორი მთავარ გამოწვევებს უკავშირებს გარემოს, მიგრაციას, დასაქმებასა და სოციალურ დაცვას, ეკონომიკურ განვითარებასა და ვაჭრობას, საზღვრისპირა და შიდა დავებსა და რყევებს, ტერორიზმსა და იარაღის გავრცელებას, ნარკოტიკთა და ადამიანებით ტრეფიკინგს, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ნავიგაციასა და სამხედრო დაპირისპირებას. ასევე, განმარტავს, რომ შავ ზღვაზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ევროკავშირის მომავალზე.⁸⁰

შავი ზღვის რეგიონი არის ბუნებრივი რესურსებითა და კულტურული მრავალფეროვნებით მდიდარი ტერიტორია. მას აქვს დიდი პოტენციალი, შეასრულოს სატრანზიტო დერეფნის როლი ევროპასა და აზიას შორის. როგორც ს. ფიშერი აღნიშნავს რეგიონში შემავალი ქვეყნები არ გამოირჩევიან სახელმწიფოებრივი სიძლიერით, მათთვის დამახასიათებელია ულტრანაციონალიზმი, მოუგვარებელი კონფლიქტები, რაც მუდმივად იწვევს კრიზისებს, როგორცაა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.⁸¹

რუსეთ-საქართველოს ომმა ერთხელ კიდევ დაანახა მსოფლიოს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც

⁸⁰ გოგოლაშვილი კ. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტარატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2018.

⁸¹ Fischer S. „The European Union and security in the Black Sea region after the Georgia crisis, Southeast European and Black Sea Studies“. 2009

რეგიონში არსებულ გადაუჭრელ კონფლიქტებთან არის დაკავშირებული. ძალადობის წარმოშობამ დააფიქრა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორები, როგორც რეგიონს შიგნით, ასევე, მის გარეთ თუ რამდენად მყიფეა ე.წ. გაყინული კონფლიქტების ბალანსი რეგიონში და რამდენად უმნიშვნელო კონტროლი აქვს მასზე საერთაშორისო საზოგადოებას, ასევე, აღსანიშნავია, რომ დნესტრისპირეთის, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და მთაწი-ყარაბაღის კონფლიქტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა, აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკური კურსი, მათი ეთნოპოლიტიკური რეალობა, რუსეთისა და სხვა გარე პოლიტიკური მოთამაშეების როლი კონფლიქტების გაღვივების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენები არ არის პირველი პრეცედენტი რეგიონში. დნესტრისპირეთის რუსულენოვან მოსახლეობასა და მოლდოვას შორის დაძაბულობა 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მზარდი სოციალური და ეკონომიკური კავშირებია, დნესტრისპირეთის მხრიდან ევროკავშირთან ურთიერთობის დათბობის პარალელურად, მოლდოვის რესპუბლიკა ცდილობს დნესტრისპირეთის რეინტეგრაციას. ის ახორციელებს შედარებით პრაგმატულ პოლიტიკას და ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს მოლდოვის მოქალაქეობას.⁸²

მაშინ, როდესაც კიშინიოვი აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასა და პოლიტიკური კლიმატის დათბობას რუსეთთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) წევრი სახელმწიფო რუსეთი, ერთი მხრივ, თანამშრომლობს მოლდოვასთან, მეორე მხრივ კი, პოლიტიკურ და

⁸² Schorkowitz D. Postkommunismus und verordneter Nationalismus: Gedächtnis, Gewalt und Geschichtspolitik im nördlichen Schwarzmeergebiet [Post-communism and imposed nationalism: memory, violence and the politics of history in the northern Black Sea region]. Frankfurt am Main: Peter Lang Verlag, 2008.

ეკონომიკურ ზეწოლას ახორციელებს მასზე. ცხინვალის რეგიონმა შეინარჩუნა ე.წ. შერეული წყობის სისტემა 1992-1993 წლების სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდშიც, რომელიც გაგრძელდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე. თუმცა, ცხინვალის რეგიონის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი განსხვავდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტისაგან, რომელიც, ასევე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ომის პარალელურად დაიწყო.⁸³

ევროკავშირი გააქტიურდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით და 2000-იანი წლების დასაწყისში მან გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში გრძელვადიანი სტრატეგიის მისაღწევად, სამხრეთ კავკასიაში თავისი სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა და ამით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა რეგიონის ქვეყნებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის მზაობა. ევროკავშირმა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპული და დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად სხვადასხვა პროექტის ფარგლებში (TACIS, ENP, EAP) ფინანსური, ჰუმანიტარული და ტექნიკური დამხმარების პაკეტი დაამტკიცა.

თუმცა, აღნიშნულმა ფაქტებმა ვერ უზრუნველყო ომის თავიდან აცილება. პირიქით, დასავლეთთან საქართველოს დაახლოებამ კიდევ უფრო გაართულა პოლიტიკური ვითარება კონფლიქტის ზონაში და გააღვივანა საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი - რუსეთი. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით ოფიციალური მოსკოვი, ცხინვალი და სოხუმი მიიჩნევენ რომ კონფლიქტი დარეგულირებულია, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ იზიარებს საქართველოს

⁸³ მიქაძე მ., ლომია ე. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალური გეოპოლიტიკური კონტურები: კრიზისების მართვის და სამხედრო მონიტორინგის ოპერაციები. <https://www.tsu.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო- 6.05.2021

მთავრობა.⁸⁴ დაძაბულობა და დესტაბილიზაცია ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმა უკონტროლო ხდება, რაც, თავის მხრივ, ქმნის მომდევნო ესკალაციის საშიშროებას.

რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისინი ცდილობენ რუსეთისა და დასავლეთის გავლენის დაბალანსებას. საქართველოსგან განსხვავებით, ისინი არ ესწრაფვიან დასავლეთის საერთაშორისო სტრუქტურებთან მყისიერ ინტეგრაციას. სომხეთი, როგორც ჩაკეტილი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს გასასვლელი ზღვაზე, დამოკიდებულია რუსულ მხარდაჭერაზე. მას მჭიდრო კავშირები აქვს აშშ-სა და საფრანგეთთან. ის, აგრეთვე, ცდილობს თანამშრომლობას ევროკავშირთან. აზერბაიჯანი, როგორც ენერგომომმარაგებელი და სატრანზიტო ქვეყანა, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით სარგებლობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსულ-სომხური ურთიერთობებისგან განსხვავებით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის მიზანია თურქეთთან სტრატეგიული მოკავშირეობის შენარჩუნება.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სახიფათო რეგიონული განზომილებით ხასიათდება. კონფლიქტი მოიცავს არა მარტო ორ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, ასევე, ორ მნიშვნელოვან რეგიონულ აქტორს - რუსეთსა და თურქეთს. რომლებიც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ერთად (GSTO), მისი წევრია სომხეთიც. უფრო მეტიც, სამხედრო ესკალაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ირანზეც, თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯან-ირანის სამხრეთ საზღვარზე მცხოვრებ აზერბაიჯანულ უმცირესობას, რაც გავლენას ახდენს რუსეთის დამოკიდებულებაზეც. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ

⁸⁴ Fischer S. The European Union and security in the Black Sea region after the Georgia crisis, Southeast European and Black Sea Studies, 9(3), pp.333-349, 2009.

ყირიმის ნახევარკუნძული აღმოჩნდა მომდევნო ცხელი წერტილი რეგიონში.⁸⁵

რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ ძალიან დაძაბა ურთიერთობა ყირიმისა და კიევს შორის, რაც აღვივებს პოტენციურ კონფლიქტს რუსეთ-უკრაინას შორის.

აღნიშნული საფრთხეს უქმნის არა მარტო შავი ზღვის რეგიონის, არამედ ევროპის უსაფრთხოებასაც. ამრიგად, რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური კლიმატის ფონზე, ევროკავშირის კრიზისების მართვისა და სამხედრო მონიტორინგის პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს აღნიშნულ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიმართულებით.⁸⁶

ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკა არის სხვადასხვა ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობა, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი იმედოვნებს, რომ მიაღწევს რეგიონულ თანამშრომლობას და დაეხმარება სახელმწიფოებს, თავად მოაგვარონ კონფლიქტები.

II.II. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების

ხელშეკრულება და ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების

პოლიტიკა

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1992 წლიდან იღებს სათავეს. ეს ურთიერთობები თანდათან უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. 2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს

⁸⁵ მიქაძე მ., ლომია ე. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალური გეოპოლიტიკური კონტურები: კრიზისების მართვის და სამხედრო მონიტორინგის ოპერაციები. <https://www.tsu.ge> ბოლოს გადამოწმებული იყო- 6.05.2021.

⁸⁶ მიქაძე მ., ლომია ე. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის რეალური გეოპოლიტიკური კონტურები: კრიზისების მართვის და სამხედრო მონიტორინგის ოპერაციები. <https://www.tsu.ge> ბოლოს გადამოწმებული იყო- 6.05.2021.

ასოციირების ხელშეკრულებას (AA) (Union, 2014), რომელიც, თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, საფუძველს უყრის საქართველოს შორსმომავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან. ასოციირების ხელშეკრულება წარმოადგენს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) შედეგს.⁸⁷

ასოციირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის არის დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. შეთანხმება ქმნის მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფალი ვაჭრობა და სასამართლო სისტემა. საქართველოსთვის ამ შეთანხმების განხორციელება არ იქნება მარტივი ამოცანა, რადგან ეს მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოს თანდათანობით დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, რომელიც განსაზღვრავს იმ კონკრეტული კანონმდებლობის ხელსაყრელ კრიტერიუმებსა და ჩამონათვალს, რომელიც უნდა აისახოს მის იურიდიულ საკითხებზე.⁸⁸

ევროკავშირი-საქართველოს ასოციირების ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში. ახლა ევროკავშირი და საქართველო იმყოფებიან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონაში (DCFTA), ხოლო საქართველოს მოქალაქეები 2017 წლის 28 მარტიდან სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით შენგენის ზონაში. ევროკავშირი არის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და ეხმარება მას ას მილიონ ევროზე მეტით ყოველწლიურად ტექნიკურად და ფინანსურად. ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ

⁸⁷ ასოციირების შესახებ შეთანხმება <https://matsne.gov.ge/ka> - გადამოწმებული იყო- 10.12.2020.

⁸⁸ Goletiani, T., Georgia's progress and challenges on the path to the EU. თბილისი. 2015

მთლიანობას მის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში. 2008 წლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოქმედებს ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევებში ქართველმა და საერთაშორისო ექსპერტებმა კანონის უზენაესობისა და დემოკრატიზაციის პრობლემა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გამოწვევებიდან გრძელვადიანი გამოწვევად დაასახელეს. მეორე გრძელვადიან გამოწვევად მათ მიაჩნიათ უსაფრთხოების საკითხი, კონფლიქტები, რუსეთის ინტერვენცია და საქართველოს სამხედრო სისუსტე. გრძელვადიან გამოწვევებად, ასევე, დასახელებული იყო ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტები და სტაბილური პოლიტიკური გარემო. მოკლევადიან გამოწვევებიდან დაფიქსირდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემდეგ შექმნილი პრობლემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში თავშესაფრის უსაფუძვლო მთხოვნელთა რიცხვის ზრდა). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროინტეგრაციის პროცესს საქართველოში მყარი საფუძველი აქვს. მას მხარს უჭერს როგორც პოლიტიკური ელიტა, ასევე, მოსახლეობა. როგორც საერთაშორისო, ასევე, გამოკითხული ექსპერტების მოსაზრებით, საქართველოს ჯერ არ შეუძლია ევროკავშირი გაწევრიანება.⁸⁹

2021 წლის 27 მაისს გამართულ საპანელო დისკუსიაზე „საქართველოს გზა ევროკავშირისკენ: რა იქნება შემდეგ?“ ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის ხელმძღვანელმა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თანათავმჯდომარემ მარინა კალიურანდმა განაცხადა, რომ საქართველომ

⁸⁹ ინსტიტუტი, ს. პ. (2018, მაისი) გამოწვევები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ექსპერტთა შეფასება <http://gip.ge/wpcontent>, ბოლოს გადამოწმებული იყო 15.20.2020.

უნდა შეამციროს ამბიციები და „მართოს მოლოდინები“, რადგანაც 2024 წელს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის წარდგენისას „კის“ ვერ მიიღებს, რომელიც ევროკავშირის შიგნით პოლიტიკურ კონსენსუსს მოითხოვს და ეს ჯერჯერობით არ არსებობს.⁹⁰ მისი განცხადებით, საქართველომ სექტორულ ინტეგრაციაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. ასევე, მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის რიგი ქვეყნები ჯერ კიდევ ნანობენ 2004 წელს გაფართოების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებიც ფიქრობენ, რომ 2004 წელს გაფართოების გადაწყვეტილება შეცდომა იყო.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს ერთობლივი მუშაობის ახალ პრიორიტეტებს, ყურადღებას ამახვილებს 2014-2016 წწ. ასოცირების დღის წესრიგზე, სადაც აღნიშნულია რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების ისეთ საკითხებზე, როგორიც არის საზღვრის გაუმჯობესებული დაცვა, მიგრაცია, საკვანძო ინფრასტრუქტურის დაცვა, ექსპორტის კონტროლი, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, სამოქალაქო თავდაცვა, აკრძალული ნივთიერებების უკანონო გადაზიდვასთან ბრძოლა (როგორიც არის ბიოლოგიური და ბირთვული მასალები) და სათანადო პერსონალის წვრთნა საქართველოში განთავსებული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული სრულყოფილების ცენტრის (CBRN) მეშვეობით, ასევე, ტერორიზმისა და კიბერდანაშაულთან გასამკლავებლად თანამშრომლობის გაძლიერება.⁹¹

საქართველო კვლავ აქტიურად აგრძელებს ევროკავშირში გაწევრიანების მცდელობას, თუმცა, ასოცირების შეთანხმება არ არის

⁹⁰ Georgia's road to the EU: What's next? <https://www.euractiv.com/section/global>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 07.06.2021.

⁹¹ საქართველოს პარლამენტი <http://www.parliament.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 01.04.2020.

გარანტი, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, არამედ საშუალებაა იმისა, რომ ქვეყანა უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს. ასოცირების შეთანხმებით საქართველო აღიარებულია როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა.⁹²

ასოცირების დღის წესრიგი ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეგულარული ორმხრივი კონსულტაციების გამართვას აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებთან ტერიტორიებთან დაკავშირებით და, ასევე, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლების მიღმა ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისებას.⁹³

არსებული პანდემიის ფონზე, ყოველდღე მატულობს სოციალურ მედიაში ევროსკეპტიკური შეხედულებები. აღნიშნულმა კრიზისმა გამოიწვია უამრავი სტერეოტიპების გავრცელება, თუმცა, დღეს ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფი ყველა ორგანიზაცია თუ თანამეგობრობა ჩართული არის სწორედ ამ კრიზისთან ბრძოლაში. აღნიშნულმა პანდემიამ ნათლად დაანახა ევროპის სახელმწიფოებს კოლექტიური მოქმედებებისა და თანამშრომლობის აუცილებლობა ისეთი ტიპის საფრთხეებთან საბრძოლველად, რომელთა წინაშეც მარტონი უძლურნი არიან.

II.III. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

ცივი ომის დამთავრებიდან ოცი წლის შემდეგ ევროპა უფრო რთული საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დადგა. კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გადაუჭრელი რჩება და

⁹² მიქაძე მ., ლომია ე., ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველოს მაგალითზე) სამეცნიერო ჟურნალი, სამართალი და ეკონომიკა. 2019. <http://dspace.nplg.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო- 20.05.2020.

⁹³ ემერსონი მ. კოვზირიძე თ., ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება. ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS). ბრიუსელი. მეორე გამოცემა, 2018.

იქმნება ახალი საფრთხეები, ტერორიზმი, ტრეფიკინგი, მიგრაცია. გლობალიზაციამ ახალ შესაძლებლობებთან ერთად საფრთხეებიც გაზარდა.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა არის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას, თავიდან აცილებასა და აღკვეთას.⁹⁴

უსაფრთხოების პრობლემებთან გასამკვლავებლად აუცილებელ პირობას შესაბამისი სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების არსებობა წარმოადგენს, სადაც ზუსტად და მკაფიოდ უნდა იყოს განერილი თითოეული პრობლემა და მისი აღმოფხვრის მეთოდები.

გაეროს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სამუშაო ჯგუფის განსაზღვრებით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს ინსტრუქციებს ქვეყნისთვის, რათა მან უპასუხოს ადამიანების და სახელმწიფოს უსაფრთხოების საჭიროებებს. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ემყარება ქვეყნის კონსტიტუციას, დამფუძნებელ დოკუმენტებს და კანონმდებლობას. ის განსაზღვრავს სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას და მოვალეობებს ქვეყანაში უსაფრთხოების და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის საქმეში.⁹⁵

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ და მომავალ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების

⁹⁴ საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 5.05.2021.

⁹⁵ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა. <https://securitysectorintegrity.com/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო 9.07.2021.

პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, „...საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობა...“⁹⁶

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფორმების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.⁹⁷

კონცეფციაში ასახულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მთავარი საფრთხეები და გამოწვევები: ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტები, სამხედრო ინტერვენცია, საერთაშორისო ტერორიზმი, კონტრაბანდა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებები, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები, კორუფცია და სახელმწიფო მართვის არაეფექტიანი სისტემა, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები, ენერგეტიკული, ინფორმაციული და ეკოლოგიური გამოწვევები.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია, დაიცვას ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული ინტერესები, უპასუხოს ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებს და ხელი შეუშალოს რისკებისა და გამოწვევების საფრთხეებში გადამრდას ან არსებული საფრთხეების გაძლიერებას. საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო, არის ევროპის

⁹⁶ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. <https://mod.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.05.2021.

⁹⁷ საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.05.2021.

გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ნაწილი, რომელიც ისტორიული კატაკლიზმების გამო, მოწყვეტილი იყო თავისი განვითარების ბუნებრივ გარემოს. საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას”.⁹⁸

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, საქართველოს განვითარება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში ინტეგრაცია ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულ კონცეფციაში დაფიქსირებულია, რომ საქართველო NATO-ს განიხილავს, როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობისა და უსაფრთხოებისა შენარჩუნების მთავარ მექანიზმს, რის საფუძველზეც NATO-ში ქვეყნის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის მყარი გარანტიების შექმნა, არამედ შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი კავკასიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცების მხრივ.

1991 წელს, სამოცდაათწლიანი ოკუპაციის შემდეგ, საქართველომ კვლავ მოიპოვა თავისუფლება, რასაც მოჰყვა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, გარე ძალების მიერ მხარდაჭერილი შიდა კონფლიქტები. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობამ მიიღო ურყევი გადაწყვეტილება, ააშენოს დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო, სადაც გარანტირებული იქნება კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, უსაფრთხოება, მოქალაქეების კეთილდღეობა და საბაზრო ეკონომიკა.⁹⁹

⁹⁸ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო -5.05.2021.

⁹⁹ საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო -10.05.2021.

არსებულ ურთულეს პირობებში, სადაც საქართველოს ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, ქვეყნის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება სტრატეგიული მნიშვნელობის მიზანს წარმოადგენს. საქართველოს მიზანი, ევროატლანტიკური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოიპოვოს სრულუფლებიანი წევრის სტატუსი, წარმოადგენს ქვეყნის სწრაფვას უსაფრთხოების გარანტიების ძიებისკენ, რაც აუცილებელი პირობაა არსებული გამოწვევების პირობებში ქვეყნის მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად, ასევე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და პოლიტიკური ამოცანაა.

საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები კვლავ რჩება გამაღიზიანებელი რუსეთისთვის, რომლის მთავარი მიზანია, საქართველო შეუსაბამო გახდეს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისთვის და, შესაბამისად, მტკიცედ ეწინააღმდეგება კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენის ყოველგვარ მცდელობას.

II.IV. ევროკავშირის მისია საქართველოში: წარმატებები და გამოწვევები

ევროკავშირი ჩართულია უსაფრთხოების სექტორის სფეროებში, რომელებიც მოიცავს პოლიციურ და სამხედრო ოპერაციებს, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემების გაუმჯობესებას. თავდაპირველად, ეს აქტივობები არ უკავშირდებოდა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის კონკრეტულ პოლიტიკას. 2003 წელს

ევროკავშირმა მიიღო პირველი ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია,¹⁰⁰ 2005 წელს ევროპის საბჭომ მიიღო კონცეფცია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის შესახებ.¹⁰¹ 2006 წელს ევროკომისიამ მიიღო კონცეფცია ევროპული თანამეგობრობის მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის შესახებ.¹⁰² აღნიშნული დოკუმენტები გამოხატავს ევროკავშირის კონცეპტუალურ დამოკიდებულებას უსაფრთხოების სექტორის რეფორმისადმი. 2016 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ერთობლივი მიმართვა ევროპარლამენტისა და საბჭოსადმი – ევროკავშირის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის სტრატეგიული ჩარჩოს ელემენტები.

ევროკავშირი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის აქტივობებს ატარებს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ დონეზე: თანამეგობრობის დონეზე, წევრი ქვეყნების დონეზე და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პირველ დონეზე საქმიანობას, ძირითადად, ახორციელებენ საბჭო და კომისია. კომისიის საქმიანობა, ძირითადად, სამოქალაქო ხასიათისაა, ხოლო საბჭო ახორციელებს სამოქალაქო, სამხედრო და შერეულ საქმიანობას. წევრი ქვეყნების დონეზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ზეგავლენას ახდენენ ევროკავშირის დღის წესრიგსა და პოლიტიკაზე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სფეროში და ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას მესამე ქვეყნებში. ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, თვითონ არის წარმოდგენილი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის არენაზე, რომელსაც ქმნიან საერთაშორისო ორგანიზაციები. ამასთან, წევრი ქვეყნები მონაწილეობენ წევრობის საფუძველზე ან თავიანთი ინიციატივით უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებულ მრავალ

¹⁰⁰ EEAS10. Shaping of a Common Security and Defence Policy, 2016.

¹⁰¹ Consil of the European Union, <https://data.consilium.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 13.01.2021.

¹⁰² eur-lex. <https://eur-lex.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 11.12.2020.

ინიციატივაში, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხორციელდება. ასე რომ, ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები აფინანსებენ, მასპინძლობენ და ორგანიზებას უწევენ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროექტების, საქმიანობისა და პარტნიორობის ფართო სპექტრს. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეუთოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, გაეროს, ნატოს და ევროპის საბჭოს მიერ განეულ ძალისხმევაში, შეექმნათ უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობის ნორმები და საუკეთესო პრაქტიკა. ამ ძალისხმევის მნიშვნელოვანი მაგალითია პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებზე ეუთოს კოდექსის მიღება 1994 წელს.¹⁰³

ოპერაციების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა აკისრია რამდენიმე პოლიტიკურ-სამხედრო უწყებას: საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ და ბრიუსელში განლაგებულ პოლიტიკურ და უშიშროების კომიტეტს, ევროკავშირის სამხედრო კომიტეტსა, კრიზისების მართვის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტსა და ევროკავშირის სამხედრო შტაბს. აღნიშნული ინსტრუმენტები სძენს რეალურ ძალას უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკას. ისინი ევროკავშირს აძლევენ შესაძლებლობას, შეასრულოს დასახული ამოცანები - ჰუმანიტარული და სამშვიდობო მისიები თავიდან უნდა იქნეს აცილებული ამ მისიების საქმიანობის დუბლირება ნატო-ს საქმიანობასთან და ამის საშუალებაა ნატო-სა და ევროკავშირს შორის შეთანხმებული მექანიზმები „ბერლინი პლიუსი“. ეს მექანიზმები ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნატო-ს ლოგისტიკურ რესურსებს.¹⁰⁴ ევროპული ინტეგრაცია შემდეგ ღირებულებებზე არის

¹⁰³ კეთილსინდისიერება უსაფრთხოების სექტორში. საერთაშორისო ორგანიზაციები <https://securitysectorintegrity.com/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო -5.05.2020.

¹⁰⁴ ფონტენი პ. როგორ მუშაობს ევროკავშირი 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ. ბრიუსელი. 2014.


დაფუძნებული: პლურალისტური დემოკრატია, საკანონმდებლო უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა.

2003 წლიდან დღემდე ევროკავშირმა 38 (19 დასრულებული და 18 მიმდინარე) სამოქალაქო მისია და სამხედრო ოპერაცია განახორციელა.¹⁰⁵ ევროკავშირის მიერ განხორციელებული კრიზისების მართვაში მონაწილეობა შეუძლიათ არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის წევრნი არიან, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც არ შედიან ევროკავშირის შემადგენლობაში. მას, როგორც გლობალური პოლიტიკის მონაწილეს, გააჩნია როგორც სამოქალაქო, ასევე, სამხედრო ძალის პოტენციალი, რითაც ევროპული ინტეგრაცია შეიძლება მოხდეს გლობალურ უსაფრთხოებაში, მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში. პირველად ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ევროკავშირის შენაერთებმა ჩაანაცვლეს ნატო-ს ძალები. ევროკავშირის ეს მისიები და ოპერაციები სამ კონტინენტზე ხორციელდება ან განხორციელდა (ევროპა, აფრიკა და აზია). მათ შორის არის მისია EUFOR ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, EUNAVFOR-ის ოპერაცია „ატლანტა“ ადენის ყურეში სომალელ მეკობრეებთან საბრძოლველად, და მისია EULEX კოსოვოში კანონის უზენაესობის დამყარებაში დახმარების გასაწევად და მისია EUPOL ავღანეთში ავღანური პოლიციის დახმარების გასაწევად, როგორც მისი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ნაწილი.

ევროკავშირის თითოეული მისია მუშაობს ევროკავშირის დელეგაციებთან შეთანხმებით და კოორდინაციაში იმავე სფეროსა და ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში. მისიის განლაგებისა და მართვის შესახებ გადანაცვტილებებს ევროკავშირის ქვეყნები იღებენ.

¹⁰⁵ European Union, <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო -5.05.2019.

ქვემოთ მოცემულია ევროკავშირის ჩართულობა სამშვიდობო მისიები და სამხედრო ოპერაციები მსოფლიოში 2020 წლის მონაცემებით.¹⁰⁶



ევროკავშირს მეტი გავლენა აქვს მსოფლიო არენაზე, როდესაც საერთაშორისო საქმეებში თავისი წვერი სახელმწიფოების სახელით მოქმედებს. ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირმა 2009 წელს შექმნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა და დაინიშნა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ევროკავშირს, რომელიც მრავალი კონფლიქტით არის გარშემორტყმული ევროპულ კონტინენტზე ან მის სამეზობლოში, არ აქვს კონფლიქტების მოგვარების მკაფიო პოლიტიკა. ევროკავშირი იშვიათად იყენებს სამხედრო ოპერაციებს, ძირითადად, მისი მისიების უმეტესობას (როგორც დასრულებულს, ისე მიმდინარეს) უფრო მეტად სამშვიდობო ხასიათი აქვს.

საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარებამ 90-იან წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო

¹⁰⁶ European Union, <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 05.03.2019.

ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერაც ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაცვაში, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობაში მისი ინტეგრირების საქმეში. ასეთი მხარდაჭერის ფაქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ევროკავშირის პოზიცია ეუთოს ბუდაპეშტის (1994) და ლისაბონის (1996) სამიტებზე, სადაც დოკუმენტურად იქნა აღიარებული ეთნიკური წმენდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ევროკავშირის პოლიტიკური და ტექნიკური მხარდაჭერით საქართველო 1999 წელს განწევრიანდა ევროპის საბჭოში, ხოლო 2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. დღემდე ევროკავშირი აგრძელებს ფინანსური და ტექნიკური დახმარებას.¹⁰⁷

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შეჩერებაში ევროკავშირმა მედიატორის როლი იტვირთა და სწორედ ბრიუსელის ჩართულობამ განაპირობა რუსეთსა და საქართველოს შორის ექვსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერა. ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმის თაობაზე მოლაპარაკებებს ატარებდა ევროკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. თუმცა, მოსკოვმა ეს შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა.

ევროკავშირმა კონფლიქტების დარეგულირებისთვის შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ინიციატივით შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი (GID). საქართველოსა და რუსეთის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებენ აშშ-ს წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს მხრიდან. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში. პირველში განიხილება უსაფრთხოების საკითხები, ხოლო მეორეში - იძულებით გადაადგილებულ პირთა და

¹⁰⁷ გოგოლაშვილი.კ. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები, თბილისი. 2017.

ლტოლვილთა დაბრუნების, ასევე, სხვა ჰუმანიტარული საკითხები. შეხვედრებზე ინტენსიურად განიხილება ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა: რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების სისტემატური დარღვევა, მცოცავი ანექსია, ოკუპირებულ რეგიონებში უკანონო მილიტარიზაცია და სამხედრო წვრთნები, დესტრუქცია, პროვოკაცია და დეზინფორმაცია, რომელსაც რუსული მხარე გამუდმებით იყენებს ოკუპირებულ რეგიონებში.¹⁰⁸

2009 წლის თებერვალში, უენევის მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების დამატებითი მექანიზმის (IPRM) შექმნის შესახებ, როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ხოლო 2012 წლის 15 დეკემბრიდან ჩამოყალიბდა რუსეთისა და საქართველოს პრემიერ მინისტრების სპეციალურ წარმომადგენელთა მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც, წარმომადგენელთა გვარების მიხედვით, ცნობილია, როგორც „აბაშიძე-კარასინის“ ფორმატი. ქართულ საზოგადოებაში ამ ფორმატის მიმართ წინააღმდეგობრივი და ხშირად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს. კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ემოციურმა დამოკიდებულებამ ცალკეულ დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებმა, მოახდინონ კონფლიქტის პრევენციის, თუნდაც, იძულებით მიღებული ინსტრუმენტის ნიველირება და ამით ნებსით თუ უნებლიედ, ხელი შეეწყოს კონფლიქტის დეესკალაციას.¹⁰⁹ ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულმა ფორმატმა, შეძლო რუსეთ-საქართველოს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობის შედარებით მშვიდ მდგომარეობაში გადაყვანა და კონფლიქტის პრევენცია. პროგრესის არ

¹⁰⁸ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. 2019. <https://smr.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 20.05.2021.

¹⁰⁹ კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების ეფექტიანობა და მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოში. 2019.

არსებობის მიუხედავად მნიშვნელოვანია უენევის მოლაპარაკებები, რომელშიც ევროკავშირი ეუთოსთან და გაეროსთან ერთად მედიატორის როლს დღემდე ასრულებს.

ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში 2008 წლის 15 სექტემბერს ევროკავშირმა გადანაცვებულ მთელი საქართველოში მონიტორინგის მისიის (EUMM) გამოგზავნის შესახებ.¹¹⁰ რომლის მიზანი იყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მონიტორინგი, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილება, კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა, რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადამიანების ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, ოკუპირებული რეგიონების გამყოფ ხაზზე დახმარებისა და მონიტორინგის განხორციელება.

2008 წლის 25 სექტემბერს ევროკავშირის საბჭომ დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში კრიზისის მოგვარების საკითხებში (EUSR).¹¹¹ აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომამდე ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოში პასიური იყო. ევროკავშირისა და საქართველოს შეთანხმებაში, რომელიც რატიფიცირებულია 2008 წლის 5 დეკემბერის N648 – II დადგენილებით, აღნიშნულია „...საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პერსონალმა უნდა დაიცვან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები და წესები და თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედების ან საქმიანობისაგან, რომელიც შეუთავსებელია მისიის მიზნებთან“.¹¹²

¹¹⁰ Council Joint Action 2008/736/CFSP of 15 September 2008 on the European Union Monitoring Mission in Georgia, <http://eurlex.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.12.2020.

¹¹¹ Council Joint Action 2008/760/CFSP of 25 September 2008 appointing the European Union Special Representative for the crisis in Georgia, <http://eur-lex.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.12.2020.

¹¹² საქართველოს პარლამენტი. <http://www.parliament.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 20.02.2020.

მიუხედავად ევროკავშირის ჩართულობისა აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა და საქართველოს სუვერენული ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია მოახდინა.

2008 წლის 1 ოქტომბრიდან ევროკავშირის მონიტორინგის მისიას საქართველოს ორივე კონფლიქტურ რეგიონში უნდა ემუშავა, თუმცა, კრემლის ძალისხმევით მისიას არც ცხინვალის რეგიონში და არც სოხუმში შესვლის უფლება არ მისცეს.¹¹³ შექმნის დღიდან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია 24 საათის განმავლობაში ახორციელებს პატრულირებას და, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას კონფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს.¹¹⁴

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2020 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდამჭერთა რაოდენობა 4%-ით გაზრდილია და 80 %-ს შეადგენს.


¹¹³ შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია <https://eumm.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.05.2020.

¹¹⁴ EUMM. European Union Monitoring Mission. 2020. <https://eumm.eu/en>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 20.05.2021.

ევროკავშირის მხარდაჭერა

მისაღება თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q12)

*წვეტილი ხაზი მოუთხოვს კვლევის მეთოდის ცვლილებას, პირისპირ გამოკითხვიდან სატელეფონო გამოკითხვაზე



საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის, ერიკ ჰოგის განმარტებით „მისია გამოყოფს რესურსებს ადამიანის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგისთვის, რომელიც ფიზიკური ზიანის საფრთხისგან დაცვის ფარგლებს სცდება და მოიცავს, მაგალითად, სიღარიბის საკითხს, გადაადგილების თავისუფლების არარსებობისა და ჯანდაცვის მომსახურებაზე წვდომას“. მისი განმარტებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია განაგრძობს დეტალური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას ამგვარი მოვლენები შესახებ, რეგიონებში თავისი ჯგუფებისა და თბილისის სათავო ოფისის ექსპერტების მუშაობით. ეს გადანყვეტილების მიმღებ პირებს ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში საშუალებას აძლევს, იყვნენ ინფორმირებულნი ადგილზე არსებული გამოწვევების შესახებ.¹¹⁵

ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატი მთელი ამ დროის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებს, აფხაზეთის მიმართულებით კი, გალში

¹¹⁵ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, მისიის ხელმძღვანელის განცხადება. <https://eumm.eu/en>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 8.08.2019.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრები 2016 წლის 27 მაისს, ოთხნობიანი ინტერვალის შემდეგ, განახლდა, (იგი 2012 წლის 24 აპრილს შეწყდა). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა და საქართველომ რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობის ვალდებულება აიღეს. შეთანხმება ერთხელ კიდევ ადასტურებს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობასა და მათ შემდგომ რეაბილიტაციას.

საქართველო აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას დასავლეთის უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მისიებში. ფუნქციური თავსებადობის მაღალი დონის გამო, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც NATO-ს, 30, ასევე, ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში. CSDP-სთან დაკავშირებულ მისიებში მონაწილეობა და ამ სფეროში ეროვნული შესაძლებლობების განვითარება საქართველოს მთავრობის წამყვანი პრიორიტეტებია.¹¹⁶ 2013 წლის ნოემბერში ევროკავშირთან ე.წ. მონაწილეობის შესახებ ჩარჩო-შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველომ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები მიიღო, რომელთა საფუძველზეც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს CSDP მისიებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ.

ევროკავშირი ახორციელებს არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ - საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და, მეორე მხრივ - ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ჩართულობისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობას. ამასთან, ევროკავშირი ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია გაყოფილ

¹¹⁶ემერსონი მ., კოვბირიძე თ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება. ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS). ბრიუსელი. მეორე გამოცემა, 2018.

საზოგადოებებს შორის შერიგების, ხალხთაშორისი კონტაქტებისა და ურთიერთობების ხელშეწყობის საქმეში.¹¹⁷

¹¹⁷შარაშენიძე თ. ნატოს შესახებ. სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. თბილისი. 2019.

III. ევროკავშირის მიდგომები კონფლიქტების დარეგულირების მიზნით

III.I. კონფლიქტების მოგვარების მექანიზმების თავისებურებანი და მათი ადგილი ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების დოქტრინაში

თანამედროვე სამყაროში კონფლიქტები ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, იგი ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად ქვეყანა და საზოგადოება არ არსებობს მის გარეშე, კონფლიქტი ყველა ტიპის მმართველობაში და ყველგან ახდენს გავლენას სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე. თუმცა, ეს განსაკუთრებით მწვავედ გადასატანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან ისედაც მყიფე ინსტიტუტებს არაერთი მიმართულებით უქმნის საფრთხეს.

თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში კონფლიქტის უამრავი განმარტება არსებობს. კონფლიქტი წარმოაჩენს პრობლემას, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას. მ. დოიჩი მიუთითებს, რომ მხარეებს შორის შეუთვსებლობა წარმოშობს კონფლიქტს.¹¹⁸ ა. რაპოპორტი კონფლიქტს აკავშირებს კონკურენციასთან. მისი აზრით, ორ ადამიანს ან ორ ჯგუფს შორის კომუნიკაციის დამყარების ზოგადი სირთულე საერთო გამოცდილების არქონაში მდგომარეობს.¹¹⁹

კონფლიქტების წარმოშობის ერთ-ერთი წყარო დაკავშირებულია ძალაუფლებასა და რესურსების არათანაბარ განაწილებასთან. მ. ვებერი აღნიშნავს, რომ ძალაუფლება სოციალურ აქტივობაში გამოხატულ პოტენციალს წარმოადგენს. ჯ. ბარტონის მიხედვით, ძალაუფლება მოვლენების კონტროლის საშუალებაა. რ. ლაიკერტს მიაჩნია, რომ

¹¹⁸ Deutch M. A Theory of Co-operation and Competition. Human relations, 1949.


¹¹⁹ Rapoport A. Game Theory as a Theory of Conflict Resolution. University of Toronto, 1960.

ძალაუფლება შესაძლებლობას იძლევა, ზემოქმედება იქონიოს ქმედებებზე.¹²⁰


ბოლო წლებში მეცნიერთა გარკვეული ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებს დაკარგული აქვთ საყოველთაო კონტროლის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, საჭიროა თითოეული ადამიანი უკეთ ერკვეოდეს კონფლიქტის არსში, რათა მოახერხოს სირთულეების დაძლევა და გააცნობიეროს მიმდინარე პროცესებზე საკუთარი პასუხისმგებლობა. შეუძლებელია ნებისმიერ საზოგადოებაში ან ქვეყანაში სრულიად მოისპოს კონფლიქტები, თუმცა, შესაძლებელია მათი მართვის შესწავლა სახელმწიფოს სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის. ასევე, აუცილებელია, შევძლოთ კონფლიქტში არსებული დესტრუქციული მოვლენების კონსტრუქციულად გადაქცევა.¹²¹ ყველა ტიპის კონფლიქტს აქვს თავისი მიზეზი. ფაქტია, რომ საქართველოში არსებულ კონფლიქტებს აქვს პოლიტიკური და ეთნიკური საფუძვლები. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ წლების განმავლობაში არ ჩანდა ამ პრობლემების მოგვარების სურვილი. ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს კონფლიქტურ ზონებთან შეიძლება აღვწერთ ჩ. მიტჩელის მოდელით. ამ მოდელით შესაძლებელია გვეძლევა, გავაანალიზოთ კონფლიქტი და მასში შემავალი ასპექტები-სიტუაცია, ქცევა და დამოკიდებულება (Attitude) გამოვიყენოთ არსებული სიტუაციის გაგების მიზნით. კონფლიქტის ანალიზის ეს სამი კომპონენტი ერთმანეთთან დაკავშირებულია და კონფლიქტის პროცესში ერთმანეთზე გავლენას ახდენენ და ცვლიან მათში შემავალ კრიტერიუმებს (ანუ იმ ჩამონათვალს, რომლითაც გამოიხატება პოზიციები და ინტერესები), მოდელი შემდეგი სახისაა:

¹²⁰ ჯორბენაძე რ. პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. მეცნიერება. 2001.

¹²¹ ასათიანი თ., ბერეკაშვილი დ., მშვიდლობაძე რ., ნიუარაძე გ., როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები. კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, 2000.



მათი მიმართება შემდეგი სახით გამოიხატება:




ამ მოდელში ასახულია, რომ რაც უფრო ძლიერია კონფლიქტის განვითარების ინტენსივობა, მხარეები უფრო დაპირისპირებული ხდება და უფრო მეტად იცვლება განსხვავება კომპონენტებს შორის. ანალიზი ორივე მხარის მონაცემთა და პოზიციათა ჩანაწერის შედარებით უნდა მოხდეს. ეს კი მხარეთა პოზიციების შედარების საშუალება გვაძლევს. აქ გამოჩნდება დაპირისპირების ხარისხი და ინტერესთა სფეროები. ასეთი ჩამოწერით შეგვიძლია მივიღოთ დაპირისპირების ან თანხმობის სპექტრი. თუ იცვლება „სამკუთხედის“ რომელიმე კომპონენტი, შესაბამისად, შეიცვლება მისი სხვა კომპონენტებიც. დინამიკაში დაკვირვებისას ფიქსირდება ცვლილებები, რომელთა საშუალებით შეიძლება დაპირისპირების ან თანხმობის მიღწევის მთელი სურათი წარმოვადგინოთ. როდის ვაფიქსირებთ ასეთ ცვლილებებს? ცვლილებების დაფიქსირება ხდება რადიკალური ცვლილებებისას, რომელთა შემჩნევა შესაძლებელია რეალური სიტუაციის მონიტორინგის საფუძველზე, პირველ რიგში, საჭიროა დაფიქსირდეს ის ოფიციალური განცხადებები და პოზიციები, რომელებსაც მხარეები იყენებენ. შემდეგ საჭიროა დაფიქსირდეს


სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციისა და მოქალაქეთა პოზიციები. მათი არსებობის შემთხვევაში საჭიროა ძირეული ცვლილებების მოდელის სამივე კომპონენტში დაფიქსირება - სიტუაცია (situation), ქცევა (behaviour) და დამოკიდებულება (Attitude).¹²²

ჩვენი კვლევისთვის აღნიშნული მოდელის გამოყენება შეიძლება წარმოვადგინოთ რამდენიმე ვარიანტად, რომელებიც საქართველოს ტერიტორიულ კონფლიქტებს ასახავს.

პირველი მოდელი:




მეორე მოდელი:



¹²² Mitchell Ch., The Structure of International Conflict. Palgrave Macmillan UK, 1981.


მესამე მოდელი:

ევროკავშირი $\longleftrightarrow$ საქართველო




მეოთხე მოდელი:

საქართველო↔ ცხინვალის რეგიონი




მეხუთე მოდელი:


საქართველო $\longleftrightarrow$ აზერბაიჯანი




მეექვსე მოდელი:



მეშვიდე მოდელი:




მერვე მოდელი:



მეცხრე მოდელი:

რუსეთი $\longleftrightarrow$ აფხაზეთი



დღევანდლი მდგომარეობით, მნიშვნელოვანია, განვიხილავთ მეორე და მესამე მოდელებს. ეს არის „ევროკავშირი-რუსეთი“ და „ევროკავშირი-საქართველოს“ შორის სიტუაცია, ქცევა და დამოკიდებულება, რომელიც ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

კონფლიქტების მართვა საკმაოდ რთული პროცესია. სამწუხაროდ, საკმარისი არ არის მხოლოდ იმ მეთოდების ცოდნა და გაანალიზება, რაც ზევით წარმოვადგინეთ. ნებისმიერი გამოწვევა, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტთან, საჭიროებს სიღრმისეულ ფსიქოლოგიური ასპექტების ძიებასა და იმანენტური ნიშნების იდენტიფიკაციას. მართალია, ზევით წარმოდგენილი ინფორმაცია დაგვეხმარება წარმოშობილი კონფლიქტების დროს უკეთესად ოპერირებაში, თუმცა, ნებისმიერი კონფლიქტი საჭიროებს სიღრმისეულ დაკვირვებასა და არა მხოლოდ მიმდინარე და პოსტფაქტუმ გაანალიზებას, არამედ იმ რეალობის, გარემოსა და ვითარების შესწავლასაც, რაც წინ უძღვოდა კონფლიქტს.

ცხრილი 1.

ევროკავშირი - რუსეთი

სიტუაცია (ევროკავშირი)	სიტუაცია (რუსეთი)	ქცევა (ევროკავშირი)	ქცევა (რუსეთი)	დამოკიდებულება (ევროკავშირი)	დამოკიდებულება (რუსეთი)
ცდილობს, დაიცვას ადამიანის უფლებები	არღვევს ადამიანის უფლებებს კონფლიქტის ზონაში	ახორციელებს მონიტორინგს	ცდილობს ხელი შეუშალოს ევროკავშირის მოქმედებას საზღვრის მეორე მხარეს	ცდილობს, საქართველო დაახლოვოს ევროპასთან	საქართველო თავისი გავლენის ქვეშ იყოს და არ მისცეს საშუალება დაადგეს ევროპულ გზას
არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება	თავის თავის კონფლიქტების მონაწილედ არ აღიარება	მედიატორის როლი	შუამავლის როლის თამაში და უცირვრობა თავი ინტერესების დაცვა	დიპლომატიური დამოკიდებულების შენარჩუნება	მცდელობა აირიდოს კონფლიქტის მონაწილის როლი
შეზღუდული უფლებები საზღვრის მეორე მხარეს	ევროკავშირის მოქმედების შეზღუდვა, არ შეშვება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე	ტყვეების გათავისუფლების მოთხოვნა	მძევალთა გათავისუფლება და ჯარიმის დაკისრება	ადამიანის უფლებების დაცვა	უმცირესობის დაცვა
პრობლემების გადაჭრის გზების ძიება	ადმინისტრაციული საზღვრის გადმონევა, ბორდერიზაცია	ადამიანების გატაცებისა და მათზე თავდასხმის პრევენცია	ადამიანების გატაცება	შეკავების პოლიტიკა	შეკავების პოლიტიკის წინააღმდეგობა
ფორმალური და არაფორმალური დიალოგები	მოგვარების სურვილის არქონა	ანარმოს შეკავების პოლიტიკა	ბორდერიზაცია	კონფლიქტის მოგვარება	თავისი ძალების დემონსტრირება

საქართველოს მემობლეთან ურთიერთობების დალაგება	საქართველოს მემობლეთან ურთიერთობების გაფუჭება	კონფლიქტების პრევენცია	კონფლიქტების პროვოცირება	კავკასიაში კონფლიქტების მოგვარება	კავკასიაში გავლენების შენარჩუნება
ადამიანის უფლებების და დაცვა, დემოკრატია	ევროკავშირი ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ მიდის	კონფლიქტების პრევენცია	ინფორმაციული კონფლიქტები	დეოკუპაცია	ცრუ ინფორმაციის გავრცელება

ცხრილი 2.

ევროკავშირი -საქართველო

სიტუაცია (ევროკავშირი)	სიტუაცია (საქართველო)	ქცევა (ევროკავშირი)	ქცევა (საქართველო)	დამოკიდებულება (ევროკავშირი)	დამოკიდებულება (საქართველო)
საქართველოს ევროკავშირში განწევრიანება	საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ	ასოცირების ხელშეკრულება	ასოცირების ხელშეკრულება	საქართველოს ევროკავშირში განწევრიანება	საქართველოს ევროკავშირში განწევრიანების სურვილი
აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობის არ აღიარება	აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის არ აღიარება	მონიტორინგის მისია	კონფლიქტების კონტროლი	ბორდერიზაციის კონტროლი	ბორდერიზაციის კონტროლი
ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა	უსაფრთხოების კონტროლი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან	ჟენევის ფორმატი	ჟენევის ფორმატი	დემოკრატია და კანონის უზენაესობა	დემოკრატია და კანონის უზენაესობა

კონფლიქტების განახლების პრევენცია	კონფლიქტების განახლების პრევენცია	ადამიანის უფლებათა დაცვა	ადამიანის უფლებათა დაცვა	მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაცია	მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაცია
დახმარების განწევა	დახმარების მიღება	ჰუმანიტარული დახმარება	ჰუმანიტარული დახმარების მიღება	დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება	დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება
მოსახლეობის უსაფრთხოება	მოსახლეობის უსაფრთხოება	მოლაპარაკება	მოლაპარაკება	საოკუპაციო ხაზებით დამორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენა	საოკუპაციო ხაზებით დამორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენა
ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი	ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი	მედიატორის როლი	დიალოგი	სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა	სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა
ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა	ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა	საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების ზონაში უხეში დარღვევის ფაქტებზე		კონფლიქტების დეესკალაცია	კონფლიქტების დეესკალაცია

თუ ერთმანეთს შევადარებთ პირველ და მეორე ვარიანტს (ევროკავშირი-რუსეთი) კომპონენტების მიხედვით აღმოვაჩინოთ რომ მათ განსხვავებული მიზნები, გეგმები და ინტერესები აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ დაპირისპირების ელემენტები აშკარაა. რაც შეეხება შედარებას

(ევროკავშირი-საქართველო), კომპონენტების მიხედვით აღმოვაჩინეთ, რომ არსებობს ერთმანეთის გადამკვეთი მიზნები რუსეთის აგრესიის მიმართ, პრევენციული ზომები, მაგრამ ევროკავშირის მისია ამას ვერ ახერხებს, რადგან ის ჯერ კიდევ ვერ ფლობს იმ პოზიციას, რაც თავიდანვე მასზე იყო დაკისრებული-აკონტროლოს ორივე მხარე, რადგან შეზღუდული უფლებები აქვს საზღვრის მეორე მხარეს, სეპარატისტული რეგიონების შიგნით, თუმცა, მისი გავლენა კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს კონფლიქტების პრევენციისთვის.

ევროკავშირი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე აფხაზეთის, რადგან მას მიაჩნია, რომ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე აფხაზეთის. ამას ემატება ისიც, რომ ცხინვალის რეგიონი გეოგრაფიულად ახლოს არის საქართველოს დედაქალაქთან. საქართველოს კონფლიქტები აქტუალურია თანამედროვე პერიოდის როგორც ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ისე უცხოურ პოლიტიკურ და სამეცნიერო ლიტერატურაში.

III.II. საქართველო - რუსეთის ურთიერთობების გავლენა ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები განსაკუთრებით გაუარესდა რუსების კავკასიის რეგიონში შემოსვლის შემდეგ. როდესაც რუსეთის იმპერიამ დაიწყო სწრაფად გაფართოება სამხრეთით და მიაღწია ამიერკავკასიას XIX საუკუნის დასაწყისში. რუსებმა დაიწყეს გავლენის გავრცელება კავკასიაში და დასახლებების შექმნა შავი ზღვის სანაპიროზე. ამრიგად, რუსეთმა დაიწყო აქტიური კოლონიზაცია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, რომელიც

კავკასიელმა ხალხებმა საფრთხედ მიიჩნიეს. რუსებმა ძალით შეცვალეს ეთნიკური აფხაზეთის შემადგენლობა XIX საუკუნეში.¹²³

აფხაზებმა წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის მცდელობას, დაეპყროთ შავი ზღვის მთელი სანაპირო. ცარიზმი ყველა სახის აჯანყებას ძალადობით ახშობდა. აფხაზები და მათთან ეთნიკურად დაკავშირებული ადამიანები, როგორცაა უბიხები და ადიღეელები, იძულებით გადაასახლეს თურქეთში. რუსეთის აგრესიული იმპერიული პოლიტიკის შედეგად, აფხაზების უმცირესობა დარჩა საკუთარ ქვეყანაში და რუსეთმა ნელ-ნელა შეინარჩუნა კონტროლი ახლად ოკუპირებულ მიწებზე.¹²⁴

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები (კიდევ უფრო) 1980-იანი წლებიდან გამწვავდა, როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა ხელი მოაწერეს ე.წ. „ლიხნის დეკლარაციას“, რომლის თანახმადაც, მათ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭეს და თბილისისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. აღნიშნულ დეკლარაციას ხელი მოაწერა სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა, რომელსაც უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ეთნიკურად ქართველი სამეცნიერო და პოლიტიკური ელიტების მხრიდან. და ეს დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა, რამაც გამოიწვია არასტაბილურობა რეგიონში. კავკასია არის მულტიეთნიკური და მრავალკონფესიური რეგიონი. რუსეთი ყოველთვის იყენებდა ამ მრავალეთნიკურობას თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. პოსტსაბჭოთა პერიოდში კავკასიის რეგიონში იყო არაერთი ძალადობრივი კონფლიქტები, რამაც გამოიწვია უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური

¹²³ Jackson N. Russian Foreign Policy and the CIS: Theories, Debates and Actions. Routledge, London and New York. 2003.

¹²⁴ Petersen A. (2008) The 1992-93 Georgia-Abkhazia War: A forgotten Conflict. [HTTP://CRIA-ONLINE.ORG/5_3.HTML](http://cria-online.org/5_3.html), ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.12.2020.

პრობლემების გაჩენა. რუსეთი კვლავაც ატარებს ტრადიციულ პოლიტიკას კავკასიაში - „გაიყავი და იბატონე“. რუსეთის დახმარებით აფხაზეთმა მოახერხა საქართველოდან ავტონომიურ რესპუბლიკად გამოყოფა და რეგიონი ფაქტიურად რუსეთს დაუქვემდებარა.

ქართულ-აფხაზურ ომში დაიღუპა დაახლოებით 15 ათასი ადამიანი, ხოლო 200-დან 250 ათასამდე ქართველი, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდა, იძულებული გახდა, დაეტოვებინა აფხაზეთი და საქართველოს სხვა რეგიონებში გადასულიყო საცხოვრებლად, ასობით ათასი ადამიანის გადაადგილებამ შეცვალა დემოგრაფიული ბალანსი, რამაც, შეიძლება, მომავალში გამოიწვიოს აფხაზეთში ადამიანური ძალის კრიზისის გაჩენა. 1989 წლიდან დღემდე აფხაზეთის მოსახლეობა შემცირდა 525-იდან 100-150 ათასამდე. კონფლიქტს დამანგრეველი შედეგები მოჰყვა როგორც აფხაზეთისთვის, ისევე საქართველოსთვის.¹²⁵

საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდო-ბალყარები; ყარაჩაი-ჩერქეზები, ასევე, საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ ბოევიკები სირიიდან, ყარაბაღიდან, დნესტრისპირეთიდან, თურქეთიდან. აფხაზი სეპარატისტები უმონწალოდ ხოცავდნენ ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას. დაფიქსირებულია აფხაზების მიერ ეთნიკური ქართველების წამების საღისტური მეთოდები. აფხაზეთში მიზანმიმართულად განადგურდა ქართული კულტურული და ისტორიული ძეგლები.¹²⁶

კავკასიის სახელმწიფოებში სეპარატისტულმა კონფლიქტებმა მოიტანა ნგრევა და მასობრივი ტანჯვა. ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი კონფლიქტი, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია, აფხაზეთის კონფლიქტი იყო, რომლის სტატუსი ჯერ კიდევ მოუგვარებელია და არ აქვს

¹²⁵ Sayin F. M., Modebadze V. The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians." Journal of Alanya Faculty of Business/Alanya Isletme Fakültesi Dergisi 7, no. 3 (2015).

¹²⁶ მალაშხია შ. კონფლიქტების ანატომია. გამომცემლობა სტამბა, თბილისი. 2011.

განსაზღვრული. ეს კონფლიქტები არის დაბრკოლება სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს მშენებლობისთვის.¹²⁷

რუსეთი აფხაზეთს იყენებს როგორც ინსტრუმენტს საქართველოზე კონტროლის დასამყარებლად. მოსკოვი დაინტერესებულია ქართული - აფხაზური კონფლიქტის გაყინვით, რომ შეინარჩუნოს კავკასიის რეგიონში თავისი გავლენა. კონფლიქტი აფხაზეთში სხვა არაფერი იყო, თუ არა კრემლის პროვოკაცია, რომლის მიზანი იყო საქართველოს დაბრუნება რუსეთის ორბიტაზე.

საქართველო-აფხაზეთის ომის შემდეგ რუსეთმა მიაღწია თავის გეოპოლიტიკურ მიზნებს: დამარცხებული საქართველო იძულებული გახდა 1993 წელს განეწიანებელიყო „დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში“ (შემდგომში-დსთ) და 1995 წლის თებერვლიდან გამხდარიყო დსთ-ს ეგიდით არსებულ პრორუსული სამხედრო ბლოკის - „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ წევრიც. ამით რუსეთს საშუალება მიეცა, სამხედრო ბაზების ლეგიტიმაციის და სამხედრო ბაზების საქართველოში შენახვის, ასევე, მიიღო უფლება შეინახოს და გაათავართოს შეიარაღებული ძალების ზონა აფხაზეთში. ამრიგად, ქართულ-აფხაზური ომის მთავარი მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა რუსეთის სატელიტურ სახელმწიფოდ.¹²⁸ 1998 წლიდან როგორც კი საქართველოს მიეცა შანსი, აშშ-ს გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებისას კავკასიის რეგიონში, 1999 წელს მან დატოვა ეს სამხედრო ალიანსი და გადავიდა პრო-დასალურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს განეწიანებას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

¹²⁷ Sayin F. M., Modebadze V. The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians." Journal of Alanya Faculty of Business/Alanya Isletme Fakültesi Dergisi 7, no. 3 (2015).

¹²⁸ Sayin F. M., Modebadze V. The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians." Journal of Alanya Faculty of Business/Alanya Isletme Fakültesi Dergisi 7, no. 3 (2015).

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მსგავსად, ქართულ-ოსური კონფლიქტის 1980-იან წლებში მომწიფდა, რომელიც 1991-1992 წლებში კიდევ უფრო გამწვავდა. ქართულ-ოსურ მხარეებს შორის დაძაბულობასა და ინტერესთა კონფლიქტს ჯერ კიდევ 1918-1920 წლებიდან ეყრება საფუძველი, როდესაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და ამ გზით გაემიჯნა იმპერიალისტურ რუსეთს. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ოსებს რუს ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, რომელსაც ოსების მხრიდან უარყოფითი საპასუხო რეაქცია მოჰყვა. მათ არაერთხელ სცადეს აჯანყების მოწყობა საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. 1921 წელს კი, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მისი გასაბჭოების შემდეგ შეიქმნა სახმრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში.¹²⁹

ქართულ-ოსურ მხარეებს შორის ურთიერთობების დაძაბვა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. თითქოს „გაიღვიძა“ ორივე ხალხის წინასაბჭოურმა ისტორიამ და მათ მეხსიერებაში რუსეთის იმპერიის ნგრევის დროინდელი დაპირისპირება ამოტივტივდა, რაც შემდეგ კონფლიქტში გადაიზარდა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე მწიფდებოდა ოსური სეპარატიზმიც. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაზე დაყრდნობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი, როგორც ეთნო-ნაციონალური დაპირისპირების შემადგენელი ნაწილი, ყალიბდებოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კრიმინალურ მოტივებზე დაყრდნობით, რამაც ასახვა და გამოვლენა ჰპოვა: ა) ცხინვალსა და თბილისს შორის „კანონთა ომში“ ბ) ოსურ და

¹²⁹ უორუოლიანი გ., თოიძე ლ., ლეკიაშვილი ს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები. თბილისი. 1992.

ქართველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა და პუბლიცისტთა დისკურსის დაპირისპირებაში და გ) ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებაში. შესაბამისად, ცხინვალის რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტს გამოკვეთილი ეთნიკური ხასიათი გააჩნია.¹³⁰

1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. რომლის მიხედვით განისაზღვრა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი და ქვეყნის მასშტაბით ყველა სამეცნიერო-სასწავლო თუ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოჰყვა პირველი მიტინგი და საპროტესტო აქცია. არაფორმალური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“ შეეცადა, საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი თავისი შემდგომი ქმედებების გასამართლებლად გამეოყენებინა.¹³¹

ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. ოსურმა მხარემ დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის ინიციატივით გამოვიდა. ოსების მხარე საქართველოს ხელისუფლებას თხოვდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოეცხადებინა, ხოლო, სსრ კავშირის ენობრივი პოლიტიკის თანახმად, ქართული და რუსული ენების, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ფუნქციონირება უნდა განხორციელებულიყო. საქართველოს ხელისუფლებამ ოსური მხარის

¹³⁰ საქართველოს პარლამენტი. ინფორმაციული ცნობა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის აპარატი. <http://www.parliament.ge/>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.12.2020 .

¹³¹ ჩიტაძე ნ., საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი. 2011 <http://iccn.ge/files/sakartvelos> ბოლოს გადამოწმებული იყო - 12.10.2020.

მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მისი მოთხოვნა „კანონის შეუსაბამოდ“ მიიჩნია და 1989 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა.

ქართულ და ოსურ მხარეებს შორის სიტუაციის განმუხტვის მიზნით, პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები, რომელთა მიზანი იყო მოლაპარაკებების გზით კონსენსუსის მიღწევა, ვინაიდან არც ერთი მხარის ინტერესებში არ შედიოდა კონფლიქტის ესკალაცია, თუმცა, ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ქართველებსა და აფხაზებს შორის ინტერესთა დაპირისპირება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა. 15.000 ქართველი ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაიძრა. ოსმა მემბოხეებმა ცხინვალში შესასვლელი გზა გადაკეტეს და ქართველი დემონსტრანტები ქალაქში არ შეუშვეს. მათ აღნიშნული ქმედება ეთნიკური ქართველების მხრიდან „კუნთების თამაშად“ და ორი ეთნოსის განადგურების მცდელობად მიიჩნიეს. ოსებმა ქართველებს საბჭოთა არმიის ჯარისკაცები დაუპირისპირეს. შეტაკებას მოჰყვა მსხვერპლიც.¹³²

ქართულ-ოსური ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც სამხრეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება ე.წ „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“ და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა. აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ეს დადგენილება გაუქმებული იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ. ამის საპასუხოდ, ცხინვალში ავტონომიური ოლქის საბჭოს მე-15 სესია მოიწვიეს და კვლავ მიიღეს დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“. ადგილობრივი არჩევნები 1990 წლის 2 დეკემბერს დანიშნეს.¹³³

¹³² König M. The Georgian-South Ossetian Conflict. Institute for Peace Research and Security Policy at the University of Hamburg/IFSH (ed.), 2004 OSCE Yearbook, pp.237-249.

¹³³ სონდულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში? გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი. 2009.

1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ აფხაზეთის ავტონომიური ოლქის მიერ ჩატარებული ე.წ. „არჩევნები“ არაკანონიერად სცნო და იგი ბათილად გამოაცხადა. ასევე, გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ზემოაღნიშნული მოვლენების შემდეგ ქარულ და ოსურ მხარეებს შორის ინტერესთა დაპირისპირება პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდა. ქარულ-ოსური კონფლიქტის შედეგად 1000 ადამიანი დაიღუპა და დევნილად იქცა 30.000-ზე მეტი. კონფლიქტმა ორივე მხარეს დიდი ზიანი მიაყენა.¹³⁴

1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში ხელი მოეწერა „შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომელსაც ხელი საქართველოსა და რუსეთის პირველმა პირებმა ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა მოაწერეს. მიუხედავად შეთანხმებისა, კონფლიქტის მონაწილეებს შორის ნდობის აღდგენა ძალიან რთული გამოდგა, რადგანაც მხარეებმა არაერთხელ დაარღვიეს ნაკისრი ვალდებულება და შეიარაღებული თავდასხმები ისევ განაახლეს. 1990-იანი წლების დასაწყისსა და შუა ხანებში სიტუაცია კონტროლს ნაკლებად ექვემდებარებოდა. ქართულ-ოსური კონფლიქტი საქართველოს თან სდევს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდან. 2008 წლის აგვისტოში კი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მრავალთვიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთ-საქართველოს შორის ომში გადაიზარდა. აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. რუსეთი დაინტერესებულია საქართველოში არსებული კონფლიქტების გაყინვით და აფხაზეთისა და

¹³⁴ Nichol J., Russia-Georgia Conflict in South Ossetia: Context and Implications for US Interests. Library of congress Washington DC Congressional Research service. 2008
<http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a490073.pdf>, ბოლოს გადამოწმებული იყო -10.12.2020

ცხინვალის რეგიონის პოლიტიკურ იარაღად გამოიყენებით. რუსეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ეს გადაუჭრელი კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არის შესანიშნავი სადაზღვევო პოლისი მის სამეზობლოში ევროატლანტიკური ინსტიტუტების გაფართოებისგან. რუსებს სჯერათ, რომ ევროკავშირი და ნატო არასოდეს მისცემენ წევრობას ქვეყნებს, სადაც ისევ არსებობს გადაუჭრელი კონფლიქტები.

III.III. ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს შიდა და გარე კონფლიქტების დარეგულირების მიზნით (ექსპერტული კვლევა და ანალიზი)

თამაშის თეორია გვეხმარება, უკეთესად გავაანალიზოთ სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობები. ეს თეორია გვეხმარება, დავინახოთ, რა გავლენას ახდენს ერთი აქტორის გადაწყვეტილება სხვა აქტორის ქმედებაზე. თამაშის ფორმატი ამარტივებს საგარეო პოლიტიკაში არსებულ რთულ ურთიერთობებს. თამაშის თეორია გვეხმარება იმის პროგნოზირებაში, თუ როგორ განვითარდება ურთიერთობები სხვადასხვა სახელმწიფოს შორის, რაც ხშირად ლოგიკას არ ექვემდებარება. ეს თეორია რაციონალური აქტორის მოდელს ეფუძნება. თამაშის თეორიტიკოსების აზრით, რომ საგარეო პოლიტიკურ კურსზე გავლენას ახდენს საშინაო და საერთაშორისო ფაქტორები.¹³⁵

თამაშის თეორია პირველად ჯონ ნიუმენმა და ოსკარ მორგენშტერნმა განავითარეს. ესაა სოციალური ორგანიზაციის ინოვაციური მათემატიკური

¹³⁵ მოდებამე ვ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში, წმიდა ანდირიას ქართული უნივერსიტეტი. თბილისი 2020.

თეორია, რომელიც ემყარება სტრატეგიის თამაშების თეორიას. ნაშრომში გამოვიყენეთ „პატიმრის დილემის“ თამაში (მოდელიზებული ვარიანტი).¹³⁶ ტრადიციულად, რეალისტურ პოლიტიკაში სახელმწიფო ინტერესები ცენტრალურ როლს თამაშობდნენ.

რ. აქსელროდი და რ. ქეოჰენი ცდილობენ, დააზუსტონ, თუ როგორ უდგებიან რაციონალური არჩევანის თეორიის მიმდევრები ამ პრობლემას: „ამ პროცესის გასაგებად, ერთი მხრივ, უნდა დაინახო ის, როგორც საბოლოო შედეგებში ცვლილების შემტანი. ასე რომ, ტუსაღის დილემის მსგავსი თამაში მეტ-ნაკლებად კონფლიქტური ხდება...“ თამაშთა თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს ინტერესები მაქსიმალურად კმაყოფილდება, თუკი მიიღწევა მაქსიმალური სარგებელი გარკვეული დანახარჯების დროს მაშინ, როდესაც მისი სარგებელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „პოტენციალის გაზრდა“. ამ თვალსაზრისით, „პროცესების გაგება, რომელთა ფარგლებშიც ხდება ინტერესების გაცნობიერება“, როგორც ჩანს, გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ რამდენად შეიძლება განისაზღვროს პრიორიტეტები და რამდენად ეხმიანებიან ისინი საბოლოო შედეგის სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტს.¹³⁷

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიყენება მათემატიკური თამაშის თეორია და იგი მოიცავს სხვადასხვა სფეროს, როგორიცაა კონფლიქტების მოგვარება, გადაწყვეტილების მიღება, სავაჭრო მოლაპარაკებები, ბირთვულ შეიარაღებაზე მორატორიუმი და სხვა. აღნიშნული თეორია განსაკუთრებით კონფლიქტების დარეგულირების სფეროში არის გამოყენებული და უსაფრთხოების შესაძლო ვარიანტებს განიხილავს. თამაშის თეორია გულისხმობს თანამშრომლობისა და კონკურენციის სხვადასხვა შესაძლებლობას.¹³⁸

¹³⁶ John V., Neumann O.; Oskar M. Theory of Games and Economic Behavior, 2007

¹³⁷ გუდინი რ., კლინგმანი ჰ. საერთაშორისო ურთიერთობები. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1996.

¹³⁸ Schelling, T.C. The Strategy of Conflict. Harvard University Press. Cambridge. 1960.

ცივი ომის დროს ძირითადი დაპირისპირება სსრკ-სა და აშშ-ს შორის სწორედ ამ დილემით მიმდინარეობდა. მოდელის ერთ-ერთი პოზიტიური გადაწყვეტაა თანამშრომლობა. ორ ქვეყანას შორის ბირთვული განიარაღების საკითხებთან დებატებისას თანამშრომლობა აღიარებულ იქნა უსაფრთხოების გარანტად, რასაც შედეგად მოჰყვა ბირთვული იარაღის შემცირება¹³⁹. არსებობს ნულოვან-ჯამოვანი, არანულოვან-ჯამოვანი (ცვალებად ჯამური) და შერეული მოტივების თამაშები¹⁴⁰. ისეთ თამაშებში, როცა შედეგები ნულოვან-ჯამოვანად ვლინდება, ნიშნავს, რომ „ერთი კარგავს, მეორე კი იგებს“. ამ დროს მოქმედებს კონკურენციის, შეჯიბრის სტრატეგია, რომელიც ძალაუფლებას გამოხატავს. აქედან, ძლიერი მხარე იგებს და სუსტი აგებს. განვიხილოთ ნულოვან - ჯამოვანი თამაში.¹⁴¹

ნულოვან-ჯამოვანი თამაში: მაგალითი აღებულია ნორმანდიაზე თავდასხმის გარემოებებიდან, სადაც თავდამსხმელი მიიღებს მისთვის ხელსაყრელ სტრატეგიას, რათა მოიგოს ბრძოლა და მეორე მხარის იგნორირებას ახდენს. აქვე, შესაძლებელია, მოხდეს მეორე მხარის მოტყუება. მოულოდნელობის პრინციპის გამოყენება ხელს უწყობს, რომ რომელიმე მხარემ ადვილად გადაჭრას სადაო საკითხი. მოგება, ასეთ შემთხვევაში, გარდაუვალია.

¹³⁹ Schelling, T.C. C. The Strategy of Conflict. Harvard University Press. Cambridge. 1960.

¹⁴⁰ ბელთაძე გ., მელაძე ჰ., სხირტლაძე ნ. გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. თსუ გამომცემლობა თბილისი 2003.

¹⁴¹ დოელი მ. ომისა და მშვიდობის გზები, რეალიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი, თსუ - გამომცემლობა, თბილისი 2018

იხილეთ სქემა: „ნორმანდია“

	ჩრდილოეთი n	სამხრეთი s
თავდამსხმელი		
ჩრდილოეთი n	100 -100	-100 100
სამხრეთი s	-100 100	100 -100

გემოთ აღნიშნული სტრუქტურა შემუშავდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნორმანდიაზე თავდასხმის პირობებში.¹⁴²

თავდასხმისა და თავდაცვის თოთოეული სტარტეგიის წარმატება (მოგება) იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არჩევანს შესთავაზებს მეორე მხარე. მოცემულ შემთხვევაში გამოყოფილია ჩრდილოეთი n და სამხრეთი s სტარტეგიები. თავდამსხმელის აქტივობა წარმატების (მოგების) შესაბამისია და თითოეულ უჯრაში მარცხენა მხარეს ციფრითაა მოცემული, ხოლო თავდამცველის წარმატება კი ზედა მარჯვენა ნაწილშია მოცემული. ამ შემთხვევაში- თავდამსხმელის საუკეთესო ვარიანტია sn ან ns, თავდამცველის შესაძლებლობაა ss ან nn. უმეტეს შემთხვევაში, ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ორივე მხარე მიისწრაფვის წარმატებისკენ (მოგებისკენ). ძირითადად, ეს სიტუაციები გულისხმობს კონფლიქტში ჩართული მხარეების ბრძოლას. რადგანაც ეს მიმართებები ნულოვან- ჯამოვანია და მოქმედებს პრინციპით - „მე მოვიგებ, შენ წააგებ“.

„ცვალებად-ჯამოვანი თამაშები“ ამ თამაშებში სხვადასხვა ვარიანტია განხილული. აუცილებელია, შევხებით ძირითადებს, როგორიცაა: „კოორდინაციის თამაში“, „ირმის დილემა“ და „პატიმრის დილემა“.

¹⁴² ბელთაძე გ., მელაძე ჰ., სხირტლაძე ნ. გადანწყვეტილებათა მიღების თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. თსუ გამომცემლობა თბილისი, 2003.

„კოორდინაციის თამაში“ კოორდინაციის თამაშში ნაგულისხმევია ის დაშვება, რომ შესაძლებელია, მოთამაშეებს (ორივე მხარეს) საერთო ინტერესები გააჩნდეთ ან, შესაძლოა, ორივე წაგებული დარჩეს. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ კონფლიქტი გარდაუვალია. არსებობს ისეთი მოქმედებაც, რომელიც გულისხმობს მხარეების მიერ გამოხატულ ინტერესებს, მაგრამ, შესაძლოა, ისევ იჩინოს თავი კონფლიქტმა და მათ უარი თქვან თანამშრომლობაზე. ამ შემთხვევაში იწყება მხარეებს შორის უნდობლობის გაჩენა. შესაძლებელია, მხარეებში საერთო ინტერესები გაჩნდეს და ასეთ შემთხვევაში ისინი ითვალისწინებენ მეორე მხარის მოთხოვნებს. „კოორდინაციის თამაში“ გულისხმობს ქუჩაში მოძრაობაზე შეთანხმებას, ე.ი. ქუჩის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს მოძრაობას.

მოღველი სქემატურად შემდეგი სახისაა:

„კოორდინაციის თამაში“

მარჯვნივ R

მარცხნივ L

B მოთამაშე	1	-1
მარჯვნივ R	-1	-1
მარცხნივ L	1	1

მარჯვნივ ან მარცხნივ მოძრაობა ურთიერთმოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს. მაგალითად, RR და LL. ამ შემთხვევაში მხარეებს ურჩევნიათ, არსებული ნორმებიდან გამომდინარე, იმოძრაონ ქუჩის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს, ან თუ ირჩევენ RR ან LL და არა RL ან LR, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იძაბება სიტუაცია, როცა მხარეები საკუთარ პირად

შეხედულებებსა და არა მიღებულ ნორმებსა და მათ არდაცვას ეყრდნობიან, რაც, თავის მხრივ, იწვევს მწვავე დაპირისპირებას.¹⁴³

„ირმის დილემა“ ეს დილემა ყველაზე ძველია და ცვალებად-ჯამოვან თამაშს მიეკუთვნება. პირველად ის განიხილა ფილოსოფოსმა ჟან ჟაკ რუსომ (Jean-Jacques Rousseau). ამ დილემის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ მონადირეები ნადირობენ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ირმები და კურდღლებია. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ ინადირებენ და რომელ ცხოველზე.

მოდელი შემდეგი სახისაა: „ირმის დილემა“

		A ერთი მონადირე	
		თანამშრომლობა C	გადგომა D
B სხვა მონადირეები	თანამშრომლობა C	3 3	2 0
	გადგომა D	0 2	1 1

ირმის ხორცი უფრო ღირებულია მონადირეებისთვის, ვიდრე კურდღლის ხორცი. საჭიროა არჩევანის გაკეთება. ირმების დაჭერა შეუძლიათ მონადირეებს, თუ ისინი შეთანხმებულად და გაორმაგებული ძალისხმევით იმოქმედებენ. ერთი მონადირე იწყებს შეფასებას თავის მხრივ, ირემზე სანადიროდ (CC) სხვა მონადირეებთან რა მიმართება ექნება. სწორედ აქ დგება საკითხი, რომელი უფრო ღირებულია, ირემი თუ კურდღელი. ამავე დროს, კურდღლებზე ნადირობა გუნდურ მოქმედებას არ საჭიროებს. ის ერთი მონადირის მიერ (A) შეიძლება იქნეს განხორციელებული (DC). კურდღლები

¹⁴³ ბელთაძე გ., მელაძე ჰ., სხირტლაძე ნ. გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. თსუ გამომცემლობა თბილისი. 2003.

მაშინ ჩნდებიან, როცა მონადირეები ირმებს გამოდევენ (დაედევნიან). თუ მონადირე (A) გამოეყოფა ირმებზე მონადირე ჯგუფს და ეს ხდება საკუთარი ინიციატივით, მაშინ დანარჩენი მონადირეები შეიძლება ნადავლის გარეშე დარჩნენ (CD), ან მათ შორის შეიძლება დავა წარმოიშვას სხვა კურდღელის თაობაზე (DD).¹⁴⁴ ასეთ შემთხვევაში მონადირეებს აქვთ შესაძლებლობა, რომ „კურდღელზე“ თქვან უარი და იქნება ეს რეალური? ცალკე მონადირე (A) უპირატესობას ანიჭებს მოქმედების თანამიმდევრობას $CC > DC > DD > CD$. მას შეუძლია, მიატოვოს თანამშრომლობა სხვა მონადირეებთან, თუ ის ენდობა მათ რაციონალურ გადაწყვეტილებასა და ქმედებას. ამ დროს არსებობს ინფორმაცია, რომ ყველა მონადირე უპირატესობას ანიჭებს ირმის ხორცს და ის უფრო ფასეულია, ვიდრე კურდღლის ხორცი. ამ შემთხვევაში ჩნდება თანამშრომლობითი სტარტეგია. დილემის არსი ისაა, რომ ერთ მონადირეს (A) არ შეუძლია, დაარღვიოს ეს პრინციპი და იმოქმედოს, როგორც მას სურს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მაიკლ დოილის მოსაზრება,¹⁴⁵ რომელიც ეხება სახელმწიფოთა შორის მიმართებას ამ დილემის მიმართ: „...საერთაშორისო პოლიტიკაში ყველა სახელმწიფომ იცის, რომ უსაფრთხოება შეესაბამება პოტენციური მეტოქის შეიარაღების დონეს და, თუმცა, ყველა სახელმწიფო ცდილობს, თავიდან აიცილოს შეიარაღების ზედმეტი ხარჯები (CC), მან აგრეთვე იცის, რომ რადგან არ არსებობს უსაფრთხოების გლობალური გარანტია, მოულოდნელი შეტევის შედეგად მათი უიარაღო მდგომარეობაში დაპყრობა უარესია (CD), ვიდრე შეიარაღების ხარჯის ატანა. ამიტომ ყველა ცდილობს, დამოუკიდებლად შეიარაღდეს (CD) ან ყველა უარეს მდგომარეობაში (DD). ეს ტიპურია გამალებული შეიარაღების სიტუაციაში“.

¹⁴⁴ ბელთაძე გ., მელაძე ჰ., სხირტლაძე ნ. გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. თსუ გამომცემლობა თბილისი. 2003.

¹⁴⁵ დოელი მ. ომისა და მშვიდობის გზები, რეალიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი, თსუ. გამომცემლობა, თბილისი. 2018.

„პატიმრის დილემა“ პატიმრის დილემა ასეთია: ორი ეჭვმიტანილი ძარცვის ბრალდებით, უტყუარი ფაქტების საფუძველზე დააკავეს. გამომძიებელი, თანამშრომლობის მოტივით, პატიმრებს ცალ-ცალკე საკანში ათავსებს. ის მათ ერთმანეთთან კავშირს გამორიცხავს. ორივე პატიმარს ორ გამოსავალს სთავაზობს: აღიაროს ან არ აღიაროს დანაშაული ამავდროულად მათ უხსნიან:

- თუ ერთი მათგანი აღიარებს ჩადენილს, მაშინ ბრალდება მოეხსნება, მეორეს კი მიუსჯიან თავისუფლების აღკვეთას 7 წლის ვადით.
- თუ ორივე აღიარებს დანაშაულს, მაშინ ორივეს 6-6 წელს მიუსჯიან.
- თუ არცერთი არ აღიარებს, მაშინ ორივეს ერთი წელი მიესჯება.

რადგან ამ თამაშის თითოეული მონაწილის მიზანი საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმალიზაციაა, მოთამაშეებისთვის, თავდაცვის მიზნით, საუკეთესო არჩევანი დანაშაულის არაღიარებაა (იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფარულად შეთანხმებას ვერ ახერხებენ).¹⁴⁶ გამომძიებელი პატიმრებთან ცალ-ცალკე შედის დაკითხვაზე და ყოველ მათგანს აღიარების სანაცვლოდ თავისუფლებას სთავაზობს. შეიძლება ითქვას, სთავაზობს თანამშრომლობას. პატიმრები თავად ირჩევენ, წავიდნენ თანამშრომლობაზე თუ აირჩიონ გაუთქმელობის სტრატეგია:

¹⁴⁶ მოდებაძე ვ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში, წმიდა ანდირიას ქართული უნივერსიტეტი. თბილისი 2020.

ამ დილემის სქემა შემდეგი სახისაა:

პატიმრის დილემა

		თანამშრომლობა	გადგომა
პატიმარი A თანამშრომლობა		-1	0
		-1	-10
პატიმარი B გადგომა		-10	-5
		0	-5

თუ ერთ პატიმარი მეორეს „ჩაუშვებს“ და ითანამშრომლებს პოლიციასთან (DC), მას სცნობენ უდანაშაულოდ. ხოლო მეორე პატიმარს, რომელიც არ ითანამშრომლებს, მიუსჯიან მაქსიმუმს (CD). იმ შემთხვევაში, თუ ორივე ითანამშრომლებს (CC), ორივეს მიუსჯიან მინიმუმს. ხოლო თუ არცერთი პატიმარი (DD) არ ითანამშრომლებს, მაშინ მათ მიუსჯიან მცირედი მტკიცებულებებით. პატიმრები პრიორიტეტს ანიჭებენ შემდეგ სტრატეგიას $DC > CC > DD > CD$.

„პატიმრის დილემას“, ასევე, უწოდებენ „უსაფრთხოების დილემას“. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანებს (ჯგუფებს, ორგანიზაციებს, სახელმწიფოებს) არ სურთ თანამშრომლობა, რაც იწვევს მათ შორის დაპირისპირებას და რომელიც, უარეს შემთხვევაში, შესაძლოა, ომითაც დასრულდეს. ძლიერ მოწინააღმდეგესთან კონკურენცია არ არის სწორი. ეს რომ არ მოხდეს, მხარეებს შორის უნდა არსებობდეს კონტაქტი და ინფორმირებულობა. ეს კი დაპირისპირების შემცირების შანსს იძლევა. რეალურ სიტუაციაში მხარეები ემხრობიან იმ სიტუაციის, რომელიც მოგება-წაგების პრინციპზეა აგებული. ესაა კონკურენციის სტრატეგია, რომელსაც ანიჭებენ უპირატესობას, რათა

სარგებელი ნახონ. ეს არის ერთ აქტიანი მოდელი, მაგრამ არსებობს „პატიმრის დელემის“ მრავალ აქტიანი სისტემაც.¹⁴⁷

ნაშრომში გამოვიყენეთ ამ თამაშის მოდიფიცირებული ვარიანტი, სადაც მრავალაქტიანი მიმართებებია გამოყოფილი. აქ მიუთუთებენ გრძელვადიან სტრატეგიებზე და ის შეიძლება გრძელვადიანი თანამშრომლობის საფუძველი გახდეს (CC). ასევე, ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას, რომ თანამშრომლობაზე უარის თქმა, შესაძლებელია, სასიკვდილო შედეგით დასრულდეს რომელიმე მხარისთვის. (CD, DD). ასეთ სტრატეგიას მიიჩნევენ იმ შემთხვევაში, თუ არღვევენ პირობებს. უმეტეს შემთხვევაში, მხარეები ამ უკანასკნელ სტრატეგიას ირჩევენ და მოქმედებენ.

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლების აზრით, სტრუქტურა, ძირითადად, პოლიტიკურ-სტრატეგიული ძალთა ბალანსითაა განსაზღვრული საერთაშორისო სისტემაში დომინირებულ სახელმწიფოებს შორის. ძლიერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტური ურთიერთქმედებების დინამიკაში, საერთაშორისო სისტემა ხან დომინანტობისკენ, ხან კი წამყვან სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. სისტემის ანარქია, ჩვეულებრივ, შედარებით წესრიგში გადადის და ძლიერ სახელმწიფოთა ძალთა ბალანსზე დამყარებულ ორგანიზაციას ქმნის. ეს ევოლუცია მიჩნეულია სისტემის პასუხად იმ აქტორთა ძალისხმევაზე, რომელთაც საკუთარი ჰეგემონიის გაფართოება სურთ. ამ აქტორების ძალთა ბალანსის კონფიგურაცია ქმნის მრავალპოლარულ ან ბიპოლარულ სტრუქტურას, პოლიტიკური და სამხედრო ალიანსების ქსელებს, რომლებიც ამგვარი ბალანსის ინსტიტუციური ელემენტებია.¹⁴⁸

¹⁴⁷ არტი რ., ჯერვისი რ. საერთაშორისო პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.

¹⁴⁸ სენარკლენი პ. არიფენი ი. საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2014.

კვლევისთვის გამოვიყენეთ „პატიმრის დილემის“ მოდიფიცირებული მოდელი, რომლის საშუალებითაც შეიძლება აღვწეროთ მიმდინარე პროცესები და, ასევე, მოვიპოვოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვლენების შესაძლო განვითარების შესახებ. შესაძლო სიტუაციები შემუშავებული იყო მათემატიკური თამაშის - „პატიმრის-დილემის“ პრინციპების შესაბამისად. მასში დაშვებული სიტუაციების სხვადასხვა ვარიანტი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს უკავშირდება. ძირითადად, გამოყოფილი სიტუაციები განიხილება კონცეპტუალურად და წარმოადგენს ჰიპოთეტურ დაშვებას, რადგან ისინი შეიძლება მოვლენების განვითარების დასაშვებ ვარიანტებს ეხებოდეს. სიტუაციები წარმოადგენს მოქმედებების შესაძლო მოდელებს, რომელთა გააქტიურებაც, შესაძლოა, მომავალში განხორციელდეს, ან საერთოდ არ განვითარდეს. სწორედ „პატიმრის დილემის“ თამაშის მოდელის ცოტათი შეცვლილი ვარიანტი შევუსაბამეთ ამ სიტუაციებს. ეს ქმედებები ამ თამაშშია ასახულია გარკვეული პრინციპებით. ეს პრინციპია „მოგება-წაგების“ პოზიტიური ან ნეგატიური შედეგის მიღწევა. შეცვლილ ვარიანტში მხოლოდ რამდენიმე შესაძლო სიტუაციაა დამატებული. თამაშში დაშვებული ყოველი ქმედების ანალოგიურად, სიტუაციები გამოვყავით კონფლიქტის განვითარების პერსპექტივიდან.

სიტუაცია N1 - ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება თანახმაა, მიენიჭოს ცხინვალის რეგიონს განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

სიტუაცია N2 - საქართველოს მხარემ ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება აიძულა, მისი სტატუსი კვლავ განისაზღვროს, როგორც ავტონომიური ოლქი საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში.

სიტუაცია N3 - საქართველოს მხარე ცხინვალის რეგიონს (ე.წ სამხრეთ ოსეთს) იბრუნებს ომით, რომლის შედეგად აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას.

სიტუაცია N4 - ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების თხოვნით მიმართა. რუსეთის პარლამენტმა (პალატამ) დააკმაყოფილა ცხინვალის რეგიონის (ე.წ სამხრეთ ოსეთის) ეს თხოვნა.

სიტუაცია N5 - საქართველო და ცხინვალის რეგიონი თანახმა არიან, გახსნან „სამშვიდობო ზონები“ (როგორიც იყო, მაგალითად, ერგნეთი) და დევნილები თავინთ სახლებში დააბრუნონ.

სიტუაცია N6 - ნატოში მოცემული პირობებით მიგვიღეს, აღიარებულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ჯერ კიდევ ოკუპირებულია, რა შედეგი ექნება ამ გადანაცვეტილებას?

სიტუაცია N7 - თქვენი აზრით, როგორ შეიძლება, მშვიდობიანად მოგვარდეს ეს კონფლიქტი.

სიტუაციები მონაწილეებმა განიხილეს ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციის, ე.წ ცხინვალის რეგიონისა და ადგილობრივი მოსახლეობის პრიზმიდან.

ფოკუს ჯგუფის დროს სიტუაციების განხილვისას გამოვლინდა შემდეგი:

პირველი სიტუაციის განხილვისას (ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება თანახმაა, მიენიჭოს ცხინვალის რეგიონს განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში). რესპონდენტების შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორი იქნებოდა მოცემულ სიტუაციაში ევროკავშირის პოზიცია, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს დაემთხვა. მოვიყვანოთ ამონარიდს ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთ მონაწილის¹⁴⁹ პასუხიდან: „განსაკუთრებული სტატუსის ფარგლებში ევროკავშირის პოზიცია იქნება, ალბათ, ის, რაც მისი მისია მოიცავს. ჩვენ ვიცით, რომ ევროკავშირს აქვს სხვადასხვა ტიპის მისიები. საქართველოში ევროკავშირის მისიის მანდატი

¹⁴⁹ შენიშვნა: კონფიდენციალობის მიზნით მონაწილეების სახელები შეცვლილია

არის ფასილიტაცია, მედიაცია, მოლაპარაკების წარმართვა სწორი ფორმით და მონიტორინგი, ასევე, აირიდოს ესკალაცია, ამის მეტი უფლება მას არ აქვს. მისიის ფორმის შეცვლა პრაქტიკაში არ არსებობს, ვფირქობ, მონიტორინგის მისია ხელს შეუწყობს სწორ კომუნიკაციას მხარეებს შორის“ (გიორგი, 26 წლის). მეორე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ევროკავშირის მისიები არის განერილი, რომელიც უნდა შესრულდეს გარკვეულ ვადაში, ეს არის მედიაცია და მხარეებს შორის გარკვეული საერთო ენის გამონახვა“ (ქეთევანი, 40 წლის). რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი ყოველთვის შეეცდება, დაეხმაროს საქართველოს კონფლიქტების აღმოფხვრაში.

ერთ-ერთ რესპონდენტს მიაჩნია, რომ ევროკავშირის მხრიდან, მნიშვნელოვანია, მიღებული იყოს საერთო მოძრაობის ვალუტა ევროს სახით. „მოგეხსენებათ, ახლანდელ დე-ფაქტო ე.წ სამხრეთ ოსეთს არ გააჩნია საკუთარი ვალუტა და იყენებენ რუსულ რუბლს. ეს, უკვე, 20 წელია, ასე მიმდინარეობს, აქედან გამომდინარე, როდესაც ეკონომიკის საკითხზე ვინწყებთ საუბარს, უნდა გავითვალისწინოთ პატარა დეტალი, რომელიც ეხება ვალუტას, რა ვალუტითაც შეიძლება ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება. ე.წ სამხრეთ ოსეთში ევროს ნომინალები ეს იქნება ნეიტრალური, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის ორივე მხარეზე“ (გაგა, 28 წლის).

„რაც დღეს შემოძლია ვთქვა, არ ვართ ისეთ ვითარებაში, რომ ვევაჭროთ მათ, იქედან გამომდინარე, არსებული 2008 წლის სიტუაცია, მცოცავო ოკუპაციის პროცესი, ასევე, რუსეთის მხარადჭერა და ის პოზიციონერება, რომელიც გააჩნია რუსეთს იმ მიმართებაში, არ გვაძლევს იმის ფუფუნებას, რომ მათ ვევაჭროთ (ალექსანდრე, 28 წლის).

რესპონდენტების უმრავლესობას მსგავსი შეხედულება აქვს რუსეთის პოზიციაზე. მათი აზრით, რუსეთის პოზიცია ცალსახად ნეგატიური იქნებოდა,

ასევე, რუსეთი, საბოლოო ჯამში, არ მიესალმება და ეცდება გარკვეული ბზარები გააჩინოს ამ მიმართულებით. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ რუსეთი ასეთ სიტუაციაშიც შეეცდებოდა, ამ მდგომარეობიდანაც ენახა მოგება და პლუსები დაენერა საერთაშორისო ორაგნიზაციებთან. „რუსეთი ამას არ გაატარებს. არ არის ჩვეულებრივი საკითხი. ცხინვალის რეგიონს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მისთვის და არ შეეგუება არასდროს ბოლომდე მის რეინტეგრაციას საქართველოს ფარგლებში“ (დავითი, 24 წლის).

მეორე სიტუაციის განხილვისას (საქართველოს მხარემ ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება აიძულა, მისი სტატუსი კვლავ განისაზღვროს, როგორც ავტონომიური ოლქი საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში) გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებს აქვთ ევროკავშირის დახმარების იმედი და კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასაც ევროკავშირის დახმარებაში ხედავენ. ასევე, ძირითადად, რესპონდენტები კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის მომხრენი არიან და, შესაბამისად, ევროკავშირსა და რუსეთის პოზიციას ადეკვატურად ითვალისწინებენ. ასევე, გამოვლინდა, რომ საქართველოს ეკონომიკური ძლიერება, დიდი ალბათობით, კონფლიქტის მოგავრების საფუძველი იქნება, რადგან დაპირისპირებული მხარე - ცხინვალის რეგიონი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ეკონომიკური საკითხით, რომელიც მიმზიდველი იქნება მათთვის. ეს კი გამოიწვევს შემობრუნებას საქართველოსკენ. ასევე, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „მშვიდობის დამყარებაში სასულიერო პირების ჩართულობა დიდი პლუსი იქნება, რადგან ვიცით, რომ იქ არის ქართული ძველი ტაძრები, ისტორიული მონასტრები და ა.შ ისიც ვიცით, რომ, აფხაზი მოსახლეობისგან განსხვავებით, ოსური მოსახლეობის 98% არის მართლმადიდებელი“ (გიორგი, 28 წლის). რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით ყველა რესპონდენტი ფიქრობს, რომ რუსეთი არის საფრთხე

და ყველანაირად ეცდება, ხელი შეუშალოს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას, რადგან ამით დაკარგავს რეგიონში კონტროლს და მისი მეზობელი გახდება ევროკავშირი, რასაც წლებია ებრძვის.

„ჩვენც მოგვინევს ისეთი სტილის სამშვიდობო ძალების განლაგება, როგორც მოხდა ყარაბაღში, რუსულ-თურქული საერთო სამშვიდობო ძალების შექმნა. ეს უნდა იყოს როტაციის წესების დაცვით, სადაც ორივე მხარე იქნება ჩართული, რუსეთის ფედერაციაც და ევროკავშირიც. რუსეთის ფედერაციას იმიტომ ვამბობ, რომ ის იქნება გარანტორი, რომ არ მოხდეს კონფლიქტი და გარკვეული დროის შემდეგ ამოიწურება მათი მოქმედების ვადა და დატოვებენ ტერიტორიას“ (როინი, 25 წლის).

მესამე სიტუაციის შემთხვევაში (საქართველოს მხარე ცხინვალის რეგიონს (ე.წ სამხრეთ ოსეთს) იბრუნებს ომით, რომლის შედეგად აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას) რესპონდენტები ევროკავშირის პოზიციას ხედავენ იმაში, რომ მონიტორინგი გაუწიონ ადამიანის უფლებების დარღვევას, იარაღის კონტროლს. ასევე, სავარაუდოდ, ჩართული იქნებიან მათი სტატუსის განსაზღვრაში, კონსულტაციების დონეზე მაინც. რუსეთი, „პირველ რიგში, ეცდება სხვადასხვა მხარის გამოყენებას, რომ გაამწვავოს ესკალაცია და კონფლიქტი არ გამოცხადდეს დასრულებულად. ასევე, ხელს შეუწყობს წერტილოვანი კონფლიქტების დატოვებას და ეცდება, თვითონ იყოს წარმოდგენილი ერთ-ერთ მხარედ მისიაში, თუ ე.წ სამშვიდობო ჯარები, რომლებიც ჩადგებიან გეოგრაფიულ ერთეულებში კონფლიქტის შემდეგ. „ევროკავშირის პოზიცია არის კონფლიქტების მოგვარება მშვიდობიანი გზით და სამოქალაქო რეინტეგრაცია. თუ ომით დავიბრუნებთ, რეინტეგრაცია რთული იქნება და უფრო დაგვაშორებს ჩვენ და საოკუპაციო ზოლს მიღმა ადამიანებს ერთმანეთს, ვიდრე დღეს ვართ. ომი არასოდეს არ არის დამაახლოვებელი ორი დაპირისპირებული მხარეების. ევროკავშირისთვის

საქართველოს ასეთ პოზიციაში ყოფნა, არა მგონია, მისაღები იყოს“ (დავითი, 24 წლის).

„ჩემი გადასახედიდან, ევროკავშირის პოზიცია, იქნება სადამკვირვებლო, არ მგონია, ევროკავშირმა მკვეთრი პოზიცია გამოხატოს საქართველოს დასაცავად და მოუწოდებს ორივე მხარეს მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ, რომ კონფლიქტი მოგვარდეს მშვიდობიანად, რუსეთს რაც შეეხება, უხეშად ჩაერევა და იტყვის, რომ საქართველო აგრძელებს რუსების გენოციდს და იკისრებს სამშვიდობო მისიის მოვალეობას“ (ქეთევანი, 40 წლის).

მეოთხე სიტუაციასთან (ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების თხოვნით მიმართა. რუსეთის პარლამენტმა (პალატამ) დააკმაყოფილა ცხინვალის რეგიონის (ე.წ სამხრეთ ოსეთის) ეს თხოვნა) „ევროკავშირი აღშფოთება, შეშფოთებით შემოიფარგლება და სხვა ქმედებები არ მოჰყვება. თუ ყველა მხარე დაეთანხმა. ქართული მხარე ამას ვერ შეეწინააღმდეგება და ევროკავშირი სანქციების პოლიტიკით ხელს ვერ შეუშლის“ (ალექსანდრე 28 წლის).

„რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, ამ შემთხვევაში იქნება ე.წ „შეთარული დიპლომატია“, რომელიც გულისხმობს იმას, რომ წარმოჩნდეს კონსტრუქციულ მომრიგებლად და კონსტრუქციულ საერთაშორისო პოლიტიკურ მოთამაშედ, როგორც ევროკავშირის, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში“ (ქეთევანი 40 წლის).

„საქართველოს, პოზიცია, ცხადია, მაქსიმალურად მწვავე იქნება და ყველა ტრიბუნას გამოიყენებს და მოთხოვს, რომ გარკვეული სანქციები დაუწესოს. ამის მაგალითი გვაქვს უკრაინაში, როდესაც რუსეთმა მოახდინა ტერიტორიების ოკუპაცია, ანექსია ყირიმის ნახევარკუნძულის, მაგრამ

მსოფლიომ ვერაფერი გააკეთა. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი იყო და არის ომი“ (დავითი, 24 წლის).

„როცა ბირთვულ სახელმწიფოსთან გაქვს საქმე, ომის გარდა სხვა ვერაფრით დაუპირისპირდები, ამ შემთხვევაში ევროკავშირის პოზიცია იქნება ხისტი, მაქსიმუმი, რასაც გააკეთებენ, ეს იქნება მკაცრი ტიპის სანქციები, და, ვფიქრობ, შემოთავაზებით არ შემოიფარგლებიან“ (დავითი, 24 წლის).

მეხუთე სიტუაციის განხილვისას (საქართველო და ცხინვალის რეგიონი თანახმა არიან, გახსნან „სამშვიდობო ზონები“ (როგორიც იყო, მაგალითად, ერგნეთი) და დევნილები თავინთ სახლებში დააბრუნონ), რესპონდენტებმა ყურადღება გაამხავილეს დევნილების დაბრუნებაზე. რესპონდენტების აზრით, დევნილების დაბრუნება ხელს შეუწყობს ქართველებსა და ოსებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას და ამით თანაცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყება. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას ამ სიტუაციაში, ის ყველანაირად ეცდება, არ მოგვცემს განვითარებისა და ერთად ცხოვრების საშუალებას. „ეს არის ერთ-ერთი პოსტულატი, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში, ის ხომ საზრდოობს ეთნო კომფლიქტებით. ეს მისი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი კრედოა“ (გიორგი, 27 წლის).

„სამშვიდობო ზონების არსებობა ყოველთვის არის კარგი გამოსავალი ასეთ კონფლიქტურ სიტუაციაში, ის ადამიანური ურთიერთობების კარგი დაახლოვების საშუალებაა იქ მცხოვრები ხალხის რეინტეგრაციის მიზნით. საჭიროა, რომ დაინახონ, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა არ არის მტრულად განწყობილი. ხოლო რაც შეეხება სამშვიდობო ზონების რისკებს, რომ არ მოხდეს შავი ბაზრის არსებობა. ამის გასაკონტროლებლად საჭიროა გარე აქტორების ჩართულობა (მარიამი, 25 წლის).

„ევროკავშირი მხარეებს პოზიციას მოუწონებს და, მეორე მხრივ, გაუწოდებს დახმარების ხელს, რათა ეს პროცესი გახდეს მეტად უფრო სტაბილური და არ დაემუქროს საფრთხე მის აღსრულებას. ევროკავშირი

აცნობიერებს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ურთიერთობებს კონფლიქტის პრევენციაში“ (ალექსანდრე, 28 წლის).

რაც შეეხება მეექვსე სიტუაციას (ნატოში მოცემული პირობებით მიგვიღეს, აღიარებულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ჯერ კიდევ ოკუპირებულია, რა შედეგი ექნება ამ გადანაცვეტილებას?), რესპონდენტების აზრით, საქართველოს ნატოში განწევრიანება სჭირდება რუსეთის ფედერაციასთან ბრძოლაში. მოვიყვან ამონარიდს ფოკუს ჯგუფიდან „გარკვეულ საკითხებში ხელს შეგვიშლის და უნდა ვაღიაროთ, ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ თავი აფხაზი ან ოსი თანამოძმეების ადგილზე, ჩვენ აუცილებლად გავვიჩნდებოდა შიში, რომ ვიქნებოდით მუდივი საფრთხისა და ომის მოლოდინში იმიტომ, რომ ნატოს წევრობა, მე-5 პუნქტიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, თუ განვიხილავდით გერმანულ მოდელს. გერმანული მოდელის წარმოდგენა 21-ე საუკუნეში მარტივი არ იქნებოდა იმიტომ, რომ ჩვენსავით არის ზუსტად უკრაინაც, მოლდოვაც ილწვის ნატოში გაერთიანებაზე. ჩემი აზრით, ყველაზე კარგი ვარიანტი, რაც ბევრჯერ მიფიქრია, არის ის, რომ რაღაც ახალი სტატუსით გავერთიანდეთ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. ეს სტატუსი იქნება შექმნილი და მორგებული საქართველოსთვის“ (როინი, 25 წლის).

რესპონდენტის განმარტებით, ამ მოცემულობით ნატოში განწევრიანება რეალური და განხორციელებადია. „ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნება დროში გაწელილი საკითხია. ევროკავშირი მიესალმება საქართველოს ნატოში განწევრიანებას. ერთადერთი რუსეთს ექნება მწვავე რეაქცია“ (მარიამი, 25 წლის).

„რუსეთის პოზიცია იქნება უმკაცრესი ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით, რადგან საქართველოს წევრობა ნატოში იქნება პოლიტიკური ფასი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების სხვადასხვა რუსეთის მიერ მართული სახელმწიფოების მხრიდან“ (ალექსანდრე, 28 წლის).

„ევროკავშირი ხელს შეუწყობს ამ პროექტის განხორციელებას. ყველაფერში მიიღებს მონაწილეობას, გამოცდილებას გაგვიზიარებენ და შავი ბაზარი რომ არ გაჩნდეს, ამას მონიტორინგის ფუნქციას გაუწევს“ (გაგა, 28 წლის).

„რუსეთს არ უნდა ნატო ჰყავდეს მეზობლად და ცდილობს, არ მიგვიშვას იქამდე, თუ ასე მოხდა, არავინ იცის, რუსეთი რას მომიქმედებს, არაპროგნოზირებადი დიდი ძალაა. საქართველომ უნდა აირჩიოს დიპლომატიური ურთიერთობა, რადგან ქვეყნის გეოპოლიტიკას ვერ შეცვლი (ქეთევანი, 40 წლის).

მეშვიდე სიტუაციაში (თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მშვიდობიანად მოგვარდეს ეს კონფლიქტი) ყველა რესპონდენტი თანხმდება იმაზე, რომ მშვიდობის დამყარების ერთადერთი გზა მოლაპარაკებაა და ევროკავშირის ჩართულობა, მონიტორინგის მისია კი ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა, რითაც საბოლოოდ დავამყარებთ მშვიდობას. ხოლო რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ის საქართველოსთვის ყოველთვის საფრთხედ დარჩება.

ასევე, ფოკუს ჯგუფისთვის სპეციალურად შევიმუშავეთ დამატებითი კითხვები, რომლებიც რესპონდენტებს წინაშესაა გადავუგზავნეთ, რაც მათ უნდა გაეთვალისწინებინათ სიტუაციების განხილვისას. ეს ეხებოდა იმას, თუ როგორ წარმოუდგენიათ დევნილთა დაბრუნების შემდეგ დაპირისპირებული მხარეების შერიგება, როგორ წარიმართება მათი თანაცხოვრება. როგორ უნდა დაბრუნდნენ დევნილები და როგორ ითანამშრომლებს დაბრუნებული მოსახლეობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან (სხვადასხვა ჯგუფთან).

გამოკითხული რესპონდენტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობის დალაგების საკითხში უპირატესობას ანიჭებენ ეკონომიკური სიძლიერეს, საერთაშორისო აქტორებისა და ეკლესიის ჩართულობას. მათ, ასევე, მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდების ურთიერთობა უნდა იყოს ხიდი კონფლიქტების მოგვარებაში.

ახალგაზრდების აზრით, კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი და კონსტრუქციული გზით, მოლაპარაკებებით უნდა წარიმართოს. რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, საერთაშორისო დონეზე გააძლიეროს კავშირები. უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისთვის. მან უნდა წარადგინოს კარგად მომზადებული მტკიცე არგუმენტები თუ პოზიციები. ასევე, დასავლური და ამერიკის სტრატეგიული მხარდაჭერით უნდა მიჰყვეს პროცესს და არ დარჩეს მარტო არსებულ კონფლიქტებში, ასევე, აღნიშნავენ, რომ საჭიროა, გაძლიერდეს ევროკავშირის როლი საქართველოსთან მიმართებაში. ნატოზე მეტად რუსეთი, როგორც მესამე აქტორი, არ უნდა იყოს ჩართული შიდა ურთიერთობებში და მოგვცეს საშუალება, დავამყაროთ მშვიდობიანი ურთიერთობები ოსებსა და აფხაზებთან. გამოკითხულები აღნიშნავენ, რომ მშვიდობის მოგვარების ფორმულა არის სახალხო დიპლომატია პლუს ეკონომიკა.

ფოკუს ჯგუფში განხილული იყო სხვადასხვა მოსალოდნელი სიტუაცია. შესაძლო მოქმედებების აღსაწერად გამოვიყენეთ „პატიმრის დილემის“ მოდიფიცირებული ვარიანტი. რესპონდენტთა უმრავლესობის პასუხები მსგავსია, თუმცა, გვხვდება ზოგიერთი განსხვავებული შეფასება. ძირითადი კი, რაც გამოიკვეთა, არის, რომ მშვიდობიან მოლაპარაკებებსა და კონფლიქტის ტრანსფორმაციას ალტერნატივა არ გააჩნია. ეს არის საქართველოს პოზიციებიდან ხედვა. კვლევის შედეგებით, ასევე, დაფიქსირდა, რომ არსებობს საფრთხეები და სწორედ ეს საფრთხეები უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართულ პოლიტიკაში. „პატიმრის დილემის“ საფუძველზე გამოყოფილი სიტუაციები გვაძლევს ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ უნდა განვსაზღვროთ მომავალი ქმედების არეალიც. მაგალითად, სრულიად დაუშვებელია ომით ტერიტორიების დაბრუნება და პერიგების პროცესის დაწყება. მნიშვნელოვანია, ჩვენი მხრიდან

დაინტერესების (ეკონომიკური, ჰუმანიტარული) გამოწვევა მეორე მხარეში, როდესაც საჭიროა დაპირისპირებული მხარის დამოკიდებულებების შეცვლა. ნატოს საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრული ჩართულობით, რათა ის არ გახდეს ესკალაციის ინტენსივობის ზრდის მიზეზი. ევროკავშირის ჩართულობა განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს კონფლიქტურ რეგიონებში, რაც ნიშნავს ახალი მისიებისა და იმპლემენტაციის საკითხის ახალ სტადიაზე გადასვლას. ევროკავშირი უნდა იყოს გადამწყვეტი ძალა (სხვა აქტორებთან ერთად) ამ კონფლიქტის მოგვარებაში. პირველ რიგში, სხვადასხვა აქტორმა, ხელი უნდა შეუწყოს ნდობის აღდგენას, სხვადასხვა ორგანიზაციამ უნდა იმუშაოს ორთავე მხარეს და აქ აქტიურად უნდა ჩაერთოს ევროკავშირი. მნიშვნელოვანია ეს პროცესები განხორციელდეს 2024 წლამდე, სანამ საქართველო განაცხადს გააკეთებს ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

ჩვენი ნაშრომის წერის დროს, 2021 წლის 21 იანვარს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გამოაქვეყნა ისტორიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება სახელმწიფოთაშორის სარჩელზე 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შეიარაღებული კონფლიქტისა და მისი შედეგების შესახებ. გადაწყვეტილებაში მოცემულია მკაფიო დასკვნა, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ რუსეთის ფედერაციამ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლი დაარღვია¹⁵⁰. ასევე, ევროკავშირი მზაობას გამოხატავს, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებას, რისთვისაც საჭიროა ძალისხმევა წარსული კონფლიქტების მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად.

¹⁵⁰ საქართველო/რუსეთი: ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ <https://eeas.europa.eu/delegations/georgia>, ბოლოს გადამოწმებული იყო- 29.05.2021.

საქართველოს მხრიდან კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი პოლიტიკა უკავშირდება მომავლის კომპლექსურ ხედვას, სადაც ევროპულ ერთიან საქართველოში დაცული და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული იქნება ყველა მოქალაქისა და ეთნიკური ჯგუფის უფლებები და იდენტობა. შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული განვითარება, სტაბილურობა, ეკონომიკური კეთილდღეობა და ევროპული მოდელის სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოსთვის რჩება, როგორც კონფლიქტების მოგვარების მთავარი გასაღები.

ასევე, აღსანიშნავია, ევროკავშირის ჩართულობა საქართველოში ქვეყანის დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად. ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა და საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ფასილიტატორის როლი შეასრულეს დაპირისპირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. ეს დაპირისპირება 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარდა. საპარლამენტო ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა პოლიტიკური პროცესები პარლამენტიდან ქუჩაში გადაიტანა, რამაც საზოგადოების პოლარიზაცია გამოიწვია. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა საქართველოში მრავალპარტიულ და კონკურენტულ საკანონმდებლო ორგანოს და მხარეებს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა, უმაღლეს წარმომადგენელ უუზებ ბორელთან შეთანხმებით, საქართველოს პოლიტიკური კრიზისის მედიატორად შვედეთში ევროკომისიის წარმომადგენელი ქრისტიან დანიელსონი დანიშნა.¹⁵¹ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და მისი ოფიციალური წარმომადგენელი ქრისტიან დანიელსონი საქართველოს არაერთხელ ეწვივნენ და თხოვნით

¹⁵¹ European Council. <https://www.consilium.europa.eu/en>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.05.2021

მიმართეს ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, ესარგებლათ ხალხის მიერ მინიჭებული მანდატებითა და ხელი შეეწყოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.

საქართველოში პოლიტიკურ აქტორებთან, ევროპული საბჭოს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, შარლ მიშელმა 50 დღიანი მოლაპარაკების შემდეგ დაასრულა მისია, რომელიც საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვას ისახავდა მიზნად. შარლ მიშელის 2021 წლის პირველ მარტს დაწყებული მედიაციის პროცესი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, 19 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, ევროკავშირისა და აშშ-ის უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოეწერა ხელი ისტორიულ ხელშეკრულებას, ე.წ. „მიშელის დოკუმენტს“ - „სამომავლო გზა საქართველოსთვის“.¹⁵² დოკუმენტი¹⁵³ ხუთპუნქტიანია და მოიცავს პოლიტიკურად მოტივირებულ მართმლსაჯულებას, ამბიციურ საარჩევნო რეფორმას, სასამართლო რეფორმას, ძალთა გადანაწილებას პარლამენტში და მომავალ არჩევნებს.

საფრანგეთის ევროპულ საქმეთა მინისტრის ჟან-პიერ ჟუეი განაცხადებით, ქართული კრიზისი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო ევროპული დიპლომატიისთვის, როგორც ევრო ევროპის ეკონომიკური პოლიტიკისთვის. ევროკავშირის საბჭოს ანგარიშში ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების შესახებ, ასევე, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოში მიღებული გამოცდილება შემდეგი განცხადებით: „საქართველოში ჩვენმა მისიამ აჩვენა, თუ რისი მიღწევა შეიძლება, როდესაც

¹⁵² სამომავლო გზა საქართველოსთვის. <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 15.05.2021.

¹⁵³ A way ahead for Georgia. <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 17.05.2021.

ჩვენ ვმოქმედებთ ერთობლივად და პოლიტიკური ნებით”.¹⁵⁴ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში კონკრეტული ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისთვის. ევროკავშირი წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ ძალას. არასწორმა პოლიტიკამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს და შედეგად მოგვიტანოს პოლიტიკური რეგრესი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მკვეთრად გამოხატულია შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, არსებული გარემოება, ხშირ შემთხვევაში ხდება, გარე კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აქტიურობას ავლენს მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც არსებობს კრიზისი და აუცილებელი ხდება მყისიერი რეაგირება, როგორც შიდა, ასევე, გარე კონფლიქტებში.

სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან

საქართველოში არსებული კონფლიქტებიდან გამომდინარე, რომელთა წინაშეც საქართველო კვლავ დგას, მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარებაში ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა და საკითხის სიღრმისეული შესწავლა.

კვლევის მიზნების განსახორციელებლად ავირჩიეთ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. ექსპერტები შევარჩიეთ სხვადასხვა სფეროდან მიზნობრივად, მათი ექსპერტული ცოდნის გათვალისწინებით. სულ გამოვკითხეთ 9 ექსპერტი. ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩასატარებლად შევარჩიეთ ათი კითხვა ქართულ და ინგლისურ ენაზე. (კითხვები მოცემულია დანართში).

¹⁵⁴ Forsberg T., Seppo A. The Russo-Georgian war and EU mediation. In Russian foreign policy in the 21st century, pp. 121-137. Palgrave Macmillan, London, 2011.

1. ვლადიმერ (ნიკა) ჩიტაძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2. კახა გოგოლაშვილი - სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი;

3. პაატა ზაქარეიშვილი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (2012–2016 წ.წ.);

4. ვალერიან მოდებაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;

5. თამარ ხულორდავა - „ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

6. ნიკოლოზ სამხარაძე - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. მარინა მუსხელიშვილი - საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. ლაშა ტულუში - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

9. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი (წერილობით)

კვლავ საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივები, რადგან კონფლიქტები

დღემდე მოუგვარებლად რჩება და შიდა თუ გარე ფაქტორების გათვალისწინებით ჯერ კიდევ არსებობს მათი ხელახლა გაღვივების ალბათობა.

ექსპერტთა უმრავლესობის აზრით ევროკავშირი, შემაკავებელი ძალაა საქართველოს კონფლიქტებში. ექსპერტთა ნაწილი კი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და ამის დასამტკიცებლად არგუმენტები მოჰყავთ.

ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი საქართველოს კრიზისების მართვაში უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე ის იმსახურებს, ევროკავშირი დაღლილია საქართველოსგან. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მონიტორინგის მისია შემაკავებელია, რადგან რუსეთი ანგარიშს უწევს საერთაშორისო ურთიერთობების როლს და უფრო კორექტულად იქცევა იქ, სადაც მათი ინტერესები არ ილახება და ამიტომ მათი ყოფნა აუცილებელია. ექსპერტები დარწმუნებულია, რომ არ იყოს მონიტორინგის მისია, მოხდებოდა ექსცესები, თუმცა, მონიტორინგის მისია არ არის პოლიტიკური ინსტრუმენტი. მას არ აქვს პოლიტიკური მანდატი. ის ევროკავშირის მონიტორინგის მისიას აღარებს სახანძროს. „მონიტორინგის მისია არის იგივე, რაც არის სახლში სახანძრო სისტემა. თუ კვამლის სუნს იგრძნობს, დაიწყებს ხმაურს, მაგრამ მას მეტი არაფერი შეუძლია, მონიტორინგს შეუძლია, თქვას მხოლოდ და მხოლოდ, რომ შეიძლება დაიწყოს საომარი მოქმედებები, მაგრამ ის ვერ გააჩერებს მას“ (ზაქარეიშვილი, 2020).

ექსპერტი მარინა მუსხელიშვილის განმარტებით, საქართველოს კონფლიქტებში ევროკავშირმა არ ითამაშა დიდი როლი. მისი თქმით, რუსეთმა გააკეთა ის, რაც უნდოდა და გაჩერდა. ევროკავშირი გამოიყენა სტატუსკვოს გაფორმების შესაძლებლობად. ამიტომ ევროკავშირის როლს შემაკავებელს ვერ უწოდებს. „ევროკავშირის გავლენა რუსეთზე შემცირდა, დღესდღეობით საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში მთავარი

ფაქტორი, რომელიც მოქმედებს, ცხადია, რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობები არის. ევროკავშირის როლი არის არა უშუალოდ, არამედ გაშუალდებული, თურქეთის, რუსეთის ამერიკისა და ევროკავშირის მთლიანი ძალთა კონფიგურაციით. სავარაუდოდ, თურქეთის გავლენა ვინაიდან იზრდება რეგიონში, ჩვენი კონფლიქტების საკითხი უფრო იქნება თურქეთისა და რუსეთის ძალთა ბალანსის საკითხი, ვიდრე ევროკავშირის გავლენის სფერო. ევროკავშირის გავლენა საქართველოს მთავრობაზე უფრო მეტ როლს თამაშობს, ვიდრე რუსეთზე“ *(მუსხელიშვილი, 2020)*.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება კავკასიის რეგიონში. „კავკასია მრავალრიცხოვანი კონფლიქტების გამო, კვლავ არასტაბილურ რეგიონად ითვლება და თუ ეთნოკონფლიქტები განახლდება, რეგიონმა შეიძლება სატრანზიტო ფუნქცია დაკარგოს. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთ-საქართველოს და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი“-აღნიშნავს ვალერიან მოდებაძე *(მოდებაძე, 2020)*.

ექსპერტი ლაშა ტულუშის მოსაზრებით, ევროკავშირს ცალსახად ძალის შემაკავებელი ფუნქცია არ გააჩნია. ეს არის გარკვეული ტიპის მისია, რომელსაც თავის ეფექტი აქვს. ის არის ავტორიტეტული და დიდი გავლენის მქონე სისტემა და, ბუნებრივია, მას აქვს, გარკვეული თვალსაზრისით, შემაკავებელი ფუნქცია, თუმცა, ის არ არის შეიარაღებული ძალა, რომელიც ფიზიკურად დაიცავს. ეს უნდა გააკეთოს საქართველოს შესაბამისმა სისტემამ, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია მათი როლი და კარგია, რომ არიან. ეს არის ეფექტური გამჭირვალობის პროცესი, დაკვირვების თვალსაზრისით. ჩვენ ასეთ ინსტრუმენტს ვერ მოვთხოვთ და ვერ გამოვიყენებთ ქვეყნის აღდგენისთვის იმას თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს, რასაც ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს *(ტულუში, 2021)*.

ექსპერტი ნიკოლოზ სამხარაძე საქართველოში არსებულ კონფლიქტებში ევროკავშირის ჩართულობას რეალურად პოსტკონფლიქტურს უწოდებს და დასტაბილურების პრიზმით განიხილავს. „ევროკავშირის ჩართულობას კონფლიქტებში დიდი მნიშვნელობა აქვს, იქედან გამომდინარე, რომ ის მიიჩნევა, როგორც ნეიტრალური აქტორი და მედიატორი მხარე, რომელსაც აქვს იმის რესურსი, რომ კონფლიქტი დაარეგულიროს, თუმცა, დღემდე არ ეძლევა უფლება მონიტორინგის მისიას, რომელიც 12 წელია, საქართველოში მუშაობს, განახორციელოს თავისი მანდატი და შევიდეს კონფლიქტურ რეგიონებში და იქაც აწარმოოს მონიტორინგი ცეცხლის შეწყვეტის პირობები როგორ სრულდება“ (სამხარაძე, 2021).

ექსპერტი თამარ ხულორდავას აზრით, ევროკავშირის საქართველოს კონფლიქტებში ჩართულობას პოსტკონფლიქტურს ვერ უწოდებს, რადგან საქართველოში კონფლიქტი ჯერ არ დასრულებულა და ახლაც მიმდინარეობს. „ჩვენი კონფლიქტები ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე ევროკავშირი ჩვენ რეგიონში გააქტიურდებოდა. კონფლიქტები, რომლებიც რეალურად ჩვენთან დაიწყო, ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, და იმ პერიოდში არა თუ ევროკავშირის, არამედ საერთაშორისო ყურადღება ნაკლები გვქონდა. მსოფლიო დაკავებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის სიხარულით. იმ პერიოდში მსოფლიო ყურადღების მიღმა აღმოვჩნდით. როცა ევროკავშირი ჩამოვიდა, ჩვენ გვქონდა კონფლიქტის დიდი ნაწილი გადატანილი და უკვე კონფლიქტით დაზარალებული ქვეყანა ვიყავით“
ექსპერტის შეხედულებით, 2008 წელს, უბრალოდ, ახალი ინციდენტი მოხდა, ეს იყო არსებული კონფლიქტის ფარგლებში დამატებითი გამწვავება, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. ევროკავშირის სამოქალაქო მისია, ფაქტია, ვერ უზრუნველყოფს ინციდენტების აღმოფხვრას, თუმცა, რეაგირება და პოლიტიკური დიალოგი ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც პოლიტიკურ მნიშვნელობას არ კარგავს. ფაქტია, ევროკავშირი არ გეტოვებს

რუსეთის ანაბარა, იმ კონფლიქტების შინაარსიდან გამომდინარე და მოწინააღმდეგის ხასიათის გათვალისწინებით, თუმცა, მას საქართველოში რეალურად არ აქვს ბერკეტები, რომ კიდე უფრო აქტუური და შედეგის მომცემი ნაბიჯები გადადგას *(ხულორდავა, 2021)*.

მარინა მუსხელიშვილის მოსაზრებით, ევროკავშირის როლი მსოფლიო პოლიტიკაში ბოლო ათწლეულებში ძალიან მნიშვნელოვანი არ არის. ევროკავშირი ამ შემთხვევაში თავისი შიდა პრობლემებით არის უფრო დაკავებული, ვიდრე მსოფლიო კონფლიქტებით. „მან მთლიანად დაუთმო ლიდერის პოზიცია ამერიკის შეერთებულ შტატებს. საგარეო პოლიტიკა ევროკავშირს მაინდამიანც აქტიური და შემტევი არ აქვს. ამ მხრივ ვერ ვხედავ, ევროკავშირი იყოს ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე მსოფლიო მასშტაბით. დღესდღეობით უფრო კონფლიქტებში არის ჩართული ამერიკა, ჩინეთი, რუსეთი, ხოლო ევროკავშირის პრობლემები არის უფრო ეკონომიკური სოციალური და მთლიანობის შენარჩუნება და მომავალი პერსპექტივები“ *(მუსხელიშვილი, 2021)*.

ექსპერტი ვალერიან მოდებაძის აზრით, ევროპის ინტერესებში შედის კონფლიქტების დეესკალაცია კავკასიის რეგიონში, ვინაიდან არასტაბილურმა ვითარებამ, შესაძლოა, ევროკავშირში ლტოლვილთა მასობრივი მიგრაცია გამოიწვიოს და ხელსაყრელი ნიადაგი შექმნას ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ქმედებებისა და კონტრაბანდისათვის. კავკასია მრავალრიცხოვანი კონფლიქტების გამო კვლავ არასტაბილურ რეგიონად ითვლება და თუ ეთნოკონფლიქტები განახლდება, რეგიონმა შეიძლება, სატრანზიტო ფუნქცია დაკარგოს. ამიტომაც ევროკავშირისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კავკასიაში არსებული ეთნოკონფლიქტები და დაპირისპირება. რომელმაც შეიძლება არა მარტო კავკასიის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, ასევე, ევროპის, ვინაიდან კონფლიქტების განახლების

შემთხვევაში ლტოლვილების დიდი მასა დაიძრება ევროპაში (მოღეზაძე, 2020).

ექსპერტი კახა გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთი ცნობილია საერთაშორისო სამართლის დარღვევით, რომელსაც ჰყავს ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე, და არ უშვებს ევროკავშირის წარმომადგენლებს თავის კონტროლირებად საზღვრებში, თუმცა, „რომ არა მონიტორინგის მისია, სრული შესაძლებელია, რომ რთული ექსცესები მოხდეს. ასევე, შესაძლოა, კვლავ გაჩაღებულიყო კონფლიქტი. ევროკავშირი არის ერთგვარი შემაკავებელი ძალა, რომელიც არ ფლობს სამხედრო იარაღს და ტექნიკას, არც ფუნქცია აქვს, განახორციელოს ძალისმიერი ქმედებები, მაგრამ მონიტორინგი ქმნის ისეთ გარემოს, რომელშიც სამხედრო პროცესები პრაქტიკულად გამორიცხულია“ (გოგოლაშვილი, 2020).

ექსპერტების აზრით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებული პოზიციები ხელს უშლის ევროკავშირის ეფექტურ ჩართულობას საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში. ისინი ევროკავშირის მხარდაჭერას საქართველოს მიმართ გამოყოფენ არაღიარების პოლიტიკით.

პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ „ევროკავშირისგან, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, გვაქვს მჭიდრო მხარდაჭერა, მკაფიო, რომელიც, პირველ რიგში, გამოიხატება არაღიარების პოლიტიკით. ევროკავშირის გაერთიანება, ბრიუსელი ყველანაირად ცდილობს, არ დაუშვას რუსეთის მიერ წამოწყებული ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება და არ გაავრცელოს აღიარების პოლიტიკა ე.წ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართულებით. ასევე, ევროკავშირი ხედავს, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საქართველოში დემოკრატიის ნიშნებია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რასაც ბოლო თვეებზე ვერ ვიტყვით, ამიტომ ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას, გაძლიერებასა და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობას. ყველაზე მნიშვნელოვანია

აღმოსავლეთ პარტნიორობა, სადაც საქართველო ლიდერად არის გამოყოფილი, აღმოსავლეთ პარტნიორობაში ექვსი სახელმწიფოა გაერთიანებული. სამხრეთ კავკასიაში ეს სახელმწიფოებია: სომხეთი, აზერბაიჯანი, და საქართველო, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში: უკრაინა, ბელორუსია და მოლდოვა. ამ ფონზე აშკარად იგრძნობა, რომ ჩვენ ვართ ფავორიტები. ევროკავშირი ცდილობს ფინანსური მხარდაჭერის და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. საქართველოში აშკარად დაიხია დემოკრატია, რაშიც ყოველთვის მმართველი ძალა არის პასუხისმგებელი“ (*გაქარეიშვილი, 2020*).

ლამა ტულუშის მოსაზრებით, ევროკავშირის პოზიცია მნიშვნელოვანია მშვიდობის შენახუნებისთვის, კონფლიქტთან დაკავშირებით ევროკავშირი იზიარებს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და ახმოვანებს სხვადასხვა ფორუმებზე.

ნიკოლოზ სამხარაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას მანევრებისთვის სივრცე არ აქვს, რადგან საქართველო ითხოვს კიდევ ევროკავშირისგან ჩართულობას, რომ სრულად აამოქმედოს მონიტორინგის მისიის მანდატი, თუმცა, ამ შემთხვევაში ეს უკვე ევროკავშირზეა დამოკიდებული, რამდენად იაქტიურებენ და ის ფაქტი, რომ არ უშვებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათი პრესტიჟის საქმეც არის, იგი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მეტი მოთხოვნის სივრცეს ვერ ხედავს. ევროკავშირის მხრიდან უნდა იყოს უფრო მეტი აქტიურობა, თუმცა, აქაც ობიექტური მიზეზებიც არის, როცა არ გიშვებენ, ევროკავშირი ძალით არსად არ შედის. აქედან გამომდინარე, ერთი, რაც მათ შეუძლიათ, ეს არის, პოლიტიკური ზეწოლა განახორციელონ რუსეთზე და პოლიტიკური ზეწოლით აიძულონ, რაღაც დათმობებზე წამოვიდნენ, თუმცა, უკრაინის მაგალითზე ვხედავთ, რომ ეს პოლიტიკური ზეწოლა მანდამაინც არ მუშაობს აღნიშნავს ნიკოლოზ სამხარაძე (*სამხარაძე, 2021*).

თამარ ხულორდავას მოსაზრებით, „მონიტორინგის მისიას გარკვეული შემაკავებელი ეფექტი აქვს. სულ ბედის ანაბარა რომ ვიყოთ, ამას ჯობია ის, რაც გვაქვს, შეიძლება იდეალური არ არის და ვერ გვიცავს ფიზიკური საფრთხეებისგან, მაგრამ ინცინდენტის შედეგად პოლიტიკური რეაგირება არის ბერკეტი იმისთვის, რომ პოლიტიკურ მოლაპარაკებებში გარკვეული ჩვენი სასარგებლო პოზიციების კონსოლიდაცია შევძლოთ (ხულორდავა, 2021).

ექსპერტი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება ევროკავშირის ფორმატის გაფართოება ის მიესალმება საქართველოში დამკვირვებლების რაოდენობის გაზრდას 600-მდე. „აუცილებელია, საოკუპაციო ზონის სიახლოვეს იყოს განთავსებული ევროკავშირის ბლოკ-პოსტები, რადგან შეძლონ სწრაფი რეაგირება კანონდარღვევებზე, რომელიც ოკუპანტების მიერ ხორციელდება. ევროკავშირის მისიაა, კონფლიქტი მოგვარდეს მშვიდობიანი გზით და მოხდეს საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაცია. პირველ რიგში, გამოიხატება, იმაში, რომ ევროკავშირი ახდენს გარკვეულ დიპლომატიურ ზეწოლას რუსეთზე, რომ შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს აღებული ვალდებულებები, რომელიც ითვალისწინებს ჯარების გაყვანას კონფლიქტის რეგიონიდან“ (ჩიტაძე, 2020).

უენევის ფორმატის მნიშვნელობაზე გამოკითხული ექსპერტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ფორმატი ჯერჯერობით წარუმატებელია, მაგრამ ასეთი ფორმატის არსებობა შეიძლება კვლავ მნიშვნელოვანი იყოს თანამშრომლობის მცდელობებისა და სოციალიზაციისთვის.

თამარ ხულორდავას განმარტებით, უენევის ფორმატი, ეს არის საერთაშორისო ფორმატი იმისთვის, რომ რუსეთს დაეანახოთ, ჩვენ მართლ არ ვართ და ამ ფორმატში რუსეთი არის მოწინააღმდეგე მხარედ ჩართული. ძალიან ბევრი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ელემენტი არის ამ დისკუსიების ფორმატში თავმოყრილი, რომლის დაკარგვა იმის გამო, რომ

შედეგი არ მოჰყვა, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, იმიტომ რომ სხვა არ გავქვს და რაც გვაქვს, ისიც არ უნდა დავკარგოთ *(ხულორდავა, 2021)*.

ნიკოლოზ სამხარაძე უენევის მოლაპარაკებას მნიშვნელოვანს უწოდებს, იქედან გამომდინარე, რომ ევროკავშირი მიიჩნევა როგორც ნეიტრალური აქტორი და მედიატორი მხარე, რომელსაც აქვს იმის რესურსი, რომ კონფლიქტი დაარეგულიროს, თუმცა, თუ პროგრესზე ვისაუბრებთ, ამ მხრივ პროგრესი ჯერ არანაირი არ არის.

მარინა მუსხელიშვილი უენევის ფორმატის არსებობას ტყუილად არსებობას უწოდებს. „ვერ ვხედავ, რუსეთს ჰქონდეს რამე ინტერესი ამ კონფლიქტის სხვა ეტაპზე გადაყვანის“ *(მუსხელიშვილი, 2021)*.

გამოკითხული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა, ევროკავშირმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს კონფლიქტების დარეგულირებას კავკასიის რეგიონში და რუსეთის აგრესიის შესაკავებლად კონკრეტული გეგმა შეიმუშაოს. „დღეს ევროკავშირს არ ჰყავს დიდი და კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ძალები, რაც მას ხელს უშლის, რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რომელიც მხოლოდ სადამკვირვებლო მონიტორინგის მისიას ახორციელებს კავკასიაში, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის რუსეთის შესაკავებლად და კონფლიქტური სიტუაციების გასაანეიტრალებლად“ *(მოდებაძე, 2020)*.

ევროკავშირის მონიტორინგის მისია არის საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, რათა მოხდეს საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაცია. მათი მხარდაჭერა გამოიხატება რუსეთზე გარკვეულ დიპლომატიური ზეწოლით, რომელიც გულისხმობს 2008 წლის 12 აგვისტოს აღებული ვალდებულებების შესრულებას, რაც ითვალისწინებს ჯარების გაყვანას კონფლიქტის რეგიონიდან, ასევე, ლოკალურ დონეზე მეტი შეხვედრები და

მოლაპარაკების გამართვა არის საჭირო ქართულ-ოსურ და აფხაზეთის მოსახლეობას შორის (*ჩიტაძე, 2020*).

ვალერიან მოდებაძე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას ეფექტიანს ვერ უწოდებს, რადგან ხშირია საქართველოს მოქალაქეების გატაცება, ციხეებში მათი წამებისა და ცემის ფაქტები. მათ კი ასეთი ბარბაროსული შემთხვევების აღკვეთა არ შეუძლია. „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შორიდან კი არ უნდა აკვირდებოდეს სიტუაციას, არამედ სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები უნდა ჰყავდეს კონფლიქტურ ზონებში“. ასევე, აღნიშნავს, რომ ევროკავშირმა ვერ შეძლო რუსეთის დარწმუნება, რომ თავისი შეიარაღებული ძალები გაიყვანოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. როდესაც 2008 წელს ექვსპუნქტიანი შეთანხმებით იქნა მიღწეული, ამჟამად განსახორციელებელი რჩება შეთანხმების მეხუთე პუნქტი, რადგანაც რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებისა და ტექნიკის ყოფნა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შეთანხმების ამ ნაწილის დარღვევას წარმოადგენს (*მოდებაძე, 2020*).

ნიკოლოზ სამხარაძის შეხედულებით მონიტორინგის მისიის მნიშვნელოვანი მიმართულება, გარდა იმისა, რომ რეპორტირებს აწარმოებს ბრიუსელში, ასევე, ცალსახად მნიშვნელოვანია ის, რომ ეს არის ობიექტური მოთამაშე, რომელსაც შეუძლია პირდაპირ მთელ მსოფლიოს აცნობოს იმის შესახებ თუ რა ხდება კონფლიქტურ რეგიონებში და ადმინისტრაციულ საზღვრის პირა ადგილებზე. შესაბამისად, ეს არის ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი, რომ რუსეთის მხრიდან დამატებითი პროვოკაციები და აგრესიული ქმედებები იქნეს აღკვეთილი.

ნიკა ჩიტაძე ევროკავშირის მონიტორინგის მისიას შემაკავებელ ძალას უწოდებს. „რომ არა ევროკავშირის მონიტორინგის მისია, ქმედებები უფრო რადიკალური იქნებოდა, და შესაძლებელი იქნებოდა, რუსეთს უფრო

გადმოეწია საოკუპაციო ხაზი. და რაც შეეხება გატაცებებს, მათი რაოდენობა შეიძლება უფრო მეტი ყოფილიყო“ (ჩიტაძე, 2020).

თამარ ხულორდავას განმარტებით, ევროკავშირის სამოქალაქო მისიას გარკვეული შემაკავებელი ეფექტი აქვს. „სულ ბედის ანაბარა რომ ვიყოთ, ამას ჯობია ის, რაც გვაქვს, შეიძლება იდეალური არ არის, ვერ გვიცავს ფიზიკურად ასეთი საფრთხეებისგან, მაგრამ არის ბერკეტი იმისთვის, რომ პოლიტიკურ მოლაპარაკებებში გარკვეული ჩვენი სასარგებლო პოზიციების კონსოლიდაცია შევძლოთ“ (ხულორდავა, 2021).

მარინა მუსხელიშვილი მიიჩნევს რომ კონფლიქტში მესამე მხარის მონაწილეობა ყოველთვის მისასალმებელია და გარკვეული ჰუმანური უბედურების შემამსუბუქებელი და მასტაბილიზირებელია. კონფლიქტის გაყინვის გარკვეული საერთაშორისო ნორმების დაცვის თუალსაზრისით, ევროკავშირი მინიმალურ როლს ასრულებს, სტაბილურობის ფაქტორი არის ის, რომ ამ მომენტში მოთამაშე არ არის დაინტერესებული დესტაბილიზაციით. რამე რომ მოხდეს, ევროკავშირის არცერთი მექანიზმი არ იმუშავებს ანუ ეს მექანიზმები მუშაობს იმდენად, რამდენადაც მხარეები თანახმა არიან ამ მექანიზმების გამოყენებაზე. როგორც კი ვინმე დააყენებს ძალის გამოყენებას, ევროკავშირს არ აქვს არანაირი ძალები, ინსტრუმენტები, რომ შეაკავონ, როგორც ეს იყო ყარაბაღში და ამან გვიჩვენა, რომ არ აქვს მექანიზმები (მუსხელიშვილი, 2021).

თუმცა, ყველა გამოკითხული ექსპერტი განსაკუთრებით გამოყოფს ევროკავშირის დიდ მიღწევებს მსოფლიოსა და საქართველოში, ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების თვალსაზრისით. მან დიდი თანხა დახარჯა კონფლიქტის ზონებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურის აღსადგენად. ასევე, საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის პროცესში ბოლო პერიოდში მიღწეულ წარმატებებიდან, გამოიკვეთა საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირებისა და ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების ამოქმედება. საქართველო-ევროკავშირის შორის უვიზო ლიბერალიზაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სტიმულია დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და კარგი მმართველობის განვითარებისთვის.

ექსპერტების უმეტესობა და ევროკავშირის წარმომადგენლები სადამკვირვებლო მისიის მთავარ მიღწევად ასახელებენ, რუსეთის არაერთი პროვოკაციის მიუხედავად, საომარი მოქმედებების განუახლებლობას კონფლიქტურ ზონებში. რის შედეგადაც გაიზარდა უსაფრთხოების შეგრძნება კონფლიქტის მხარეებს შორის და ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის აღდგენას შეუწყო ხელი. ასევე, მან გაამყარა სტაბილიზაციის პროცესი.

ნიკოლოზ სამხარაძის მოსაზრებით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ევროკავშირი არის ძალიან წარმატებული ორგანიზაცია მსოფლიოში, რასაც პოსტსაბჭოთა ტიპის კონფლიქტებზე იგივეს ვერ ვიტყვით. ევროკავშირი კონსტრუქციული მოთამაშეა და არ მიდის, ხოლმე, გამწვავებამდე, ზოგადად, და ცდილობს, კონსტრუქციული და დიპლომატიური მიდგომა შეინარჩუნოს. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რუსეთთან მიმართებაში ეს არ ჭრის. ამიტომ ჩვენ უფრო ნაკლებად უნდა ვისაუბროთ ევროკავშირის წარუმატებლობაზე რადგან ევროკავშირი თავის მაქსიმუმს აკეთებს, მაგრამ მეორე მხრეს არის დესტრუქციული ძალა, რომელსაც არ უნდა პროგრესი ამ მიმართულებით *(სამხარაძე, 2021)*.

პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ „ევროკავშირი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელმაც გამოძიება ჩაატარა, თუ რა მოხდა 2008 წელს, მიუხედავად იმისა, რომ არც რუსეთი და არც საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი. მის მიერ ჩატარებული გამოძიება 1200 გვერდიანია, მასში მაქსიმალურადაა გაანალიზებული, რა მოხდა და ვის რა წვლილი მიუძღვის ამ ომში. ევროკავშირს არცერთი კონფლიქტის დროს მსგავსი კვლევა არ გაუეკეთებია ქართულმა მხარემ თავისი წინდაუხედავი და

ავანტიურისტული პოლიტიკით ხელი შეუწყო რუსეთის აგრესიას, ეს არ იყო საქართველოს ინტერესებში, ეს იყო რუსეთის ინტერესებში და, სამწუხაროდ, საქართველომ ვერ გათვალა რუსეთის ინტერესები და აჰყვა პროვოკაციას“ (ზაქარეიშვილი, 2020).

ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩამოყალიბდა საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია (სმკდფდსმ). პირველად მისი ისტორიის მანძილზე, ევროკავშირმა გადაწყვიტა, აქტიურად ჩართულიყო შეიარაღებულ კონფლიქტში. ასევე, პირველად მოხდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ ჩამოყალიბდა ფაქტების დამდგენი მისია, როგორც კონფლიქტის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური და დიპლომატიური მექანიზმი. მუშაობის პროცესში მისიას დახმარებასა და კონსულტაციებს უწევდა უფროს მრჩეველთა საბჭო.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემსწავლელი ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის მიერ გამოქვეყნებული დასკვნა ცნობილია „ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის“ სახელით. მისიამ დაადგინა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ - ქართულმა ძალებმა, რუსულმა ძალებმა და ე.წ სამხრეთ ოსეთის ძალებმა - დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.¹⁵⁵

ქართველი მეცნიერი დ. ჯოჯუა თავის წიგნში „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“ აღწერს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს საქართველოში, ჯერ კიდევ რუსული იმპერიალიზმიდან მოყოლებული, და დეტალურად გადმოგვცემს აგვისტოს ომის მოვლენებს. ასევე, ავტორი აღნიშნავს, რომ 2008 წლის

¹⁵⁵ ტალიავინი ჰ. ტალიავინის ანგარიში. Igitur, Utrecht Publishing & Archiving Services, 2009.

ავგისტოს ომი არის წმინდა წყლის დელიქტური ქმედება, დანაშაული ა) კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ; ბ) დანაშაული ცივილიზაციის ისტორიის წინააღმდეგ; გ) დანაშაული თანამედროვე ცივილიზაციის ფასეულობებისა და იდეალების მიმართ... რომლებიც რუსებმა ჩაიდინეს საქართველოს ერისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.¹⁵⁶

მთავარ პრობლემად იკვეთება ევროკავშირის უსაფრთხოების გამოწვევები, როგორც არის მიგრაცია და აქვთ საერთო პოლიტიკა, რომ შეაკავონ ევროკავშირის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენელთან წერილობით ინტერვიუს, ამ დროს მან ძირითადად, ისაუბრა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის შექმნასა და მნიშვნელობაზე. „მისია განლაგების შემდეგ ახორციელებს 24 საათიან პატრულირებას და განსაკუთრებულ ყურადღებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობენ, რათა ხელი შეუწყოს ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებს. საქართველოსა და რეგიონის მიმართ თავისი პოლიტიკა ჩამოაყალიბოს. „ჩვენი ძალისხმევა, ძირითადად, ადგილზე არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებასა და ინციდენტების შესახებ ანგარიშების წარდგენას მოიცავს. ასევე, შესაბამის მიდამოებში მუდმივად ადგილზე ყოფნით, მისია, ზოგადად, უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. „ჩვენი პრიორიტეტებია: საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა, კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა,

¹⁵⁶ ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის ავგისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი. 2010.

საქართველოსა და რეგიონის შესახებ ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირება. ადამიანის უფლებებისა და ადამიანის უსაფრთხოების ხელშეწყობა წარმოადგენს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყველა საქმიანობის გადაკვეთის კომპონენტს“ *(ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი საქართველოში, 2021)*.

გამოკითხული ექსპერტები ევროპულ ინტეგრაციას სხვადასხვა მიმართულებით განიხილავენ, რომლის ერთ-ერთი არსი არის ევროკავშირის სივრცეში მიმდინარე პროცედურების განხორციელება, რაც მოიცავს პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ეკონომიკურ კავშირს, სამართლებრივ ნორმებსა და სხვ.

კახა გოგოლაშვილის მოსაზრებით, ქვეყანა ევროკავშირში შეიძლება იყოს ფუნქციურად ინტეგრირებული: „ჩვენ წარმოდგენაში არის, რომ ევროკავშირის წევრი ან ხარ ან არ ხარ, თუმცა, ინტეგრაციას ფუნქციური ხასიათი აქვს, რაღაცეებში ხარ ინტეგრირებული, რაღაცეებში არა. შესაძლებელია, სამომავლოდ ევროკავშირმა ფუნქციური თანამშრომლობის კლასტერებად დაყოს მიმართულებები და იმ კლასტერებში დარჩეს ქვეყნები. საქართველომ შეიძლება ფუნქციურად მოახდინოს ინტეგრირება ევროკავშირში. პირდაპირ რომ მიიღონ, დიდი დრო უნდა გავიდეს, შეიძლება მოახდინოს თავდაცვა და უსაფრთხოებაში. ელექტრონულ ვაჭრობაში, განათლების სისტემაში ვახდენთ ინტეგრირებას, უვიზო მიმოსვლა, დასაქმების საკითხებში, რომ გაიხსნას შრომის ბაზარი, რაც ნიშნავს, ნებისმიერი დასაქმდეს ევროკავშირში. მე მგონია, ამ გზით წავალთ. თუ ევროკავშირმა არ მოახდინა ტრანსფორმაცია და არ გახადა თავისუფალი კავშირი უფრო გარკვეულ სფეროებში ფუნქციური ინტეგრაცია, თუ საქართველო მომწიფდება ინსტიტუციურადაც, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, გავხდეთ სრულფასოვანი წევრი“ *(გოგოლაშვილი, 2020)*.

ნიკოლოზ სამხარაძე მიიჩნევს, რომ თუ ქვეყანა მიზანმიმართულად ივლის ინტეგრაციის გზაზე და შეასრულებს საშინაო დავალებას, ასოცირების ხელშეკრულების სახით ყველაფერი რეალისტური გახდება. „ვფიქრობ, დაახლოებით 10 წელიწადში შეგვიძლია საქართველო ვიხილოთ ევროკავშირის წევრად, თუმცა, მანამდე ბევრი სამუშაო იქნება გასატარებელი. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამის პოლიტიკური ნება უნდა იყოს ევროკავშირის მხრიდან. ჩვენ საშინაო დავალება შევასრულოთ, ეს არ კმარა, რადგან ევროკავშირის 27 სახელმწიფო უნდა იყოს თანახმა, რომ საქართველო გახდეს მისი წევრი.“ (სამხარაძე, 2021).

მარინა მუსხელიშვილი ევროკავშირში განწევრიანებაზე საუბარს პროპაგანდას უწოდებს, ვიდრე რეალისტურს. მისი აზრით, ევროკავშირის დახმარება ეს არის პოლიტიკა, და არის მისასალმებელი, რომელიც საქართველოს ძალიან შეეღობა. საქართველოს მთვარობა მონდომებულია ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებით და ესეც არის მისასალმებელი. მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა გავაიგივოთ იმასთან, რომ ჩვენ შევდივართ ევროკავშირში. ეს არის ორი სხვადასხვა საკითხი (მუსხელიშვილი, 2021).

ნიკა ჩიტაძის განმარტებით, საქართველო ბევრი კრიტერიუმით ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს და ევროკავშირში განწევრიანება შორ პერსპექტივად რჩება „თავდაცვასა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა, აფრიკის მისიაში საქართველოს ჩართვა, ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დაახლოების პროცესს. დღესდღეობით ევროკავშირზე მოდის საგარეო ვაჭრობის 25 პროცენტი, ხოლო 40 პროცენტი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე“ (ჩიტაძე, 2020).

პაატა ზაქარეიშვილი ახლო მომავალში საქართველოს ევროკავშირის წევრად ვერ ხედავს. „დიდი ხანი დაგვჭირდება ჩვენ. უფრო რეალურია, ნატოს წევრი ქვეყანა გავხდეთ, ვიდრე ევროკავშირის. ნატო მეზობელია, თურქეთის სახით. ევროკავშირი ჩვენი მეზობელი არა არის და ეს არ

ვრცელდება ჰაერით. საქართველოს ხელისუფლება უფრო ევროკავშირზე ლაპარაკობს, ვიდრე ნატოზე. აქ ჩანს მისი ფარისევლობა. ლაპარაკობს იმაზე, რაც შეუსრულებელია და არა რეალურზე. ევროკავშირი არ ხედავს, ჯერ, თავის შემადგენლობაში საქართველოს, მაგრამ ხედავს კეთილ მეზობელს და ამ მიმართულებით ახორციელებს პოლიტიკას. დემოკრატიის ნიშნებია საქართველოში და არ უნდათ ამ ნიშნების დაკარგვა რაც იკარგება. როცა გვაკრიტიკებენ, გვაკრიტიკებენ გულწრფელად. თუ ავირჩიევთ დემოკრატიას, უნდა ვიყოთ ბოლომდე დემოკრატიულები *(ზაქარეიშვილი, 2020)*.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ევროკავშირში განწევრიანება არის ჩვენი ქვეყნის არჩევანი, რომ დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე, კორუფცია, მიგრაცია, კანონის უზენაესობა, შიდა დაპირისპირებები და არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად აფერხებს ევროკავშირში განწევრიანების პროცესს. თუმცა, ევროკავშირი საქართველოს რეგიონს მაინც „მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად“ მიიჩნევს.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირი წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ეკონომიკურ აქტორს. შეიძლება ითქვას, რომ მისი ეკონომიკური მიღწევები სუპრანაციონალურ დონეზეა, ხოლო მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ დასახვეწია. ამის ერთ-ერთი მიზეზია სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორი.

- აღიარებულია, რომ როგორც შიდა, ასევე, გარე კონფლიქტების მოგვარება, თავის მხრივ, მოითხოვს დიფერენციულ მიდგომას. არასწორმა პოლიტიკამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს

სახელმწიფოს და გამოიწვიოს პოლიტიკური რეგრესი. შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, ხშირ შემთხვევაში, ხდება გარე კონფლიქტების წარმოშობის მიზეზი.

- ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, კერძოდ, ევროკავშირის ჩართულობა მსოფლიოს კონფლიქტებში, მათ შორის, საქართველოსთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ექსპერტების, სპეციალისტებისა და ახალგაზრდების უმეტესობა ევროკავშირს განიხილავს, როგორც კონფლიქტების შემაკავებელ ძალას და მათი მხარდაჭერის იმედი აქვთ. ეს შეხედულება განმტკიცებულია ევროკავშირის მონიტორინგის მისიით. დღესდღეობით, საქართველოში ევროკავშირის ქმედება განაპირობებს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას. ევროკავშირის ჩართულობას საქართველოს კონფლიქტებში, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებები შეზღუდულია და ამიტომ ხშირად ხდება უსაფრთხოების დარღვევა. ამჟამად სამწუხაროდ არ ხდება ევროკავშირის მისიის ფორმატის გაფართოება, და უახლოეს მომავალში არც ძირეული ცვლილებები იგეგმება. საქართველოსთვის მისიას პარტნიორისა და მხარდამჭერის მნიშვნელობაც აქვს.

- კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ მხოლოდ ევროკავშირი ვერ იქნება ქვეყნებს შორის კონფლიქტების მოგვარების გარანტი და ვერც ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა, თუ, პირველ რიგში, შიდა პოლიტიკური კონფლიქტები არ იქნება მოგვარებული. აუცილებელია და მნიშვნელოვანია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კომუნიკაცია, ასევე, აფხაზებსა და ცხინვალის

რეგიონის მოსახლეობასთან კავშირის დამყარება, თუმცა, სახელმწიფომ დღემდე ვერ მოახერხა ამ მიზნების განხორციელების ეფექტიანი გზების გამონახვა.

- ისეთი განვითარებადი სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა, უდავოდ, მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკის გატარება, თუნდაც იმ ქრესტომათიული მიზეზის გამო, რომ კონფლიქტების მოგვარებას აზრი აქვს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში. სახელმწიფომ უნდა შეძლოს, იპოვოს კონფლიქტების აღმოფხვრის გზები ისეთი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ დაპირისპირებულ მხარეებზე. ევროკავშირის ჩართულობას არ შეიძლება ვუწოდოთ პოსტკონფლიქტური, რადგან კონფლიქტი ჯერ არ დასრულებულა. საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივები, რადგან კონფლიქტები დღემდე მოუგვარებელია და ჯერ კიდევ არსებობს მათი ხელახლა გაღვივების ალბათობა.

- გლობალური კონტექსტიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ევროკავშირი არის მსოფლიოში წარმატებული, პროგრესული ორგანიზაცია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს კონფლიქტების მოგვარებაში, თუმცა, პოსტსაბჭოთა ტიპის კონფლიქტებზე, რიგი მიზეზების გამო, იგივეს ვერ ვიტყვით. სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამ საკითხს ევროპაში განიხილავენ.

- 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომმა განაპირობა საქართველოსა და ზოგიერთი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაახლოება ევროკავშირთან. თუმცა, ამ ომში, ევროკავშირის

მშვიდობიანი მისიის ჩართულობის მიუხედავად ის უძლური აღმოჩნდა საგარეო საფრთხისა და კონფლიქტების მოგვარებაში, ვინაიდან მასში მესამე ძალა - რუსეთის ფედერაცია - იყო ჩართული. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთი მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ის ეწინააღმდეგება რეგიონში ევროკავშირის ინტერესების გაფართოვებას.

- პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი კონფლიქტები არის გლობალური გამოწვევა არა მარტო ევროკავშირისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ევროკავშირისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კავკასიაში არსებული დაპირისპირება ეთნოკონფლიქტები ამათ შიგნით არა მარტო კავკასიის, არამედ ევროპის დესტაბილიზაციაც გამოიწვიოს, ვინაიდან კონფლიქტების განახლების შემთხვევაში ლტოლვილების დიდი მასა დაიძრება ევროპისკენ.

- რუსეთი მოუგვარებელ კონფლიქტებს იყენებს, როგორც ინსტრუმენტს საქართველოზე კონტროლის განსახორციელებლად. მოსკოვის მიზანია, შეინარჩუნოს გავლენა იმ სივრცეზე, რომელსაც ერთ დროს საბჭოთა კავშირი ერქვა და ამიტომ დაინტერესებულია, რეგიონში მუდმივად იყოს კონფლიქტი, დაძაბულობა და არეულობა, რადგან ასეთ პირობებში მისთვის გავლენის შენარჩუნება ადვილია. აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის შეეცდება, ჩაშალოს მოლაპარაკებები, ქვეყანა ჩართოს მიუღებელ გარიგებებში, არ დაუშვას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საჭიროა, კონფლიქტების დარეგულირების დროს, რუსეთთან ურთიერთობაში გამოყენებული იყოს მოქნილი დიპლომატია. ასევე, უნდა მოხდეს კონფლიქტში ჩართული სუბიექტების საჭირო და მნიშვნელოვანი შეთავაზებებით

დაინტერესება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიალოგი იმ ქვეყნებთან, რომლებიც უშუალოდა არიან ჩართულები ამ დაპირისპირებებში. კონფლიქტის ტრანსფორმაცია არ გამოირიცხავს რუსეთთან დიალოგს, იმ შემთხვევაში, თუ დათმობები შეეხება კონფლიქტის მოგვარების გზების გამონახვას.

- ვფიქრობთ, ევროკავშირი, ამ შემთხვევაში, თავისი შიდა პრობლემებით უფრო არის დაკავებული, ვიდრე მსოფლიო კონფლიქტებით და ლიდერის პოზიცია ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუთმო. ევროკავშირი ცდილობს, რუსეთზე სანქციების გავრცელებას აშშ-ს პოლიტიკის ქუდქვეშ, რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყნები ეკონომიკურად და ენერგეტიკულად დამოკიდებული არიან რუსეთზე და რაციონალური ინტერესების გამო იძულებული არიან ითანამშრომლონ ისეთ ავტორიტარულ სახელმწიფოსთან, როგორიც არის რუსეთი.

ჩვენი კვლევის შედეგად დასტურდება, რომ 21-ე საუკუნეში სუპრანაციონალური ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საკითხში. ევროკავშირი, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე, აქტიურად არის ჩართული მსოფლიოს კონფლიქტების მოგვარებაში, საქართველოში კი ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერით შემოიფარგლება. მას არ აქვს სხვა რეალური ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უფრო ძლიერსა და აქტიურს გახდიდა მათ, ამ კონფლიქტების მოგვარებაში. ამ მიმართულებით უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების არქონა და არასაკმარისი კოორდინაციის არსებობა.

- მიგვაჩნია, რომ საჭიროა საქართველოში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების

საქმეში ახალი აქტორების ჩართვაც, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა ქვეყნებისა და, ასევე, თუ საჭიროება მოითხოვს და მოლაპარაკების შესაბამისი პირობები იქნება შექმნილი, გაიმართოს უშუალო დიალოგი რუსეთთან, რადგან მხოლოდ მონიტორინგით ვერ გადაიჭრება არსებული კონფლიქტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკობია ე. ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდი. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები. თბილისი. 2006.
2. ალადაშვილი ბ. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი. თბილისი. 2010, გვ. 85.
3. არტი რ., ჯერვისი რ. საერთაშორისო პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2011.
4. ასათიანი თ., ბერეკაშვილი დ., მშვიდლობაძე რ., ნიჟარაძე გ. როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები. კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. 2000.
5. ბელთაძე გ., მელაძე ჰ., სხირტლაძე ნ. გადანაცვეტილებათა მიღების თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. თსუ გამომცემლობა თბილისი. 2003.
6. გაბრიჩიძე გ. ევროპული კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი. 2012.
7. გოგოლაშვილი კ. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები. თბილისი. 2017.
8. გოგოლაშვილი კ. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევუს ფონდი. თბილისი. 2018.
9. გუდინი რ., კლინგემანი ჰ. საერთაშორისო ურთიერთობები. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1996.
10. დვალი ა. საქართველოში კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. 2019.
11. დოელი მ. ომისა და მშვიდობის გზები, რელიგიაში, ლიბერალიზმი და სოციალიზმი, თსუ - გამომცემლობა. თბილისი. 2018
12. ემერსონი მ., კოვზირიძე თ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება. ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS). ბრიუსელი. მეორე გამოცემა. 2018.
13. ზურაბიშვილი თ. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2016.

14. კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი.სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
15. კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების ეფექტიანობა და მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოში. 2019.
16. მაისაია ვ., მალრაძე გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა რეგიონალური და გლობალური ასპექტები. უნივერსალი, თბილისი. 2017.
17. მალაშხია, შ. კონფლიქტების ანატომია. გამომცემლობა სტამბა, თბილისი. 2011.
18. მირიანაშვილი გ.. ევროპული კავშირის სამართლებრივი ცნობარი. თბილისი. 2015.
19. მოდებაძე ვ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში, წმიდა ანდირიას ქართული უნივერსიტეტი. თბილისი 2020.
20. ჟორჟოლიანი გ., თოიძე ლ., ლეკიაშვილი ს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები. თბილისი. 1992.
21. სენარკლენი პ. არიფენი ი. საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2014.
22. სონღულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში? გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი. 2009.
23. უოლცი კ. ადამიანი, სახელმწიფო და ომი. ჯისიაი, 2003.
24. შარაშენიძე თ. ნატოს შესახებ. სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. 2019.
25. ჯორბენაძე რ. პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. მეცნიერება. 2001.
26. ჯოჯუა დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი. 2010.
27. Bercovitch J., Regan P. The Structure of International Conflict Management: An Analysis of the Effects on Interactability and Mediation. International Journal of Peace Studies, 4 (1), pp. 1-14. (1999).

28. Buzan B. Kelstrup M.; Pierre P.; Elzbieta E.; Wæver O. The European Security Order Recast. Pinter. 1990.
29. Cahn, D.D. and Abigail, R.A. Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon, 2007.
30. Colin G. War, peace and international relations: an introduction to strategic history. Routledge, 2013.
31. Communication from the Commission to the Council and the European Parliament, Black Sea Synergy: A new regional cooperation initiative, 160 final. Brussels: EU Commission. 2007.
32. Deutch M. A. Theory of Co-operation and Competition. Human relations, 1949.
33. Fischer S. The European Union and security in the Black Sea region after the Georgia crisis, Southeast European and Black Sea Studies, 9(3), pp.333-349, 2009.
34. Forsberg T., Seppo A. The Russo-Georgian war and EU mediation. In Russian foreign policy in the 21st century, pp. 121-137. Palgrave Macmillan. London. 2011.
35. Giegerich B. European Military Crisis Management. Studia Diplomatica. 2009.
36. Goletiani, T. Georgia's progress and challenges on the path to the EU. თბილისი. 2015
37. Hill C., Smith K. E. European Foreign Policy: Key Documents. New York: Taylor and Francis. 2003.
38. Jackson N. Russian Foreign Policy and the CIS: Theories, Debates and Actions. Routledge, London and New York. 2003.
39. Jervis, R. Cooperation under the security dilemma. World politics 30, no. 2 (1978).
40. John V., Neumann O.; Oskar M. Theory of Games and Economic Behavior, 2007
41. Kenneth W. Theory of International Politics 1979 Reading. Massachusetts Addison-Wesley Publishing Company.
42. Keukeleire S. Delreux T. The Foreign Policy of the European Union. New York: Palgrave Macmillan. 2014.
43. König M. The Georgian-South Ossetian Conflict. Institute for Peace Research and Security Policy at the University of Hamburg/IFSH (ed.), 2004 OSCE Yearbook, pp.237-249.

44. Mason S. J. A. Siegfried M., Confidence-Building Measures (CBMs) in Peace Process, In: African Union and the Centre for Humanitarian Dialogue. Managing Peace Processes: Process related questions. A Handbook for AU practitioners. Volume 1, pp. 57-77. (2013).
45. Melander E. Pigache Cl. Conflict Prevention: Concepts and Challenges. Austrian National Defence Academy. 2007.
46. Miall H. Conflict transformation: A multi-dimensional task. Berghof Handbook for Conflict Transformation. Berlin, Berghof Centre for Constructive Conflict Management. 2001.
47. Mitchell Ch. The Structure of International Conflict. Palgrave Macmillan UK, 1981.
48. Operationalizing the lessons from Recent Experience in Field-Level Conflict Strategies; Lund M.S; Facing Ethnic Conflict; Rowman & Littlefield Publishers; Inc; 2004.
49. Quencez M.; Besch S. The Challenges Ahead for EU Defense Cooperation. German Marshall Fund of the United States. 2020.
50. Rapoport A. Game Theory as a Theory of Conflict Resolution. University of Toronto, 1960.
51. Sayin F. M., Modebadze V. The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians." Journal of Alanya Faculty of Business/Alanya Isletme Fakültesi Dergisi 7, no. 3 (2015).
52. Schelling, T.C. The Strategy of Conflict. Harvard University Press. Cambridge. 1960.
53. Schelling Thomas C. The Strategy of Conflict. Harvard University Press. 1960.
54. Schorkowitz, D. Postkommunismus und verordneter Nationalismus: Gedächtnis, Gewalt und Geschichtspolitik im nördlichen Schwarzmeergebiet [Post-communism and imposed nationalism: memory, violence and the politics of history in the northern Black Sea region]. Frankfurt am Main: Peter Lang Verlag, 2008.
55. Solana J. European Security Strategy, European Communities, 2009.
56. Tanner F. Conflict prevention and conflict resolution: limits of multilateralism. International Review of the Red Cross, 839, pp. 1-11. 2000.
57. Tardy T. CSDP in action: What contribution to international security? Chaillot Papers, 134, pp. 1-51 (2015).

58. Turunen Tuula, Legrand Jerome: Foreign policy: aims, instruments and achievements, 2018.
59. Vuković S. International Multiparty Mediation and Conflict Management: Challenges of Cooperation and Coordination. London: Routledge (2016).
60. Webber M. The Common Security and Defence Policy in a multilateral world. In: Koutrakos, P. European Foreign Policy – Legal and Political Perspectives. Cheltenham: Edward Elgar, pp. 205-234. 2011.
61. Буторина О. Европейская интеграция. Европейская интеграция, 2011.

ინტერნეტ რესურსები და დოკუმენტები

62. ევროკავშირის ისტორია <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/#1> ბოლოდ გადამოწმებული იყო- 20.10.2020.
63. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, მისიის ხელმძღვანელის განცხადება. <https://eumm.eu/en>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 8.08.2019.
64. ერთიანი ევროპული აქტი. <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო -2.05.2020.
65. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა. <https://securitysectorintegrity.com/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო 9.07.2021.
66. თანამშრომლობის ისტორია <http://dspace.nplg.gov.ge> ბოლოს გადამოწმებული იყო -20.02.2020.
67. ინსტიტუტი, ს. პ. (2018, მაისი) გამოწვევები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ექსპერტთა შეფასება <http://gip.ge/wpcontent>, ბოლოს გადამოწმებული იყო 15.20.2020.
68. კეთილსინდისიერება უსაფრთხოების სექტორში. საერთაშორისო ორგანიზაციები <https://securitysectorintegrity.com/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო -5.05.2020.
69. ლისაბონის ხელშეკრულება <http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html>, ბოლოს გადამოწმებული იყო -10.10.2020.
70. მიქაძე მ., ლომია ე., ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველოს მაგალითზე) სამეცნიერო ჟურნალი, სამართალი და ეკონომიკა. 2019. <http://dspace.nplg.gov.ge> , ბოლოს გადამოწმებული იყო 20.05.2021

71. ნაბიჯი უკეთესი მომავლიკენ, <https://www.smr.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.02.2021.
72. პარიზის ხელშეკრულება. <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 2.05.2020.
73. პლევინის გეგმა <https://www.fransamaltintgvongeusau.com>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 15.12.2020.
74. რა არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა <https://eumm.eu/ge>. ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.05.2021.
75. რომის ხელშეკრულება. <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 2.05.2020.
76. საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 5.05.2021.
77. სამომავლო გზა საქართველოსთვის. <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 15.05.2021.
78. საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ <http://infocenter.gov.ge/45-struqtura.html>, ბოლოს გადამოწმებული იყო 10.12.2020.
79. საქართველო/რუსეთი: ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ <https://eeas.europa.eu/delegations/georgia>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 29.05.2021.
80. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. <https://mod.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.05.2021.
81. საქართველოს პარლამენტი <http://www.parliament.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 01.04.2020.
82. საქართველოს პარლამენტი. ინფორმაციული ცნობა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის აპარატი. <http://www.parliament.ge/>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 10.12.2020 .
83. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://www.matsne.gov.ge>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 08.07.2005.
84. ტალიავინი ჰ. ტალიავინის ანგარიში. Igitur, Utrecht Publishing & Archiving Services, <https://smr.gov.ge>, 2009.
85. ფონტენი პ. როგორ მუშაობს ევროკავშირი 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ. ბრიუსელი. 2014.

86. ფონტენი პ. განმარტებები ევროკავშირის შესახებ, <https://eeas.europa.eu/> ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.09.2020
87. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <https://smr.gov.ge/ge/page/35/ministries-xedva>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 02.08.2020.
88. შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია <https://eumm.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 25.05.2020.
89. ჩიტაძე ნ. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმომ, მომავალი. 2011 <http://iccn.ge/files/sakartvelos> ბოლოს გადამოწმებული იყო - 12.10.2020.
90. A way ahead for Georgia. <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 17.05.2021.
91. Cologne European Council Declaration on the common policy on security and defence (4 June 1999) <https://www.cvce.eu/en>. ბოლოს გადამოწმებული იყო - 11.10.2020.
92. Consil of the European Union, <https://data.consilium.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 13.01.2021.
93. Council Joint Action 2008/736/CFSP of 15 September 2008 on the European Union Monitoring Mission in Georgia, <http://eurlex.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.12.2020.
94. Council Joint Action 2008/760/CFSP of 25 September 2008 appointing the European Union Special Representative for the crisis in Georgia, <http://eurlex.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 14.12.2020.
95. Directorate-General for Communication (European Commission), The European Union What it is and what it does, ბოლოს გადამოწმებული იყო - 01.02.2020.
96. EEAS10. Shaping of a Common Security and Defence Policy, 2016.
97. EUMM. European Union Monitoring Mission. 2020. <https://eumm.eu/en>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 20.05.2021.
98. eur-lex. <https://eur-lex.europa.eu>, ბოლოს გადამოწმებული იყო - 11.12.2020.
99. Europa Consilium. EU defence cooperation: Council establishes a Military Planning and Conduct Capability (MPCC)

- <https://www.consilium.europa.eu>, ბოლოს გადამონმებული იყო - 10.04.2021.
100. Europe as an Economic Giant but a Political Dwarf in the Balkans. <https://insamer.com/en>,
 101. ბოლოს გადამონმებული იყო - 1.11.2020,
 102. European Commision – http://europa.eu/rapid/press-release_IP-17-1508_en.htm ბოლოს გადამონმებული იყო - 30.04.2021.
 103. European Council. <https://www.consilium.europa.eu/en>, ბოლოს გადამონმებული იყო - 10.05.2021
 104. European External Action Service, <https://eeas.europa.eu/>, ბოლოს გადამონმებული იყო - 02.09.2020
 105. European Security Strategy: A Secure Europe in a Better World. Brussels, Belgium: European Communities. <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამონმებული იყო - 13.09.2020.
 106. European Union, <https://eeas.europa.eu>, ბოლოს გადამონმებული იყო - 5.05.2019.
 107. Franco–British St. Malo Declaration (4 December 1998) <https://www.cvce.eu>. ბოლოს გადამონმებული იყო - 5.11.2020
 108. Georgia, M. o. (n.d.). National Security Concept of Georgia. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of Georgia: <http://www.mfa.gov.ge> ბოლოს გადამონმებული იყო - 2.02.2021.
 109. Georgia’s road to the EU: What’s next? <https://www.euractiv.com/section/global>, ბოლოს გადამონმებული იყო - 07.06.2021.
 110. NATO’s duty at 70 <https://www.neweurope.eu> ბოლოს გადამონმებული იყო - 15.05.2021.
 111. Nichol J. Russia-Georgia Conflict in South Ossetia: Context and Implications for US Interests. Library of congress Washington DC Congressional Research service. 2008 <http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a490073.pdf>, ბოლოს გადამონმებული იყო - 10.12.2020
 112. Permanent Structured Cooperation (PESCO) - <https://journals.sagepub.com>, ბოლოს გადამონმებული იყო - 30.04.2021.
 113. Petersen A. (2008) The 1992-93 Georgia-Abkazia War: A forgotten Conflict. HTTP://CRIA-ONLINE.ORG/5_3.HTML, ბოლოს გადამონმებული იყო 10.12.2020.

114. Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015; Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development; <https://sdgs.un.org/2030agenda> ბოლოს გადამონმებული იყო - 10.03.2021.
115. Techau J. Carnegie Europe. <https://carnegieeurope.eu>, ბოლოს გადამონმებული იყო - 11.10.2020.
116. Treaty on European Union, <https://www.europarl.europa.eu>, ბოლოს გადამონმებული იყო - 25.05.2020.
117. Treaty on European Union. Brussels/Luxembourg, Belgium/Luxembourg; Council of the European Communities/Commission of the European Communities. <https://europa.eu>, ბოლოს გადამონმებული იყო - 20.02.2020.

დანართი

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

1. რა სახით და როგორ უზრუნველყოფს ევროკავშირი მსოფლიოში თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას?
2. როგორია ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ საგარეო პოლიტიკის თეალსაზრისით? უსაფრთხოების თეალსაზრისით?
3. როგორ აგვარებს ევროკავშირი საქართველოსთან კონფლიქტში მხარეების ურთიერთობებს?
4. ენდობიან თუ არა კონფლიქტის ზონაში მცხოვრებლები ევროკავშირის სამხედრო მისიას?
5. როგორ აფასებენ საქართველოში კონფლიქტურ სიტუაციებს ევროკავშირის წარმომადგენლები?
6. რამდენად ეფექტიანად ახერხებს ევროკავშირი საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში კრიზისული ვითარების მოგვარებას?
7. რა სახით და როგორ უზრუნველყოფს ევროკავშირის მისია იქ სადაც ირღვევა ადამიანის უფლებები?
8. კიდევ, რისი გაკეთება შეუძლიათ ევროკავშირის წარმომადგენლებს კონფლიქტის მოსაგვარებლად?
9. კიდევ რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირის დახმარებით კონფლიქტების დასარეგულირებლად?
10. რა მიღწევები აქვთ დღემდე საქართველოში არსებულ კონფლიქტების დარეგულირებაში ევროკავშირს?